ეკა თხილავა

ფარვანა

„რაიზი“
2010

ეკა თხილავა
ფარვანა

მხატვარი – ირმა კუხიანიძე
ფოტოილუსტრაციები – ია ჩარკვიანი, ლევან ლექვინაძე
რედაქტორი – გიორგი ლობჟანიძე
დიზაინერი – ალექსი კახნიაშვილი

© ეკა თხილავა, 2010; ფარვანა
© Eka Tkhilava, 2010; Parvana

ISBN 978-9941-0-2932-5

გამომცემლობა „რაიზი“ 2010

ფარვანა დიდხანს, დიდხანს იცოცხლებს

ეკა თხილავას მოთხრობების კრებული ჩემთვის – მისი ბავშვობის მეგობრისათვის – სასიამოვნო მოულოდნელობა გახლდათ.

ეკას ვიცნობდი, როგორც ძალიან კარგ ჟურნალისტსა და მასწავლებელს. ისიც ვიცოდი, რომ ჩუმად თავისთვის რაღაცებს წერდა, მაგრამ საკუთარი ნაწერების საჯაროდ გამოტანას ერიდებოდა და მეგობრებსაც კი თითქმის არაფერს გვაკითხებდა.

ამდენად, თითქოს ველოდი და არც ველოდი იმას, რაც ამ წიგნში წავიკითხე, რადგანაც ამ მოთხრობების ავტორი უკვე დასრულებული მწერალია, თავისი გამოკვეთილი სათქმელითა და ხელწერით, პრობლემატიკით, რომელიც უაღრესად ორიგინალური ფორმით არის ეკა თხილავას მოთხრობებში წამოჭრილიცა და პასუხგაცემულიც.

ჩემი და ეკას თაობამ უამრავი განსაცდელი გამოიარა. თითქოს ყველაფერმა ჩვენთვის მოიცალა, რადგან სწორედ ჩვენი სტუდენტობისას, მაშინ, როცა მე და ამ მოთხრობების ავტორმა ერთმანეთი გავიცანით, ახალჩამოყალიბებულ ქართულ სახელმწიფოს თავს დაატყდა თითქმის ყველანაირი უბედურება – სამოქალაქო ომით დაწყებული ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის რღვევით დამთავრებული.

ყველას უჭირდა, მაგრამ განსაკუთრებით უჭირდა სტუდენტობას – რეგიონებიდან თბილისში სასწავლებლად ჩამოსულ ახალგაზრდებს, რომელთაც ურთულეს პირობებში უწევდათ სპეციალისტებად ჩამოყალიბებაცა და საერთოდ, ზნეობრივ-მორალური კრიტერიუმების თვითდადგენაც.

ეს ყველაფერი ახლა იმიტომ გამახსენდა, რომ ამ მოთხრობებიდან ძალიან მტკიცე ადამიანი შემოგვყურებს, რომელმაც წარმატებით დასძლია ყველა ცხოვრებისეული ტკივილი და სიძნელეებმა ზვავივით ქვეშ კი არ დაიტანა, პირიქით იმის ძალა მისცა, რომ ცხოვრებისათვის, როგორც

ძალიან საინტერესო გამოცდილებისათვის, ისე შეეხედა და მერე ეს გამოცდილება – უკვე მხატვრულად განზოგადებული – ჩვენთვის, მკითხველისთვისაც, გაეზიარებინა.

საერთოდ, ეკას მოთხრობების გმირებს უცნაური სახელები ჰქვიათ. არსებითად, უმეტეს შემთხვევაში, ეს არც არის სახელები ჩვეულებრივი გაგებით, უფრო ზოგადი მახასიათებელია ამა თუ იმ პერსონაჟისა, რადგან ეს პერსონაჟები არიან ძალიან კონკრეტული და ამავე დროს ძალიან ზოგადი ადამიანები. მათი ამბები ყველას ამბებია, მათი განცდები – ყველას განცდები, მათი საწუხარი – ბევრის საწუხარი.

უპირველესი პრობლემა კი, რაც მე პირადად, თვალში მომხვდა ამ მოთხრობების კითხვისას, კომუნიკაციის პრობლემაა, რომელსაც ყველა უმწვავესად განიცდის.

ეს მორღვეული კავშირების სამყაროა, იზოლირებული კუნძულების, რომელთაც ოთხივე მხრივ ოკეანე აკრავთ – მიწის ოკეანე და ეს საოცარი მეტაფორა კიდევ უფრო გამოჰკვეთს და ამძაფრებს ქვეტექსტს – კუნძული თითოეული ადამიანია და თუ არ აღმოაჩინეს, გაუფრთხილდნენ და დაინახეს, ამ კუნძულებს ოკეანში შთანთქმა ემუქრება.

იგავი, იგავურობა ეკა თხილავასათვის ძალზე ორგანული ფორმაა, აქ ის თავს ლაღად გრძნობს და მისი მწერლური სილაღე იმდენად გადამდებია, რომ არა მგონია, კრებულში შეტანილმა მოთხრობებმა ნამდვილი ლიტერატურის მოყვარული და დამფასებელი ადამიანები გულგრილი დატოვოს.

მახსოვს ბავშვობაში, როცა გავიგე, რომ პეპელა ძალზე ცოტა ხანს, სულ რამდენიმე დღეს ცოცხლობს, რაღაც გულუბრყვილო იმედს მოვებღაუჭე და უფროსებს ვეკითხებოდი: ფარვანა, ფარვანა რამდენ ხანსღა ცოცხლობს-მეთქი... შეკითხვას, რა თქმა უნდა, არავინ პასუხობდა და მხოლოდ მრავალმნიშვნელოვან ღიმილს მაგებებდნენ.

ეკა თხილავას მოთხრობების წაკითხვის მერე თითქმის აღარ მეპარება ეჭვი იმაში, რომ ფარვანა ძალიან დიდხანს იცოცხლებს.

გიორგი ლობჟანიძე

მიწის ოკეანე

დილა უყვარდა თავის სოფელში განსაკუთრებით შანას.

მიწისფერი მზე ამოდიოდა აქ.

კუნძული ერქვა სოფელს.

დიდი ხნის წინ ჰონოს ბაბუამ – რორომ – მონათლა ასე უცნაურად სოფელი.

მოსწონდა გოგოს სოფლის სახელი.

ოთხივე მხრიდან მიწის ოკეანე ერტყა კუნძულს – მძიმე ოკეანეში გაჩენილიყო საიდანღაც და კაცობრიობას იყო მოწყვეტილი.

ძველი კუნძულელებისგან სმენოდა შანას, ჯერ კიდევ ჰონოს ბაბუის – როროს კუნძულზე ცხოვრების დროსაც არ გამოჩენილა ოკეანის ჰორიზონტზე არც ერთი გემი.

მიწის მიქცევა-მოქცევა იწყებოდა კუნძულის ირგვლივ ყოველ დილით.

შანა მზის ამოსვლისთანავე იდგა ნაპირთან და ჰონოს ელოდა.

გოგოსთან მოდიოდა ბიჭი – როროსავით წითური და ძლიერი.

კუნძულის ყველაზე გამჭვირვალე და მიწისფერი ბინადარი იყო შანა.

ბიჭი არასდროს უყურებდა, როგორ მიდიოდა მოძრავი მიწისკენ გოგო.

არ უყვარდა ჰონოს ოკეანე – დამცინავად „ზღვას“ ეძახდა მას.

ეშმაკურად ეღიმებოდა ბიჭის სიძულვილზე გოგოს. ფრთხილად იშორებდა სხეულზე მოტმასნილი კაბიდან მიწის შხეფებს. თავს მარცხნივ ხრიდა და აუჩქარებლად შედიოდა ოკეანის ტალღებში.

არეული და მძიმე ჰქონდა ჭორფლიანი სახე ჰონოს.

ნაპირთან იდგა ბიჭი. ელოდა, როდის დაამთავრებდა მიწის ოკეანესთან თამაშს გოგო.

იცოდა შანამ, რაც ხდებოდა ბიჭში და უფრო და უფრო ღრმად შედიოდა „ზღვაში“ – ჰონოს დაძახებამდე არ ბრუნდებოდა უკან.

ნაპირიდან ფეხს არ იცვლიდა ბიჭი. მხოლოდ მაშინ ეძახდა შანას, როცა მწვანე კაბა მთლიანად ქრებოდა ჰორიზონტიდან..

ჰონოს ხმის გაგონებისთანავე ნაპირისკენ ბრუნდებოდა გოგო.

ოკეანეს არ უყვარდა შანას გაშვება – უკან ითრევდა.

ჭორფლიანი სახე უფრო არეული და მძიმე უხდებოდა ბიჭს.

კარგა ხნის მერე გამოდიოდა „ზღვიდან“ შანა. გამჭვირვალე იყო მისი სხეული და მწვანე კაბაზე ერთიანად მუქი მიწისფერი ედო.

შანა და ჰონო

კუნძულის მარცხენა ყურესთან ნახა პირველად შანამ ჰონო.

კენჭებს ითვლიდა სანაპიროზე როროს სისხლი.

შემოდგომა იყო.

არასდროს ენახა გოგოს ასეთი ბიჭი – გრძელთითებიანი და ჭორფლიანი. წითური თმა უფრო მიწისფერს ხდიდა ჰონოს.

ყველაზე მეტად ის მოეწონა შანას, კენჭებს რომ ითვლიდა ბიჭი.

ეუცხოვა ჰონოს გამჭვირვალე და მწვანეში გარდამავალი მიწისფერი გოგო. ჯიუტად განაგრძო კენჭების დათვლა.

შანას უფრო მოეწონა ჰონო.

მიწაზე ჩაჯდა გოგო. ოკეანის წვეთები მუხლებზე ხვდებოდა.

იმ დღეს დაწერა კუნძულის მარცხენა ყურესთან გამომშრალ მიწაზე ხის ნაფოტით პირველი წერილი შანამ.

არ იყო წერილი დიდი. ზეპირად ახსოვდა გოგოს იგი –

„დღეს დაინყო შემოდგომა.

დღეს უფრო ცხელია ოკეანე და უფრო მინისფერი – მზე.

დღეს ვიპოვე ჭორფლიანი ბიჭი, ჰონო. კენჭებს ითვლის სანაპირზე იგი."

პირველ **წერილს** მიწის ფენა გადააყარა ზემოდან შანამ. დატკეპნა ადგილი.

ჰონო შორს იყო უკვე წასული. ჰორიზონტზე აღარ ჩანდა.

ჭორფლი

შემოდგომაზე მუქი ჭორფლებისგან ჭრელი და კოპლიანი ხდებოდა ჰონოს მიწისფერი სახე.

არაფერი ისე არ ართობდა შანას, როგორც ბიჭის სახეზე ჭორფლების „დათვალიერება" და დათვლა.

ყველას თავისი სახელი დაარქვა გოგომ – წვიმის წვეთი. მზე. ცა. გაწოლილი ბავშვი. ზღვა. ბატი. ყვავილი. აორთქლებული მიწა. შანა. ფესვი. ღიმილი. კაცი.

ჰონოს „ზღვა" და „შანა" უყვარდა განსაკუთრებით.

ნიკაპთან იყო ახლოს „შანა" და მრუდი ხაზით მოდიოდა ქვემოთ. ტეხილ წრედს ქმნიდა. „შანა" აღმოაჩინეს შემოდგომის მიწურულს, როცა მზეს გაცრეცილი მიწისფერი ედო.

გოგომ ხის ნაფოტით დაწერა იმ დღეს –

„მე და ჰონომ „შანა" ვიპოვეთ. ყველაზე ლამაზი ჭორფლია იგი. ჰონომ თქვა, რომ მე მგავს".

ბიჭი მთელი დღეები მორჩილად იჯდა სანაპიროზე შანას წინ – სიამოვნებდა, კუნძულის ყველაზე გამჭვირვალე გოგო ჭორფლებს რომ ათვალიერებდა და ითვლიდა მის სახეზე.

ზურგში გრძნობდა ყოველთვის მიწის ოკეანის მზერას ჰონო. სძულდა ოკეანეს ბიჭი.

მზის ჩასვლისთანავე დგებოდა ფეხზე შანა – წყვეტდა ჭორფლების დათვლას. იღიმებოდა გოგო. თავს მარცხნივ ხრიდა და მიწის ოკეანეში შედიოდა.

სიმწრისგან კენჭს ყლაპავდა ჰონო. მიწაზე წვებოდა თვალდახუჭული.

კუნძულზე ეჭვიანობა რა იყო, არ იცოდნენ – უცნაური გრძნობისგან დაიღალა ბიჭი.

მიხვდა ერთ დღეს ჰონო, „ზღვის“ მოკვლა სურდა. ფეხზე წამოხტა საკუთარი აზრისგან შეშინებული – „ზღვას“ გადახედა.

დიდი იყო ოკეანე და მძიმე – ბოლო არ უჩანდა.

ნაპირისკენ მოდიოდა შანა – ერთიანად მიწისფერი და გამჭვირვალე.

გაოგნებული ჩაჯდა მიწაზე ჰონო. მიხვდა, რა პატარა იყო ოკეანესთან შედარებით და შეეშინდა.

მიწის წერილები

დუღს მინის ოკეანე.
მიყვარს ცხელი ტალღები. ვბანაობ.
ნაპირთან დგას ჰონო. ოკეანის სანყისთან მელის.
მეძახის.
უკან ვბრუნდები.
რორობზე ვფიქრობ. სისხლია ჰონო მისი – მსხვავით ლამაზი, ძლიერი და ჯკვიანი.
დიდი, ძალიან დიდი ხნის წინ გაქრა რორო კუნძულიდან.
არ ახსოვს ჰონოს იგი.

ძველი კუნძულელების თქმით, ჰორიზონტის სასრულის სანახავად წასულა რორო – ჰონოსავით წითური, ჯორფლიანი და გრძელთითებიანი.

მინის ოკეანეში შესულა და უკან აღარ გამოსულა კაცი.

ალბათ, ძალიან შორს არის ჰორიზონტი.

ხელს მიქნევს ჰონო.

უკვე ვხედავ მინისფერ ჯორფლებსა და ვეებრა ღიმილს.

ძველი კუნძულელებისგან გავიგე, რორროსაკ კოდნია სიყვარული, მაგრამ არავინ იცის, როგორი იყო იგი.

მინის ოკეანეში შორს მობანავე ქალსა და კაცს ხედავდნენ მხოლოდ სოფლელები. სილრმიდან არ ჩანდა სახე ქალის.

მე მგავდა, ალბათ, რორროს სიყვარული.

ქალიკ გამჭვირვალე იქნებოდა და მინისფერში გარდამავალი. ისიკ მხოლოდ მნვანე კაბას ჩაიკვამდა ჩემსავით.

უნდა ვიპოვო რორროს სიყვარული.

ძველ კუნძულელებს ემახსოვრებათ, კუნძულის რომელ მხარეს ბანაობდნენ ქალი და კაცი მინის ოკეანეში.

ქალი, ალბათ, ისევ იქ ელის რორროს.

კოტა დარჩა ნაპირამდე.

მძიმედ მეტმასნებრა მინა ტანზე. მიჯირს სუნთქვა.

მშვიდია ჰონო.

იცის, გავალ მაინკ. მოვერევი „ზღვას“.

რორროს მინის ოკეანე უყვარდა, თურმე.

არ არის ჰონო სულ რორროსნაირი – არასდროს ბანაობს ჩემთან ერთად „ზღვაში“ – არ უყვარს მინის ოკეანე.

წერილების მთა

გვიან შეამჩნიეს სოფლელებმა კუნძულის მარცხენა ყურესთან უცნაური მთა, ყოველდღე რომ იზრდებოდა სიმაღლეში.

შეშფოთდნენ კუნძულელები.

ვერავინ მიხვდა, რა ხდებოდა.

რამდენჯერმე შემოუარეს ირგვლივ მთას სოფლის ყველაზე ჭკვიანმა მამაკაცებმა და ძველმა კუნძულელებმა. ყური დაადეს მიწას.

ხმაური ამოდიოდა მთის გულიდან.

შეამჩნიეს კაცებმა, ბევრი არეული აზრი და სიტყვა ისმოდა მიწიდან – მზე. კუნძული. ოკეანე. ქალი. ზღვა. ჰორიზონტი. სისხლი. ჭორფლი. ბიჭი.

ძველმა კუნძულელებმა დაამშვიდეს სოფლელები ბოლოს – უცნაურ მთას წერილების მთა უწოდეს და სიმაღლეში ზრდა ივარაუდეს მისი.

ხელით გადაამტვრია ხის სქელი ნაფოტი შანამ. შეუმჩნევლად გამოეყო სოფლელებს. ვერ მიხვდა, საიდან გაიგეს ძველმა კუნძულელებმა, მთის თითოეული ფენის ქვეშ მისი წერილები რომ იყო შენახული.

ოკეანისკენ წავიდა გოგო.

შორიდან იცნო ჰონოს ზურგი შანამ.

„ზღვის“ ნაპირთან იჯდა ბიჭი – თავაუღებლად ითვლიდა გოგოს მოლოდინში გლუვ კენჭებს იგი.

მიწის წერილები

ღამეა, ჰონო. ძალიან ღამე.

და მე ვხედავ საოჯარ სიზმარს.

ძილში თითქოს გამომეღვიძა. ბნელია იქაურ. მრავა. ინყება სასნაული ჩემში და ჩემ იქით.

სარკის წინ ვტრიალებ. უსასრულოდ ვტრიალებ.

კაბა მაცვია მზისფერი – მინისფერი.

გაოგნდები შენ რომ მნახო – ძალიან ლამაზი ვარ.

აღარ მეშინია სიბნელის.

ინვის სარკე. სარკეში ანთია კეკხლი. საოცრად მინისფერია იგი და მისი სინათლე აღნევს ჩემს სხეულში.

აღარ მეშინია ლამის (თუმცა კი ლამე ძლიერია, მინის ოკეანეზე ძლიერი.).

მინდა, შენ შეგხვედო. არ ჩანხარ.

ისევ ანთია სარკეში კეკხლი. კხადშიაც ინვის სარკე.

დიდია და მშვენიერი მინისფრად მოვარვარე კეკხლი.

სიზმრიდან გადმოსული კხადი მთელი ძალით შემოდის ჩემში და ვგრძნობ, როგორ იქცევა ჩემი სხეული მინისფერ სინათლედ.

თენდება უკვე, ჰონო.

სულ მალე მოვალ შენთან და „ზღვასთან“ კეკხლისფრად მინისფერი. ავიღი გვერდს და შევალ მინის ოკეანეში.

გესმის ოკეანის ხმაური?

იგი მე მელის, ჰონო!

დამრეცი სანაპირო

არ ჩანდა ჰონო. დაიგვიანა.

ზამთრისგან ატალახებული ოკეანის ტალღები არ მოეწონა შანას. სანაპიროს გაუყვა – აღარ დაელოდა ბიჭს.

კუნძულის ყველაზე დამრეც ადგილს ეძებდა შანა. გაიგო გოგომ, იქ რომ ხედავდნენ სოფლელები ოკეანეში მობანავე რორროსა და უცნობ ქალს ერთად.

კარგა ხანია აღარ უნდოდა დამრეცი სანაპიროს პოვნა შანას. ეშინოდა უცნობი ქალის ნახვის.

იმ დღეს რომ ჰონოს არ დაეგვიანა, არც არასდროს წავიდოდა **როროს ადგილის** მოსაძებნად გოგო.

ბევრი იარა შანამ.

საღამოხანს მიაგნო დამრეც სანაპიროს მხოლოდ.

როროს დაკარგვის მერე თითქმის არავინ მოდიოდა აქ. არასდროს უყვარდათ კუნძულელებს ეს ადგილი.

მოეწონა შანას სანაპირო – წყნარი და სოფელს მოწყვეტილი. ოკეანის მეტი არაფერი ჩანდა ირგვლივ. დამრეცი სანაპირო ფარავდა სოფელს „ზღვისგან“.

უცნობი ქალი შეამჩნია ოკეანის სანაპიროსთან გოგომ.

შანამ გაიფიქრა, რომ იპოვა როროს სიყვარული, მაგრამ არ ეცვა უცნობს მწვანე კაბა.

დაიბნა გოგო.

შორიდან მოლოდინს ჰგავდა რაღაცით ქალი – დიდი იყო მოლოდინივით და დაღარული.

მიხვდა შანა, მწვანე არ იყო როროს სიყვარული. გული დაწყდა.

ქალის სახემ შეაშინა ყველაზე მეტად გოგო. არ ჰქონდა სახე როროს სიყვარულს. ისიც მოლოდინად ქცეოდა და დაღარადა.

თვალი აარიდა გოგომ უცნობს. ინანა, აქ რომ მოვიდა.

უცნაური ხმაური დაიწყეს კენჭებმა სანაპიროზე.

შანას მოეჩვენა, მღეროდნენ ისინი.

გამოფხიზლდა ქალი. მიწისფერი გოგო შეამჩნია და გაიქცა – შანას დაემალა იგი.

თვალმოუშორებლად უყურებდა გოგო როროს სიყვარულის ზურგს – უხეშს. გაუმჭვირვალს. ლურჯს.

მიწის წერილები

ეს წელიწადში ერთხელ ყვავის ჩვენს კუნძულზე მწვანე ყვავილი ყვითელი გულით.

მე არასდროს მინახავს იგი. არც ჰონოს.

ძველი კუნძულელები ამბობენ, ძალიან ლამაზიაო.

როროს დაკარგვის დღეს ყვაოდა ბოლოს, თურმე, ყვავილი.

თითქმის ესი წელი გასულა როროს წასვლიდან უკვე.

ბევრია ასი წელი. ძალიან ბევრი.

არ იციან ძველმა კუნძულელებმა, სად მთავრდება ჰორიზონტი. ფიქრობენ, უსასრულოა იგი.

ძველი კუნძულელების თქმით, უსასრულობაში წასული ჰონოს ბაბუა თავადაც უსასრულოა უკვე ჰორიზონტთან ერთად და რადგან უსასრულობას სასრული არა აქვს, როროკ აღარასდროს დაბრუნდება ჩვენს სოფელში.

მე მინდოდა, მენახა იგი.

ლურჯი ნაჭერი

როროს წასვლიდან ოთხმოცდაექვსი წლის მერე გაიხადა მწვანე კაბა ქალმა. კაცის დაბრუნებამდე შეინახა იგი.

მწვანე ფერში ახსოვდა როროს მისი სიყვარული.

ქალი უფრთხილდებოდა კაბას, საქორწილო კაბა რომ უნდა ყოფილიყო მისი. ერთხელ ამზეურებდა წელიწადში და იმ ერთი დღისთვის ცხოვრობდა მთელი წელი.

ისეთი გამჭვირვალე იყო კაბა, მწვანე ჰაერს უფრო ჰგავდა.

მიწისფერი მზის ჩასვლის შემდეგ ინახავდა ძველ სკივრში კაბას ქალი.

სკივრის გახსნის დროს ხელებზე დახედვის ეშინოდა როროს სიყვარულს. კაცის კუნძულიდან წასვლის შემდეგ თითო ღარი ემატებოდა ყოველდღე ქალის სხეულსა და სახეს. არ სიამოვნებდა დაღარული ხელების დანახვა.

მწვანე კაბის ნაცვლად ლურჯი ნაჭერი ეცვა როროს სიყვარულს და უფრო ჰგავდა მასში მოლოდინს.

არ უყვარდა ლურჯი ფერი ქალს. იცოდა, უკან დაბრუნებული კაცი ვეღარ იცნობდა ასეთს – ღარებადქცეულსა და ლურჯს.

როროს წასვლის მერე აღარ ბანაობდა ოკეანეში ქალი. დამრეც სანაპიროს არ სცილდებოდა დღედაღამ დაღარული – ჯიუტად ელოდა როროს მაინც.

ბიჭი და ყვავილი

წერილების მთის ძირას იპოვა ჰონომ მწვანე ყვავილი ყვითელი გულით.

ოკეანეში ბანაობდა შანა. შორიდან შენიშნა, რაღაც უცნაური ხდებოდა ნაპირზე.

შეშლილს ჰგავდა ჰონო. ერთ ადგილზე ხტოდა შეუსვენებლად – ეძახდა გოგოს.

ოკეანის ხმაურში არ ესმოდა ბიჭის სიტყვები შანას. ნაპირისკენ გამოცურა. თავისუფლად გაუშვა „ზღვამ“ გოგო.

წერილების მთის ძირას იდგა ჰონო. ბავშვივით იქცეოდა – ირგვლივ უვლიდა ყვავილს. ფოთლებზე ეფერებოდა. კოცნიდა. იცინოდა როროს სისხლი.

ყვავილს ისეთი ყვითელი გული ჰქონდა, ყელში გაეჩხირა გოგოს რაღაც – პირველად იგრძნო მისი სილამაზე.

არასდროს ყვარებია ასე ძალიან შანას ჰონო. დაიხარა ბიჭისკენ. ზურგში აკოცა როროს სისხლს.

ჰონომ ხელი უშვა ყვავილს. თავი ძლივს აწია მაღლა.

მიწის ოკეანეს ჰგავდა მზისფერი და გამჭვირვალე შანა. წვეთ-წვეთად ჩამოსდიოდა სახიდან „ზღვის“ შხეფები გოგოს.

ჭორფლიანი სახე ქვემოთ დახარა ჰონომ – რბილ ფოთოლზე აკოცა ყვავილს.

მიწის წერილები

როროს წასვლის შემდეგ პირველად აყვავდა მწვანე ყვავილი ჩვენს კუნძულზე.

ასი წელი გავიდა უკვე.

ჰონომ თქვა, არ არისო შევრი ასი წელი.

(ფიქრობს, დაბრუნდება კაცი).

არ იცის ჰონომ, ჰორიზონტივით უსასრულო რომ არის რორო.

ისევ ყვაოდა მწვანე ყვავილი კუნძულზე.

სანაპიროსთან იჯდა შანა. ოკეანეს უყურებდა.

შეუმჩნევლად მიეპარა ჰონო შანას – ბევრი ბრჭყვიალა ბურთულა დააყარა ზემოდან გოგოს.

შანას ეგონა, ციდან ცვიოდა უფერო ბურთულები.

გაშეშდა გოგო – თითის მიკარებაც ვერ გაუბედა უცნობ ფიგურებს.

დაიხარა ჰონო – ხელი ამოურია შანას კალთაში ჩაყრილ ბურთულებს. თვალს არ აცილებდა გოგო ბიჭის ხელებს.

ყველაზე დიდი, ნათელი ფიგურა სამი თითით დაიჭირა ხელში ჰონომ – თვალთან ახლოს მიუტანა შანას.

ყველაფერი შეიცვალა უცებ – მიწისფერი მზეც. ოკეანეც. მწვანე ყვავილიც. ჰონოც.

დატყდა და ერთმანეთში აირია ფიგურები.

გაოგნებისგან უკან გაწია თავი შანამ.

მსგავსი სასწაული არ ენახა გოგოს – ერთი მწვანე ყვავილი ათი ხდებოდა უცებ.

ჰონო არ მოეწონა ბურთულაში მხოლოდ გოგოს. გაუწონასწორებელი ჩანდა **შიგ** ბიჭი და ბევრი.

კალთისკენ წაიღო თითი შანამ – სათითაოდ დაათვალიერა ბრჭყვიალა ფიგურები.

ასჯერ და ათასჯერ გადატყდა ოკეანე.

ხმას ვერ იღებდა სიხარულისგან გოგო – ხელიდან უცვიოდა ბურთულები.

შემცბარი უყურებდა ჰონო შანას.

გოგოს წინ იჯდა ბიჭი. მუხლებზე ჰქონდა ხელები მოხვეული. შანაზე ფიქრობდა.

ცამეტი წელი აგროვებდა უფერულ ფიგურებს გოგოსთვის ჰონო – კუნძულის ყველა მთა მოიარა ფეხით. ეს წამი სხვანაირად ჰქონდა წარმოდგენილი – არ უფიქრია, გოგოსთვის ბიჭის ჭორფლებზე ძვირფასი თუ გახდებოდა ბრჭყვიალა ბურთულები.

ჰონოს მზერა იგრძნო შანამ. აწია თავი.

არეული ჰქონდა სახე ბიჭს.

ასეთი ჰონო არ მოეწონა შანას – ფეხზე წამოდგა. ხელისგულში მოიმწყვდია უფერო ფიგურები. უკან-უკან დაიხია. უსიტყვოდ შებრუნდა და წავიდა.

ბიჭი ნაპირზე დარჩა.

„ზღვის“ ხმაური

მიწის ოკეანეში ბანაობდა შანა. შორს იყო გასული.

ჰონო სანაპიროზე იწვა – ხელები თავქვეშ ჰქონდა ამოდებული. მიწისფერი მზისკენ იყურებოდა როროს სისხლი – ცდილობდა, ბრჭყვიალა ბურთულებისკენ არ გაქცეოდა თვალი.

უფერულ ფიგურებს დიდ ქვაზე აწყობდა ბანაობისას შანა. ახალი გასართობი იპოვა გოგომ – ოკეანიდან ერთიანად ბრჭყვიალებდა დიდი ქვა. რაც უფრო შორს შედიოდა მიწაში შანა, მით უფრო მშვენიერი ჩანდა ქვა.

ვეღარ გაუძლო ცდუნებას ჰონომ. წამოიწია – გახედა დიდ ქვას. ანათებდა ბურთულები.

ხოხვით მიეპარა ჰონო ქვას – დიდხანს უყურა ფიგურებსა და ოკეანეში მობანავე მწვანე შანას.

სიმწრისგან მეორე კენჭი გადაყლაპა ბიჭმა. ერთი მოსმით მოიქცია ხელისგულში ბურთულები.

წერილების მთისკენ წავიდა ჰონო.

ნაპირისკენ მობრუნდა ოკეანეში შესული შანა. მოეჩვენა, თითქოს დაბრმავდა – ბრჭყვიალა ქვა აღარ ჩანდა სანაპიროზე. წონასწორობა დაკარგა გოგომ – ქვემოთ ჩაითრია მიწამ. ძლივს დააღწია თავი ტალღას – „ზღვის“ ზედაპირზე ამოიწია ტანით.

მიწის ოკეანეს, სანაპიროს, წერილების მთას ხედავდა შანა – ბრჭყვიალა ქვა და ბიჭი არ ჩანდნენ მხოლოდ.

მიხვდა გოგო – არ იყო ბრმა – თავბრუ დაეხვა მხოლოდ.

ჰონომ ფრჩხილებით ამოთხარა მშრალი მიწა მწვანე ყვავი-

ლის ძირთან. ღრმა ორმო გააკეთა სწრაფად.

ჩქარა მოცურავდა სანაპიროსკენ შანა.

ბიჭმა იგრძნო, განწირულს რომ ჰგავდა გოგო. ფრთხილად ჩააწყო ორმოში ბურთულები.

მოუახლოვდა შანა ნაპირს.

ფეხით მოასწორა მიწა ჰონომ. გაიქცა სანაპიროსკენ.

შეამჩნია გოგომ როროს სისხლი – გაფითრებული და არეული.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა შანამ.

მიწაზე დაწვა ჰონო.

პირველად მოცურავდა ბიჭის დაუძახებლად ნაპირისკენ გოგო.

მწვანე ყვავილისკენ გაიხედა ჰონომ.

შანამ შეამჩნია, როგორ წამოხტა ფეხზე ბიჭი.

მწვანე ყვავილი ბრჭყვიალებდა წერილების მთის ძირას.

ჰაერი არ ეყო ჰონოს.

დრო აღარ რჩებოდა. ნაპირთან ახლოს იყო შანა.

მიწაზე დაწვა ისევ ბიჭი. დახუჭა თვალები. მზისგან გამოხუნებული ჟანგისფერი თმები ჩამოიყარა შუბლზე.

თვალისმომჭრელად ანათებდა მწვანე ყვავილი.

მიწისფერი ამოვიდა გოგო ოკეანიდან. მივიდა დიდ ქვასთან.

იცნო ბიჭმა მოახლოებული ნაბიჯები – არ გაახილა თვალი. იცოდა, თავზე ადგა შანა. დაჟინებით უყურებდა როროს სისხლს გოგო.

ბიჭს მოეჩვენა, იხრჩობოდა.

მიწის ოკეანისკენ წავიდა შანა. კანკალებდა.

მესამე კენჭი გადაყლაპა ჰონომ – გაუნძრევლად იწვა. წერტილივით ჩანდა „ზღვის“ ჰორიზონტზე შანა.

არ ეძახდა ბიჭი გოგოს – უცდიდა, თავისი ნებით როდის გამოვიდოდა „ზღვიდან“ შანა.

ისევ ანათებდა მწვანე ყვავილი.

იგვიანებდა გოგო.

თვალი გაახილა ჰონომ. წამოდგა ფეხზე. ვერ გაიგო დროის გასვლა. საღამო იყო უკვე. ბინდბუნდში უფრო დიდი მოეჩვენა ოკეანე როროს სისხლს.

შიშისგან გაქვავდა ბიჭი – არ ჩანდა „ზღვაში“ შანა.

ხმამაღლა უნდოდა ჰონოს დაეყვირა – ოკეანის შერცხვა.

„ზღვის“ ტალღებს ვეღარ ხედავდა როროს სისხლი – ოკეანის ხმაური ესმოდა მხოლოდ.

არ მოდიოდა შანა.

მიწაზე ჩაჯდა ჰონო. მუხლებში ჩარგო თავი. აღარ რცხვენოდა ოკეანის – ტიროდა როროს სისხლი.

სიბნელეში მოკიაფე მწვანე ყვავილი ჩანდა მხოლოდ.

ცისფერი ოკეანე

თითქმის აზრდაკარგული გამოვიდა ნაპირზე შანა. დაიღალა. უცნაურმა შუქმა მოჭრა თვალი – კარგა ხანს იდგა სახეზე ხელაფარებული. ვერ მიხვდა, რა ანათებდა ასე.

თვალი რომ გაახილა, საოცარი ფიგურა დაინახა გოგომ – ბიჭს კი ჰგავდა თითქოს ფიგურა, მაგრამ ჰონოს – არა.

თეთრი იყო უცნობი.

არასდოს ენახა კუნძულზე თეთრი ბიჭი შანას. ვერც სანაპირო იცნო – უჩვეულო მიწაში ეფლობოდა ფეხი. ჰონო არ ჩანდა.

შანას ეგონა, კუნძულის სხვა მხარეს მოხვდა იგი – შებრუნდა ოკეანისკენ გოგო.

გაოგნებისგან რამდენიმე ნაბიჯი გადადგა უკან –ლურჯი, გამჭვირვალე, მსუბუქი სითხე დახვდა მიწის ნაცვლად.

არ მოეწონა ამდენი სილურჯე გოგოს.

ფეხის წვერი ჩაყო სითხეში. გააჟრჟოლა.

უცნობისკენ მოიხედა შანამ.

გაეღიმა ფიგურას, ჰონოს რომ არ ჰგავდა.

თვალისდაუხამხამებლად უყურებდა თეთრი ბიჭი მიწისფერ გოგოს. ვერ მიხვდა, ლამაზი იყო თუ არა შანა.

მიწის ოკეანე და ჭორფლიანი ჰონო გაახსენდა გოგოს. მიხვდა, შორს იყო კუნძულიდან. უკან დაბრუნება მოუნდა. გაცურვა ცადა უცნაურ სითხეში. არაფერი გამოუვიდა. მეტად მსუბუქი იყო შანასთვის ცისფერი ოკეანე.

სითხეში იჯდა დაბნეული გოგო – თეთრ ბიჭსა და მსუბუქ ოკეანეზე მეტად ყვითელმა მზემ და ლურჯმა ცამ გააოცა შანა.

მაღლა ისროდა ცისფერი სითხე გოგოს სხეულს.

გაიფიქრა თეთრმა ბიჭმა, რომ უცნაური, მაგრამ ლამაზი იყო გამჭვირვალე გოგო. ხელი გაუწოდა შანას.

მარჯვენა ჩასჭიდა გოგომ ბიჭს – ცისფერი ოკეანიდან ამოვიდა იგი.

ქვა

სიცივისგან გამოეღვიძა ჰონოს. სანაპიროზე იწვა.

ღელავდა ოკეანე.

ფეხზე წამოდგა როროს სისხლი. ცდილობდა, მშვიდი ყოფილიყო.

არ ჩანდა ისევ შანა.

ბრჭყვიალა ბურთულების ამოსათხრელად წავიდა ბიჭი – იცოდა, უკან დაბრუნებულ გოგოს მათ გარეშე ვერ შემოირიგებდა. რამდენჯერმე შემოუარა ირგვლივ მთას.

ვეღარ იპოვა მწვანე ყვავილი როროს სისხლმა – აღარ ყვაოდა კუნძულზე იგი.

ფრჩხილებით დაიწყო მიწის ამოთხრა ჰონომ. ტალახისფერი გაუხდა ხელისგულები.

დიდი იყო მთა.

ძალა გამოეცალა ბიჭს.

მწვანე ყვავილთან ერთად გამქრალიყო ბრჭყვიალა ბურთულები სადღაც.

სანაპიროსკენ გაბრუნდა ჰონო. ძლივს იდგა ფეხზე. მიწაზე დაწვა.

არ ჩანდა შანა.

კენჭი აიღო ბიჭმა. დიდი იყო კენჭი – გამჭვირვალე და მწვანე ფერის.

ჰონოს მოეჩვენა, შანას ჰგავდა იგი. დიდხანს ატრიალა ფიგურა ხელში ბიჭმა – გადაწყვიტა, გოგო რომ დაბრუნდებოდა, მაშინ გადაეყლაპა იგი.

გავიდა შემოდგომა – უფრო მიწისფერი გახდა კუნძულზე მზე.

არ დაბრუნდა მაინც გოგო.

ნელ-ნელა გამუქდა კენჭი და მეტად დაემსგავსა შანას.

უცხო მხარეში

სამყაროს სასრულში მოხვდა შანა. აქ მთავრდებოდა კაცობრიობა თეთრი ხალხით.

სასრულელებს არ მოსწონდათ მიწისფერი გოგო და არც მისი მწვანე კაბა.

თეთრი ბიჭი შეეჩვია მხოლოდ კუნძულელს. არ ჰგავდა იგი სხვა სასრულელებს.

ტიხე ერქვა ბიჭს.

კარგა ხანს იმხასოვრა შანამ თეთრი ბიჭის უცნაური სახელი.

ცისფერი ოკეანის სანაპიროსთან მოდიოდა ყოველდღე ტიხე – ცურვას ასწავლიდა გოგოს.

ცივ სითხეში მუხლამდე ბედავდა შესვლას შანა. აკანკალებდა. უკან ბრუნდებოდა. ყვითელი მზე უწვავდა სველ კანს.

მიწისფერი მზის სითბო აგონდებოდა კუნძულელს.

ტირიფის ორი ტოტი დაჰქონდა სანაპიროზე ტიხეს. ერთი ტოტით შავ თმას იკრავდა წყალში ჩასვლის წინ. მეორეს – შანას ახვევდა ყელზე.

ჰონო ენატრებოდა გოგოს – წითური და გრძელთითებიანი. ქვიშაზე ისროდა ტოტს.

ღიმილით უქნევდა თეთრი ბიჭი გაბრაზებულ გოგოს ხელს. ყირამალას აკეთებდა წყალში და უჩინარდებოდა.

ნაპირთან რჩებოდა შანა. არათითით წერდა ქვიშაზე წერილებს.

ცისფერი ოკეანის სანაპიროსთან დიდი მთა გაჩნდა მალე.

შეამჩნია გოგომ, სამყაროს სასრულის ქვიშა არ ჰგავდა კუნძულის მიწას. არ შეეძლო მას ლაპარაკი. არ გამოცემდა ხმას.

კუნძულის მიწა და წერილების მთა ენატრებოდა შანას.

შანას ძებნა

კუნძული შემოიარა ჰონომ. ყველგან ეძებდა შანას – მთასა და ბარში.

დამრეც სანაპიროს ბოლოს მიადგა ბიჭი. დაღარული შეამჩნია მიწის ოკეანესთან.

შეაშინა ჰონო ქალის ღარებმა.

გაიფიქრა, რომ სიკვდილს ჰგავდა იგი.

სიმღერა დაიწყეს კენჭებმა სანაპიროზე.

მობრუნდა ქალი. შეკრთა. ბიჭმა მაგრად მოკუმა ხელისგული. თითები ატკინა მწვანე ქვამ. თვალის კაკლებიც ღარებად ქცეოდა უცნობს. მიხვდა ქალი, შანა რომ დაკარგა ჰონომ.

ხელისგული გაშალა ბიჭმა. თითები გადაუსვა დაღარულმა ქვას. შეაქცია ზურგი როროს სისხლს – წავიდა იგი.

კუნძულის მარცხენა ყურესთან დაბრუნდა ისევ ჰონო. ოკეანეში დაუწყო ძებნა გოგოს.

ყოველ დილით შედიოდა „ზღვაში“ ბიჭი. ოკეანეში დაიწყო გოგოს ძებნა. ცდილობდა ჰონო, შანას მსგავსად გაევლო პატარა მონაკვეთი სანაპიროდან ოკეანემდე. მარცხნივ ხრიდა თავს. მხრებში იმართებოდა. მოკლე ნაბიჯებით მიდიდოდა მოძრავი მიწისკენ.

არ სიამოვნებდა ცხელი ტალღები ჰონოს. იხუთებოდა. მძიმედ ეკვროდა მიწა სხეულზე. უჭირდა მოძრაობა „ზღვაში“. ლასლასით გამოდიოდა უკან.

არ ჩანდა გოგო ოკეანეშიც.

„ზღვიდან“ გამოსულ ჰონოს დაღარული დახვდა სანაპიროსთან ერთ დილით. ოკეანესთან იდგა ქალი. ჰორიზონტს უყურებდა დაჟინებით.

ვერ მიხვდა როროს სისხლი, რატომ მოვიდა უცნობი მასთან.

არაფერს ამბობდა ქალი.

იმ დღიდან აღარ იყო მარტო ბიჭი – მასთან ერთად ეძებდა დაკარგულ შანას დაღარულიც.

ნუხელ კუნძული მესიზმრა, ჰონო.

გაზაფხული იდგა მანდ. მომწკლარტო სუნი ასდიოდა მინის შეშლილ ოკეანეს.

არ უყვარს გაზაფხული მას.

(აქ ყრვა, ჰონო. ძალიან ყრვა).

ლია მინისფერი ედო კუნძულს.

როგორ მენატრება მინისფერი.

გახსოვს ყვავილი, შენ რომ ასე ძალიან გიყვარდა? მწვანე, ყვითელი გულით.

ისიც ყვაოდა.

ლამაზი იყო ჩვენი სოფელი.

სანაპიროსთან ვიდექით მე და შენ.

(შენ მერე მინის ოკეანე მენატრება, ჰონო).

საოცრად მშვიდი იყო „ზღვა", როგორც შენ ეძახი მას. მეხამუშა სიმშვიდე მისი.

მინდოდა, როგორც ყოველთვის, გვერდი ამევლო შენთვის და ოკეანეში შევსულიყავი.

ხელით დამიჭირე. მიყურე დიდხანს. დიდხანს. კუნძულივით ლია ფერი ედო შენს ჭორფლებს.

ჩემთან ერთად შემოხვედი „ზღვაში". ვიბანავეთ მინის ოკეანეში. მშვიდი იყო ისევ იგი.

ასეთი ძლიერი არასდროს ყოფილხარ, ჰონო.

ოკეანიდან ალარ ჩანდა ნერილების მთა.

დავბრუნდით უკან.

ოკეანისფერი იყო შენი სხეული. გაზაფხულის მომწკლარტო სუნი ასდიოდა მასაც.

პირველად დავინახე ოკეანე შენში.

მერე შენ მაჩუქე მწვანე ყვავილი ყვითელი გულით და მე ვიგრძენი, ეს არის ის, ბედნიერებას რომ ეძახიან ძველი კუნძულელები ჩვენთან.

გამომელვიძა. არ მიტირია. ვიფიქრე მხოლოდ. ვიფიქრე ბევრი.

არ ვიცი, დღეა თუ ღამე ახლა ჩვენს სოფელში. გაზაფხული თუ შემოდგომა. ყვავის თუ არა მწვანე ყვავილი ყვითელი გულით. მინდა, ვიცოდე!

დამაბრუნე მათთან, ჭონო.

ფერი იცვალა ჩემმა კაბამ სამყაროს სასრულში. აქაური მზისფერი ხდება იგი.

ვერ შევინახე კაბა, ჭონო. მედება უფრო და უფრო ყვითელი ფერი.

ასეთს ველარ მიცნობ მალე.

მიპოვე. მიპოვე, სანამ ვარ ისევ მწვანე და გამჭვირვალე, ჭონო!

თეთრი კაბა

თეთრი კაბა ეფინა ქვიშაზე.

სუნთქვა შეეკრა შანას.

ცისფერ ოკეანეში ბანაობდა სამყაროს სასრულელი.

ვერ ხედავდა ტიხეს გოგო. ხელში აიღო კაბა. მიიხედ-მოიხედა.

არ ჩანდა თეთრი ბიჭი.

მოეწონა კაბა შანას. ტანზე მიიფარა. სითხეში ჩაიხედა.

ლამაზი იყო.

მწვანე კაბა გადაიძრო კუნძულელმა. თეთრისკენ დაიხარა.

თვალს ადევნებდა ტიხე გოგოს.

კუნძულელის მიწისფერი და გამჭვირვალე სხეული დაინახა სამყაროს სასრულელმა.

ოკეანეში ჩაყურყუმელავდა ბიჭი – რამდენიმე წამის მერე ამოყო სითხის ზედაპირზე თავი.

ხელში ეკავა ისევ თეთი კაბა მიწისფერ შანას.

სახიდან წყლის წვეთები ჩამოიცილა ბიჭმა. უკან გადაიყარა მხრებზე ჩამოშლილი გრძელი თმები.

შიშველი იყო გოგო – მწვანე კაბა ქვიშაზე ეგდო. წითური ჰო-

ნო გაახსენდა შანას და პირველად გადაყლაპა ქვიშიანი კენჭი.

აუჩქარებლად გადაიცვა ძველი კაბა.

ოკეანის ჰორიზონტისკენ შებრუნდა ტიხე. წყალში ჩაყურყუმელავდა ხელმეორედ – გაუჩინარდა.

თეთრი კაბა ქვიშაზე ეფინა ისევ.

სანაპიროზე იჯდა შანა. ტიროდა გოგო.

ლოლოს ზღაპრები

ცისფერი ოკეანიდან ამოსვლისას მხრებზე იშლიდა სველ თმებს ტიხე. ამოვარდნილ მაჯაზე იხვევდა ტირიფის ტოტს იგი.

თვალს არიდებდა თითქმის შიშველ ბიჭს შანა.

იღიმებოდა სამყაროს სასრულელი. ზლაზვნით იმშრალებდა სხეულს.

თავს ანებებდა ნაცრისფერ ქვიშაში ხელების ამორევას გოგო. თეთრი ბიჭის მაღალ შუბლს აკვირდებოდა იგი.

მორთხმით ჯდებოდა შანას წინ ტიხე – საოცარ ამბებს უყვებოდა პატარა ბიჭზე – ლოლოზე – გოგოს.

სულგანაბული უსმენდა სამყაროს სასრულელის ზღაპრებს შანა.

იყო და არა იყო რა – იწყებდა ტიხე და ვეღარ ხვდებოდა გოგო, მართლა იყო თუ არა, რასაც ყვებოდა სასრულელი.

იყო პატარა ბიჭი ლოლო. სოფელში ცხოვრობდა იგი და თამაშობდა სხვა ბავშვებივით.

მინისფერი ედო ყველაფერს მაშინ – ადამიანებს. ოკეანეს. ვარსკვლავებს. მზეს.

ყვავილები იყო ფერად–ფერადი მხოლოდ.

მობეზრდა ერთ დღეს მინისფერი ბიჭს – მთელი სამყაროს აჯრელება მოუნდა ყვავილებივით.

დასცინეს ლოლოს.

ნავიდა სოფლიდან ბიჯი. ალმა–დალმა დაინყო სიარული. ყვავილებს აგროვებდა, სალებავებს აძზადებდა მათი ფერებისგან და ყველაფერს ლებავდა – გარდა მინისა.

პირველი თეთრი ადამიანი იყო ლოლო სამყაროში.

ფრთები დაიხატა ზურგზე ბიჯმა. მაღლა აფრინდა. ლურჯად მოხატა ცა. ყვითლად – მზე. რძისფრად – მთვარე და ვარსკვლავები.

ადამიანებს მოენონათ ყვავილებისფერი სამყარო – თავადაც გადაიღებნენ თეთრად.

ოკეანის მეორე მხარეს გადაფრინდა ლოლო. ნახა, რომ იქაც ცხოვრობდა მინისფერი ხალხი.

მძიმე ოკეანე ყოფდა სამყაროს სამყაროსგან.

მეოცნებე იყო ლოლო. ცისფერი სალებავებით სურდა მსუბუქ სითხედ ექცია მინისფერი ოკეანე – იქითა მხარეც მოეხატა და გაეერთიანებინა მთელი სამყარო.

დიდი იყო ოკეანე. ბევრი სალებავი დასჭირდა ბიჯს. ნავიდა ყვავილების დასაკრეფად. ველარ იპოვა ისინი. ოკეანის აქეთ ალარ იყო ყვავილი დარჩენილი. ყველა დაეკრიფა ლოლოს.

იქით გადაფრინდა ბიჯი. მოიარა ყველაფერი. ერთადერთი მწვანე ყვავილი იპოვა მხოლოდ. შეუღებავი დარჩა ნახევარი სამყარო – ორად გაიყო იგი.

უსასრულო გახდა ჰორიზონტი – მინისფერი და ცისფერი.

დალონდა ბიჯი – ცისფერში ყველაფერი განათდა და ყვავილები დაკარგეს ადამიანებმა. მინისფერი შეუღებავი დარჩა, მაგრამ იქ მწვანე ყვავილი დატოვა ლოლომ.

უკან გადმოფრინდა ბიჯი.

ნარჩენი სალებავებით ლურჯი ცა გადახაზა სხვადასხვა ფერით. მინაზე ჩამოვიდა და დასრულა სამყაროს გადაღებვა.„

გვიან ღამემდე ყვებოდა „ლოლოს ზღაპრებს“ ტიხე.

თავაუღებლად უსმენდა თეთრ ბიჭს შანა.

ფიქრობდა გოგო, იყო თუ არა მართლა, რასაც ყვებოდა სასრულელი.

მაჯიდან იხსნიდა ტირიფის ტოტს ტიხე. კეფაზე იკრავდა შავ თმას – ისევ შედიოდა ცისფერ ოკეანეში იგი.

შანა ნაპირთან რჩებოდა მარტო.

წერილების მთის ხმა

გაახსენდა ჰონოს, შანას დაკარგვის მერე რომ აღარ გაზრდილა წერილების მთა სიმაღლეში. ირგვლივ შემოუარა ბიჭმა მთას. ავიდა მაღლა. თავი დაადო მიწას. ნეტარმა გრძნობამ დაუარა სხეულში. მიხვდა, შანას ხმა იყო მთაში ჩამარხული. ერთმანეთში ირეოდა მაღლა ამოსული სიტყვები.

ჰონოსა და ჰორიზონტს ახსენებდა ხშირად გოგო.

მიწის ოკეანისკენ გადაიხედა როროს სისხლმა.

შორს იყო ჰორიზონტი – თვალს ვერ აწვდენდა ბიჭი.

მიწის ზედა ფენა მოაცილა მთას ჰონომ. ტალახისფერი გაუხდა ხელისგულები ისევ.

ქუსლებზე იჯდა ბიჭი. შანას ბოლო წერილს კითხულობდა. ოღრო-ჩოღრო ასოებს ძლივს არჩევდა იგი.

მეხსიერებაში აღიდგინა როროს სისხლმა გოგო რომ წერდა, ის დღე.

გვიან მოვიდა სანაპიროზე დილით ჰონო.

ბრჭყვიალა ბურთულაში დაინახა შანამ იგი.

ფეხზე წამოდგა გოგო. დიდ ქვაზე დააწყო უფერო ფიგურები. შევიდა ოკეანეში.

ნაპირზე დარჩა ჰონო – ჩვეულებრივი იყო ის დღე ბიჭისთვის.

ღელავდა „ზღვა“.

„არასდროს ყოფილა ასეთი ყხელი ჩვენი ოკეანე. მენვის სხეული. მივდივარ შორს და შორს. აღარ ჩანს ჰონო.

ხელს მიშლის მწვანე კაბა. ვიხდი. არ იყის ბიჯმა, შიშველი რომ ვბანაობ მინის ოკეანის სიღრმეში ყოველთვის.

კანს მილღვომს ყხელი ტალღები. ტკივილისა და ნეტარებისგან მინდა, ვიკივლო.

ვგრძნობ, რატომ არ უყვარს ორიოს სისხლს „ზღვა“.

უმატა ოკეანემ ხმაურს.

ვერ ხედავს ჰონო ჩემს მწვანე კაბას. მეძახის.

ვბრუნდები უკან.

არ მიშვებს ოკეანე. მებრძვის.

ისევ მეძახის ბიჭი და ვერევი „ზღვის“ ძალას.

მივყურავ ნაპირისკენ.

რომ არ მესმოდეს ჰონოს ხმა, დავმარყხდებოდი ოკეანესთან. ნამიყვანდა სადღაც იგი – უსასრულოს გამხდიდა ორიოს მსგავსად.

მწვანე კაბას ვიყვამ.

უკან იხევს ტალღები.

მყარ მინას ვგრძნობ ფეხქვეშ.

მხედავს ორიოს სისხლი და მშვიდდება.

ჩემი დიდი ქვა ბრჭყვიალებს ნაპირზე ისევ“.

მთის თავზე იჯდა ჰონო. ორიოსა და უსასრულობად ქცეულ მწვანე კაბაზე ფიქრობდა იგი.

ოკეანეს გადახედა ბიჭმა. ერთ მუჭში მოიქცია მიწის წერილი. ბრაზით გადმოყარა ქვემოთ. დაიფერთხა ხელისგულები. თავი დაადო მიწას. ნაცნობი ხმა წამოვიდა ქვემოდან ისევ.

ხელისმტევნებით ჩამოიწმინდა შუბლიდან ღვარად წამოსული ოფლი ჰონომ. ზანტად განაგრძო მიწის თხრა ბიჭმა.

უცნობი კაცი

ოკეანეში იყო შესული ტიხე, თეთრი კაცი რომ გამოჩნდა სანაპიროზე.

შანას მოეჩვენა, სადღაც უკვე ენახა იგი.

თვალი დახუჭა და გაახილა კაცმა. მიწისფერი გოგო სანაპიროსთან იჯდა ისევ.

გაეღიმა შანას. ტიხეს გახედა. ხელს უქნევდა ოკეანიდან ბიჭი. ნაპირისკენ მოცურავდა.

კენჭი აიღო თეთრმა კაცმა. გადაყლაპა და გადაწვა ქვიშაზე.

ჭორფლიანი ბიჭი მოაგონდა გოგოს. თეთრი ჰონო წარმოიდგინა შანამ. ხმამაღლა გაეცინა. მიბრუნდა კაცისკენ. არსადღა ჩანდა იგი – გამქრალიყო.

გაოგნდა კუნძულელი. ტიხე იჯდა ნაპირზე მხოლოდ. შანას აკვირდებოდა და ტირიფის ტოტს იხსნიდა სველი თმებიდან.

ფეხზე წამოდგა გოგო.

უცნობის სხეულის ანაბეჭდი ქვიშაზე იყო ისევ შერჩენილი. ნაცნობი სუნიც იგრძნო შანამ. დიდხანს ეძებდა თეთრ ადამიანს. ვეღარ იპოვა იგი.

დაამშვიდა ტიხემ კუნძულელი – ოკეანიდან არ დაუნახავს უცნობი კაცი სამყაროს სასრულელს. შანა იჯდა ნაპირზე მხოლოდ.

დაეჭვებით გადახედა გოგომ ბიჭს. ფეხით გადაშალა სხეულის ანაბეჭდი. გრილ ქვიშაზე დაჯდა და მუხლებში ჩარგო თავი.

ყვავილი მოენატრა ერთ დღეს პატარა ლოლოს. აფრინდა მაღლა. მეორე ქვეყანაში წავიდა ბიჭი.

კიდან გოგო შეამჩნია – მინისფერი და გამჭვირვალე. ყვავილს ეფერებოდა იგი.

შეუყვარდა ლოლოს გამჭვირვალე გოგო. ზურგზე დახატული ფრთებს აჩვენებდა შორიდან. დაფრინავდა მის თავს ზემოთ.

გოგომ, სანა რომ ერქვა, გაბედა ბიჭთან მისვლა. თითი შეახო ფრთებზე. თეთრი ადამიანივით მოუნდა კაში ფრენა.

კისფერ ქვეყანაში გადმოფრინდა ლოლო. ბუჩქის ძირას დამალული ნარჩენი საღებავები გამოიტანა. ნითურად შეიღება თმები. მინისფრად – სხეული. სახეზე აღარ ეყო საღებავი.

აჭრელდა ლოლო – ჭორფლიანი გახდა.

ჩაიხედა კისფერ ოკეანეში ბიჭმა. ეუცხოვა და მოენონა თავისი თავი. თეთრი და მწვანე საღებავების ბოლო წვეთები დაისხა ხელისგულზე. გადაფრინდა მინისფერ ქვეყანაში.

ნაპირთან ელოდა ლოლოს სანა.

ფრთებით იცინო გოგომ მინისფრადქცეული. შეუყვარდა ლოლო – მთელ ქვყანაში ერთადერთი ნითური და ჭორფლიანი ბიჭი.

მწვანედ შეღება სანას კაბა ლოლომ. ფრთები დაახატა ზურგზე.

აფრინდნენ მაღლა.

აკოცა კაში ლოლოს გოგომ. ნონასწორობა დაკარგა ბიჭმა – ჩამოვარდა.

დარჩა მინისფერ ქვეყანაში ლოლო. მძიმე ოკეანეშიკ ისნავლა კურვა. თამაშობდა კასა და მინაზე სანასთან ერთად.

მწვანე კაბაში უფრო გამჭვირვალე და ლამაზი ჩანდა ყვავილისფერი გოგო.

ნაპირთან ისხდნენ შანა და ტიხე.

ქვიშაში ურევდა ხელებს გოგო.

ბიჭს თავი ჰქონდა გადაწეული. მზის სხივები ეცემოდა ყვრიმალებზე.

ხმა მოისმა შორიდან მძიმე – სამყაროს სასრულელები გამოჩნდნენ სანაპიროზე.

ვერ მიხვდა შანა, რატომ შეგროვდა ერთად ამდენი თეთრი კაცი.

ხელებს დაეყრდნო ტიხე. წამოიწია.

ქვიშის მთისკენ მოდიოდნენ ხმაურით სასრულელები.

მხრებში მოიხარა ბიჭი. გრძელი და სწრაფი ნაბიჯებით გაიქცა **იქით**. წამებს ითვლიდა გულში.

ქვიშის მთის დასანგრევად მოდიოდნენ სასრულელები.

გაუნძრევლად იდგა გოგო.

ერთმანეთში აირია ტიხე და სხვა თეთრი ადამიანები.

უმატა სისწრაფეს ბიჭმა. ფეხები ატკივდა. თმები ჩამოეშალა მხრებზე.

მთას მიუახლოვდნენ სასრულელები.

ხელები აიფარა სახეზე შანამ.

ყრუდ დაენარცხა სანაპიროზე ქვიშის გორები.

მოწყვეტით ჩაჯდა მიწაზე ტიხე – მტვრიანი ჰქონდა სახე და აწითლებული. ორად მოიკეცა თეთრი ბიჭი.

დიდხანს აცამტვერებდნენ უხმო წერილებს სასრულელები.

გვიან მიწყდა მათი ხმაური.

თავი აწია მაღლა ბიჭმა.

მოსწორებული იყო ირგვლივ სანაპირო – აღარ ჩანდა თეთრი ხალხი.

შანასთან მივიდა ტიხე. ხელები ჩამოუწია სახიდან კუნძულელს. გულში ჩაიკრა გაოგნებული გოგო. უხმოდ ატირდა ბიჭი.

თეთრი იყო სასრულელივით შანა და გაუნძრევლად იდგა ისევ.

გამგზავრება

დაღარულთან წავიდა ჰონო.

ნაპირთან ელოდა ქალი როროს სისხლს.

ტალახისფერი ედო ბიჭს. ხელისგულებიც შავი და ჭუჭყიანი ჰქონდა.

თითებზე შერჩენილი მიწის წერილების სუნი ეცა ჰონოს. გაღიზიანდა. სხეულზე დაისვა ხელისგულები.

გამოჩნდა „ზღვა“ – მძიმე და თვალმიუწვდომელი.

ბიჭმა გადაწყვიტა, არ ეფიქრა მიწის ოკეანის სიდიდეზე და კენჭი გადაყლაპა.

ნაპირს მიუახლოვდა როროს სისხლი. უცნაური კაცი შენიშნა შორიდან. თეთრი იყო უცნობი... ბიჭისკენ მოდიოდა.

ვერ მიხვდა ჰონო, როგორ შეიძლებოდა თეთრი ყოფილიყო ადამიანი ან საიდან გაჩნდა კუნძულზე იგი.

ბიჭის წინ გაჩერდა უცნობი. გრძელი თითები ჰქონდა – კუნძულელებისთვის ზედმეტად მაღალ შუბლზე ეყარა შავი თმები.

ჰონოს უყურებდა კაცი დაჟინებით.

ვერ დაინახა უცნაური ადამიანის სახე ბიჭმა. მოეჩვენა, თხევადი იყო მთლიანად იგი.

გზა გააგრძელა თეთრმა ადამიანმა.

კუნძულის სიღრმისკენ წავიდა იგი. სწრაფად გაქრა ჰორიზონტიდან.

გაოგნებული გაიქცა როროს სისხლი სანაპიროსკენ. ერთი საოცრება კიდევ ნახა „ზღვასთან“ ჰონომ – ქალის ნაცვლად ღარები დახვდა მიწის ოკეანესთან.

უკან-უკან დაიხია ბიჭმა. შებრუნდა. თვალები დახუჭა და გადაეშვა „ზღვაში“.

ლოლოს ზღაპრები

ერთ ღამეს ფრთები დაკარგეს გოგომ და ბიჭმა. ალარ ეხატათ გაღვიძებულებს განიერი, თეთრი ფრთები ზურგზე – გამქრალიყო ისინი.

შეიკვალა იმ დღიდან ყველაფერი.

მონყენილი იყო ხშირად ლოლო – კისფერი ქვეყანა ენატრებოდა.

თავის ფრთებს ალარ დარდობდა სანა. ბიჭზე ფიქრობდა.

იკოდა ლოლომ, მძიმე ოკეანით შეიძლებოდა იქით დაბრუნება მხოლოდ – არ წყვეტდა მწვანე კვავილს ფრთების დასახატი საღებავისთვის მაინკ.

გოგოს არ უნდოდა, იქით წასვლა. არ მიჰყვებოდა ბიჭს კისფერ ქვეყანაში. უკან არ ბრუნდებოდა სანას გარეშე ლოლოკ.

დრო მაინკ გავიდა.

ხშირად ბანაობდნენ ოკეანეში ქალი და კაკი.

ლოლო ჰორიზონტს უყურებდა მუდამ. უფრო ენატრებოდა კისფერი ქვეყანა. დარდობდა.

ერთ დღეს ნავიდა ჯრელ საამყაროში კაკი. უკანმოუხედავად შევიდა ოკეანეში.

არ გაჰყვა სანა ლოლოს. სანაპიროსთან დარჩა ქალი. თვალმოუკრლებლად უყურებდა კაკს.

უზარმაზარ ოკეანეში ნერტილად იქკა მინისფერი სხეული და გაქრა საღლაკ.

მონატრება

სამყაროს სასრულელს დაემსგავსა შანა. თეთრი იყო გოგო და ყვითელი ეცვა კაბა – ცისფერი ოკეანის მზემ უცვალა ფერი კუნძულელის მწვანე კაბას.

სანაპიროსთან იდგა შანა. განუწყვეტლივ ეხვეოდა სივრცეს

– სივრცე იყო ჰონო – წითური და გრძელთითებიანი.

ჭორფლი „ბატი“ გაახსენდა გოგოს. გაეღიმა. ისევ მოეხვია ჰონოს – სივრცეს.

მოენატრა ბიჭი და კუნძული.

ტიხემ შეამჩნია, მიწის ოკეანე სახლობდა გოგოს თვალში – დიდი და უსასრულო ოკეანე.

ცისფერ სითხეში შევიდა შანა – არ უყვარდა მას მსუბუქი სითხე. მიწის ოკეანის სიმძიმე ენატრებოდა.

მაღლა ამოაგდო გოგო მლაშე წყალმა.

ტალღების დინებას გაჰყვა კუნძულელი. ზემოდან მოექცა მათ. გაწვა. შავი თმები გაიშალა წყალზე. ხელები ფრთხილად მოუსვა ტალღებს შანამ. მსუბუქად გასრიალდა ოკეანის ზედაპირზე სხეული.

მშვიდად უყურებდა ტიხე ნაპირიდან გოგოს. იცოდა, გათეთრებული კუნძულელი აღარ წავიდოდა არსად – მასთან დაბრუნდებოდა ოკეანიდან ისევ.

უცნაური წერილი

ყურადღებას არ აქცევდა ქალი თეთრ კაცს. კუნძულის მარცხენა ყურესთან იდგა და ელოდა ჰონოს.

იგვიანებდა როროს სისხლი.

შორიდან უყურებდა ღარებადქცეულს კაცი. გაბედა ნაპირთან მიახლოება ერთხელ. დიდი ქვის ქვეშ ამოდო უჩვეულო ფერის ქაღალდი და წავიდა.

ვერ მოისვენა ქალმა. მივიდა ქვასთან.

ღარებადქცეულის სახელი ეწერა გარედან ფურცელს – აღარ ახსოვდა საკუთარი სახელი კუნძულელს. წერილს წერდა ქალს თეთრი კაცი.

დაკეცა ქაღალდი როროს სიყვარულმა. სამი დღე დაატარებდა წაუკითხავად თან. დაიღალა.

მეოთხე დღეს შორიდან დაინახა თეთრმა კაცმა, როგორ მო-

ისროლა მიწის ოკეანეში წერილი ქალმა.

დაისვენა ღარებადქცეულმა. გულში გაიმეორა საკუთარი სახელი. გამობრუნდა უკან. საქორწილო კაბა ამოიღო სკივრიდან. გაამზეურა.

იჯდა ქალი და მწვანე ჰაერს უყურებდა.

მზის ჩასვლისას მიწისფერ ცეცხლში დაწვა სკივრიც და კაბაც ღარებადქცეულმა.

მწვანე ჰაერის ცეცხლში ჩაგდება წერილის გადაგდებაზე მეტად გაუჭირდა როროს სიყვარულს.

შეხვედრა

ოკეანეში იპოვა ტიხემ აზრდაკარგული ბიჭი. მიწისფერი იყო იგი.

შორიდან იგრძნო შანამ ოდნავ მომწკლარტო სუნი კუნძულის. აიშალა. ჰონო იწვა მის წინ – წითური და გრძელთითებიანი. დიდხანს ელოდა გოგო ბიჭს. კოპლიანი ჰქონდა სახე ისევ როროს სისხლს. გაღიავებული ჭორფლი „შანა“ აღარ ჩანდა ნიკაპთან თითქმის.

თვალი გაახილა ჰონომ. გაიკვირვა ყვითელ-თეთრი გოგო – გაუმჭვირვალი და უცნაური ფერის კაბით. ხელისგულში დამალულ მწვანე ქვას დახედა კუნძულელმა.

ერთმანეთს შეხედეს თეთრმა ბიჭმა და გოგომ.

მიხვდა ტიხე, ვისაც ეძებდა მიწისფერი ადამიანი – მწვანე შანას ჰგავდა ქვა.

უმწეო იყო გოგო – ყვითელ კაბას ისწორებდა იგი.

ჩუმად ჩაიღიმა ტიხემ – წყნარად გაადევნა თვალი კუნძულელებს.

მიწის ოკეანის დარდი

მთელმა სოფელმა გაიგო იმ ღამეს, როგორ ამოიხუვლა მიწის ოკეანემ.

სანაპიროსკენ წავიდნენ კუნძულელები.

მღვრიე იყო ტალღა – უფრო შავი, ვიდრე მიწისფერი.

ვერ გაიგო ხალხმა, რა ხდებოდა. თეთრმა კაცმა იგრძნო მხოლოდ, რაღაც რომ აწუხებდა მიწის ოკეანეს და დარდობდა.

ამაზრზენი ხმაურით ასკდებოდა ნაპირს ტალღები.

მობრუნდა კაცი. ღარებადქცეულის სახეს წააწყდა პირდაპირ. დიდხანს უყურეს ერთამნეთს. სიბნელეში უფრო ნაცნობი ჰქონდა სახე ახალკუნძულელს..

ჩურჩულით გაიმეორა კაცმა, რაღაც აწუხებსო მიწის ოკეანეს და წავიდა.

მიხვდა ღარებადქცეული, რასაც დარდობდა „ზღვა“. ინანა, წაუკითხავად რომ მოისროლა უცნაური ფერის ქაღალდი მიწის ტალღებში.

უმატა ოკეანემ ხმაურს. სანაპიროს გაერიდნენ დამფრთხალი სოფლელები – გაუჩინარდნენ კუნძულის სიღრმეში. როროს სიყვარული დარჩა „ზღვასთან“ მხოლოდ.

ჰონო და ტიხე

ერთად ეძებდნენ ჰონო და ტიხე მიწისფერ შანას. ფეხით შემოიარეს საყაროს სასრული. ვერსად იპოვეს გამჭვირვალე კუნძულელი. არც წერილების მთა არსებობდა უცნაურ ქვეყანაში.

ოკეანის ნაპირთან დარჩა თეთრი გოგო. ცისფერ სითხეში ბანაობდა იგი. ქვიშაზე ტოვებდა ყვითელ კაბას. გრილ ტალღებზე ფიქრობდა მხოლოდ. ღრმად ყურყუმელავდებოდა წყალში – ტიხეს მსგავსად აკეთებდა ყირამალებს.

დიდი ხნის მერე დაბრუნდნენ უკან კუნძულელი და სასრულელი.

შეკრთა შანა. გაიფიქრა, რომ სისხლით ჰგავდნენ ერთმანეთს ისინი. იმ დღიდან მარტო ბანაობდა ცისფერ ოკეანეში ტიხე. ჰონოსთან იჯდა თეთრი გოგო სანაპიროზე. გულში ითვლიდა ბიჭის ჭორფლებს. კუდაპრეხილი „ბატის“ დანახვაზე ვერ იკავებდა ღიმილს.

არ უყურებდა შანას კუნძულელი. მწვანე ქვას ათამაშებდა ხელში. მიწისფერ გოგოზე ფიქრობდა მხოლოდ.

ფერის ცვლა დაეწყო მალე ჰონოს. უფრო დაემსგავსა ტიხეს.

შეეშინდა გოგოს. არ უნდოდა, თეთრი ენახა როროს სისხლი. ცისფერ სითხეში შეიყვანა იგი. თავს ვერ იკავებდა ოკეანის ზედაპირზე ბიჭი. ხელებზე ეჭიდებოდა შანას. ციოდა.

შორიდან უყურებდა ისევ კუნძულელებს ტიხე.

გაცურა ჰონომ.

ერთმანეთს შემოკრა ხელისგულები ყვითელკაბიანმა. დაბზრიალდა ჰაერში. ცხვირზე გაუჩნდა გაცინებისას პატარა ხაზი.

გაოგნებული დააკვირდა გოგოს კუნძულელი. მწვანე ქვას დახედა.

სწრაფად გამოცურა ტიხემ ნაპირისკენ. ტირიფის ტოტი მოიხსნა თმებიდან. ბიჭს მისცა იგი.

აწურული იდგა შანა. აღარ ტრიალებდა.

თმები შეიკრა როროს სისხლმა. მწვანე ქვა გაუწოდა გოგოს და ტიხესთან ერთად შეცურა ცისფერი ოკეანის სიღრმეში.

წერტილად იქცნენ სწრაფად სასრულელი და კუნძულელი..

შორს იყო უკვე ჰონო.

აუჩქარებლად მოცურავდა ტიხე უკან. შეამჩნია ბიჭმა, აღარ იდგა სანაპიროსთან შანა და შეშინებულმა მთელი ძალით მოუსვა ხელები წყალში.



ლოლოს ზღაპრები

მინისფერი კოლოფი მისცა დაბრუნებული ლოლოს ქალმა.

განიერი ფრთების სუნი ასდიოდა საჩუქარს.

ცალი თვალით ჩაიხედა კოლოფში კაცმა. გახედა ბებერს.

თეთრი სალებავების გამხმარი ნარჩენები ეყარა შიგ.

ფრთხილად ამოუარია კოლოფში თითი ლოლომ. გაიღიმა. დაიხარა სანასკენ.

არ უყურებდა ქალი კაცს.

ირგვლივ შემოუარა სანას ლოლომ. ვეება კუზზე დაახატა ფრთები. მოისროლა კოლოფი.

მინაზე მიმოიფანტა თეთრი სალებავი.

აფრინდა მაღლა ბებერი. ზემოდან დაუქნია ხელი კაცს და უსასრულო ჰორიზონტში გაუჩინარდა.

გამჭვირვალე ღარებადქცეული

ახალ ზღაპრებს ყვებოდნენ შანასა და წითურ როროზე ძველი კუნძულელები.

არ ჯეროდათ საოცარი ამბების დიდებს. აღარ ახსოვდათ რორო და შანა.

ბავშვები უსმენდნენ ძველ კუნძულელებს მხოლოდ.

ჰონო და ღარებადქცეული მარცხენა ყურესთან ელოდნენ ისევ გამჭვირვალე გოგოს.

შორიდან უყურებდა თეთრი ახალკუნძულელი ბიჭსა და ქალს.

ფიქრობდა ჰონო, რაღაც უნდოდა კაცს რომ ეთქვა მათთვის.

ვერ ხვდებოდა როროს სისხლი, რა უნდა ჰქონოდა სათქმელი უცნობს.

მდუმარე იყო თეთრი ადამიანის შემყურე ქალი.

წავიდა ერთ დილით სოფლიდან ახალკუნძულელი.

შეამჩნია ღარებადქცეულმა, როგორ შევიდა კაცი „ზღვაში“.

გაუშვა ოკეანემ ადამიანი. სწრაფად შთანთქა ახალკუნძულელი – ხმაურით მოასკდა ნაპირს.

ტალღამ გადაუარა თავზე ბიჭსა და ქალს. ჩაითრია ღარებადქცეული. უმატა ხმაურს.

ატალახებულ „ზღვაში“ შესვლას ცდილობდა ჰონო.

არ იკარებდა როროს სისხლს ოკეანე.

ნაპირთან დარბოდა ბიჭი. ვეღარ ხედავდა ქალს.

დროში დაიკარგა ჰონო.

უსასრულობისკენ მიყავდა ოკეანეს შანა.

დაიღალა გოგო. ვეღარ ერეოდა „ზღვას“.

არ ეძახდა როროს სისხლი შანას. ნაპირთან იწვა.

შველას ითხოვდა გოგო. სხეულზე ეტმასნებოდა მწვანე კაბა. აღარ ყოფნიდა ჰაერი. უსასრულობად იქცეოდა იგი.

ხმამაღლა დაიღრიალა შანას სახელი დროში დაკარგულმა ჰონომ.

ჰორიზონტი გაგლიჯა ბიჭის ხმამ. უკან დაიხია ტალღებმა.

გამოჩნდა ქალი. ნაპირისკენ მოცურავდა იგი. მოერია „ზღვას“.

მიწის ოკეანის შხეფებს დაეფარა ქალის ღარები.

გაოგნდა როროს სისხლი. უმშვენიერესი გამჭვირვალე და მიწისფერი კუნძულელი მოდიოდა სანაპიროზე.

მიწის წერილები

ღამეა, შანა.

მინისფერია ჩვენი კუნძული.

მახსოვს – შენ გიყვარდა ასეთი ღამე – მშვიდი, ბნელი და ასე მინისფერი.

ერთ საათში ამოვა მზე. სანაპიროზე ღარებადქცეული მოვა ისევ. სიკვდილს ჰგავს რაღაცით იგი.

ჩვენ გელით შენ – მინისფერს. გამჭვირვალეს. მნვანეს.

კიდევ ვიღაცას ელის ღარებადქცეული. არ ვიცი, ვის. დუმს ქალი.

დაბრუნდი, შანა.

მინის ოკეანე გიცნობს და გამოგიშვებს ნაპირისკენ.

მას უყვარხარ შენ და ვძულვარ მე!..

ყვავილი

ყვითლად გადაფითრდა ჰონო. მწვანე ყვავილი ბრჭყვიალებდა სანაპიროზე.

შემოდგომა იდგა კუნძულზე.

ახლოს ვერ ბედავდა ყვავილთან მისვლას ოროროს სისხლი. გოგოს კოცნა იგრძნო ზურგში.

შეამჩნია ღარებადქცეულმა, როგორ გამოჩნდა ჰონოში შანა – გამჭვირვალე და მიწისფერი. მწვანე კაბით დაიხარა ყვავილისკენ და გაიღიმა.

არ უყვარდა ასეთი გაღიმება ბიჭს.

უფერო ფიგურაში მოამწყვდია ჰონო გოგომ. კედლებს მიასკდა მიწისფერი კუნძულელი. ვერ დააღწია ბურთულას თავი. ასად გაიხლიჩა.

ტკივილისგან იყვირა ჰონომ.

მშვიდი და მწვანე ქვასავით მშვენიერი იყო შანა. ფიგურიდან არ უშვებდა ბიჭს.

შეამჩნია ღარებადქცეულმა, როგორ გაწამდა ჰონო. თვალი აარიდა დროსა და სივრცეში დაკარგულ როროს სისხლს ქალმა და ძირში მოწყვიტა აბრჭყვიალებული მწვანე ყვავილი ყვითელი გულით.

დაუმთავრებელი ზღაპარი

იყო და არა იყო რა, იყო ერთი პატარა ბიჭი. ჯრელი ფერების ქვეყანაში ცხოვრობდა იგი. ყვითლად ანათებდა იქ მზე. ლუარჯი იყო ცა. ცისფერი – ოკეანე. რძისფერი – მთვარე და ვარსკვლავები.

დაიღალა ერთ დღეს ამდენი ფერის ცქერით ბიჭი და მინისფრად მოუნდა სამყაროს გადაღებვა...

1994/1995

ჭრელი და თეთრი ხეები

(ბიჭს, რომელიც უნდა დაბადებულიყო
და არ დაიბადა)

დედა და ბიჭი

მტკივნეულად დაიბადა ბიჭი.

კარგად ახსოვდა ის დღე დედას.

ცოტა უცნაური ჰქონდა სახე ექიმს, ქალს რომ მთასავით ადგა იმ წუთში თავზე.

ესეც ახსოვდა დედას.

ღელავდა კაცი – ყოველ სამ წუთში სასმელიან ბოთლს იყუდებდა პირზე.

ეშინოდა დედას, შემთვრალ ექიმს არაფერი ევნო ბავშვისთვის – მარტო ამას დარდობდა იგი.

იტირა ბავშვმა.

ის წამიც ახსოვდა დედას, მისი ხმა რომ მოესმა პირველად.

ჩვეულებრივად იტირა ბავშვმა – მთასავით კაცს რაღაც ეუცხოვა მაინც ბიჭის ხმაში.

გაიფიქრა ექიმმა, რომ ტკივილი იყო ხმაში ბევრი – სასმელით სავსე ბოთლი მიიყუდა პირზე ისევ.

არაფერი უთქვამს კაცს ქალისთვის.

დედას ისიც ჩარჩა მეხსიერებაში, შვილი რომ დაინახა პირველად.

პატარა იყო ბიჭი ძალიან – უმწეო დიდ კაცთან.

დედას მოუნდა, ხელიდან გამოეგლიჯა ბავშვი კაცისთვის – ძალა არ ეყო.

ვერაფერს გრძნობდა ქალი გარდა ტკივილისა და იმისა, რომ დედა გახდა. მთასავით კაცს მისი ბიჭი ეჭირა ხელში.

ბავშვი გადაბანა ექიმმა.

ქალს მოეჩვენა, მთასავით კაცი სასმელში ბანდა ბიჭს.

პატარა გვერდით მიუწვინა დედას კაცმა.

ლამაზი იყო ბავშვი – მოეწონა ქალს – დედასა და მამას ჰგავდა იგი.

დიდი სახლის თეთრ ოთახში დაიბადა ბიჭი.

არ უყვარდა ქალს ეს ოთახი. მაინც **აქ** გაჩნდა ბავშვი.

მთელ სხეულზე სასმელის მძაფრი სუნი ასდიოდა ბიჭს და შეუსვენებლად ტიროდა.

თეთრი ოთახი

დღე და ღამე ხმაამოუღებლად იწვა ბიჭი. თეთრ კედლებს აკვირდებოდა იგი – მხოლოდ კედლებს.

დედა ცდილობდა, ყურადღება არ მიექცია შვილის **სიმუნჯისთვის**. ახსოვდა ქალს, დაბადებისას იტირა ბავშვმა და იყო „მშვიდი“. ბოლოს დაკარგა წონასწორობა მაინც – სხვა ბავშვებივით არ ტიროდა და არ ხმაურობდა მისი შვილი.

ბევრი აწვალა ბიჭი ქალმა – არაფერი გამოუვიდა. არც ტიროდა და არც დედას უყურებდა ბავშვი – ისევ თეთრ კედლებს აკვირდებოდა იგი.

შეშინდა დედა – ექიმი მოიყვანა.

დიდხანს ატრიალა მთასავით კაცმა კედლებზე თვალგაშტერებული ბიჭი ხელში. სასმელით სავსე ბოთლი მოიყუდა პირზე.

გაღიზიანდა ქალი.

ისევ ერთი ციდა ჩანდა ბიჭი მთასავით ექიმის ხელში.

ვერაფერი გაიგო კაცმა – გაახსენდა, დაბადებისთანავე რომ არ მოეწონა რაღაც ქალის შვილში.

ისევ მოსვა სასმელი ექიმმა – ბავშვსაც მოასმევინა.

შეიშმუშნა ბიჭი. პირველად მოაცილა მზერა თეთრ კედლებს. უკმაყოფილო სახე მოაბრუნა კაცისკენ.

იგრძნო ექიმმა, მის წითელ ცხვირს უყურებდა ბავშვი.

რამდენიმე წამით დააკვირდა უცნაური კაცის სახეს ბიჭი – ისევ დაუცარიელდა თვალები – თეთრი კედლებისკენ მიაბრუნა პირი.

ხმა არ ამოუღია დედას.

ექიმმა კიდევ ერთხელ მოსვა ბოთლიდან სასმელი და ბიჭის სხვა ოთახში გადაყვანა მოითხოვა.

ამოისუნთქა ქალმა. არ უყვარდა დედას თეთრი ოთახი. **იქ** იზრდებოდა შვილი მაინც.

ხელში აიყვანა ბიჭი ქალმა. თეთრი კარისკენ წავიდა. ბოთლით გაჰყვა უკან მთასავით კაცი დედას.

უცხო ოთახი

იცოდა ექიმმა, ამდენ ტირილს დიდხანს ვეღარ გაუძლებდა ბავშვი – მოკვდებოდა.

ნელ-ნელა სვამდა სასმელს კაცი. თვალს არიდებდა სახეაწითლებულ ბავშვს.

აგრესიულად ტიროდა ბიჭი.

ფეხმოუცვლელად იჯდა ბავშვთან დედა – დახარბებული ისმენდა ბავშვის ხმას. თურმე მართლა იცოდა ტირილი ბიჭმა. სამი დღე და ღამე არ გაჩუმებულა იგი.

ადრე სიჩუმით შეწუხებული სახლი ხმაურით დაიღალა ახლა.

მეოთხე დღის გამთენიისას სასმელის განსაკუთრებით დი-

დი ყლუპი მოსვა ექიმმა.

ისევ ტიროდა ბავშვი – არ შეეჩვია სხვა ოთახს.

თვალს ვერ უსწორებდა მთასავით კაცი ბიჭს.

მეტი მოცდა აღარ შეიძლებოდა. თეთრ ოთახში მოითხოვა ბავშვის დაბრუნება ექიმმა.

უხმოდ გადასცა მთასავით კაცს ბიჭი დედამ.

თეთრ კართან შეჩერდა ქალი.

კიდევ ერთხელ მოიყუდა ექიმმა ბოთლი. იღლიაში ამოიჩარა ტირილისაგან დაოსებული ბავშვი და თეთრ ოთახში შევიდა.

რამდენიმე წამში მიჩუმდა ბიჭი.

კარის ჭუჭრუტანიდან დაინახა დედამ, როგორ დააწვინა მთასავით კაცმა მისი შვილი – თეთრ კედლებზე თვალგაშტერებული ბავშვი. მიხვდა ქალი, განწირული იყო.

სასმელი მოსვა ექიმმა – დააკვირდა დაცარიელებულ ბავშვს.

უყვარდა მთასავით კაცს ბიჭი.

ბოთლი და თეთრი ხე

ჩემს ოთახში ქალი დადის ყოველდღე ერთი.
ლამაზია ქალი – ჩემმა კედელმა მითხრა ასე.
მოდის და მიყურებს ქალი. სულ მიყურებს.
რა უნდა ჩემგან?
არ მიყვარს, ასე რომ მაკვირდებიან.
ხანდახან ერთი კაციც მოჰყავს ქალს.
დიდია ძალიან კაცი.
ჩემს კედელს არ მოსწონს, მგონი, ის კაცი.
რა ვიცი, რატომ?!
მე მიყვარს იგი – სულ უცნაური ფერის ბოთლი უჭირავს ხელში – სვამს რალაცას იქიდან.
ისიც იმ ქალივით მიყურებს, მაგრამ ცოტა სხვაგვარად

მაკვირდება.

მე არ ვ
ემ ხმას არურ ქალსა და არურ კაურს – რა ვუთხრა მათ?

შუბლზე მკოურნის კაური წასვლის წინ და რალაურნაირ სუნს ტოვებს ჩემს ოთახში. ასე მგონია, ჰაერს უნდა ჰქონდეს ასეთი სუნი.

კედელი რომ არ მიშლიდეს, არ ვიური რაზე, მაგრამ აურილებლად დაველაპარაკებოდი კაურს.

მიდის დიდი ადამიანი და ისევ ქალი მოდის ჩემთან.

ვინ არის იგი?

კედელს არ სიამოვნებს ქალის ხსენება. სულ დუმს კედელი. რა ვიური, რატომ?

მართლა რა ლამაზია ქალი.

დიდი ხნის წინ ჩემი კედელი თეთრ ხეზე მელაპარაკებოდა. ალბათ, იმ ხის სუნი ასდის ქალს.

თეთრი ხე ახლა ყვავის თურმე.

უნდა ვნახო. აურილებლად უნდა ვნახო თეთრი ხე.

ხვალვე ვთხოვ კედელს, იქ წამიყვანოს.

კარი გაიღო. თეთრი კარი. ჩემი კარი.

კედელს არ უყვარს, მას რომ ალებენ.

ის ქალი შემოვიდა ისევ. როგორ გავიგო, ვინ არის იგი?

უნდა ვკითხო. დიდ კაურს უნდა ვკითხო!

რატომ მიშლის თეთრი კედელი მათთან ლაპარაკს?

მამის ოთახი

ბიჭი რომ მიყურებს, ურიელია, მაგრამ სავსეა მაინურ.

გამუდმებით ვგრძნობ, რალაურ ხდება ბავშვის ოთახში – თეთრ ოთახში.

თავბრუ მეხვევა იქ შესულს ყოველთვის. გალიზიანებული ვსვამ და ვსვამ არაყს.

ვეუბნები ხშირად ქალს, ბიჭი ასე არ იქნებოდა, რომ არა

ეს კედლები.

დუმს ქალი.

ქვასავით დუმს. არასდროს მომწონდა მისი დუმილი.

ოდესაც ხნის წინ, მეზობელ სოფელში ავადმყოფთან მისულმა, შემოხვევით გავიგე, იმ თეთრ ოთახში მომკვდარა ბიჭის მამა.

შესულა კარი ოთახში და ალარ გამოსულა.

ბიჭის დედას უთქვამს, თეთრმა კედლებმა მოკლესო ჩემი ქმარი და დამუქრებია ოთახს.

როგორ უნდა მოეკლა ოთახს კარი? ან რით დაემუქრა ქალი თეთრ კედლებს?

უცნაურია ქალი. ყოველთვის ვამბობდი ამას. რატომ გაჩინა ბიჭი სწორედ იმ ოთახში, სადაც კარი მოკვდა?

ჩუმად არის ახლა ბიჭის დედა.

ყოველდღე შედის შვილთან და გვერდით უზის.

არც ბიჭი იღებს ხმას და არც ქალი ელაპარაკება ბავშვს.

დედას უნდა, შვილმა უთხრას პირველი სიტყვა.

არ მესმის ქალის. ხვალ ბიჭთან უნდა ნავიდე და თან ნავუღო დიდი ჭრელი ბურთი.

იქნებ, დაავიწყოს კედლები ბურთმა.

ხვალვე უნდა ნავიდე. ხვალვე.

ჭრელი ბურთი

დიდხანს ატრიალა ბიჭმა ხელში დიდი ჭრელი ბურთი.

შორიდან უყურებდა მთასავით კაცი ბავშვს.

მოეჩვენა ექიმს, უხაროდა ბიჭს – საჩუქარი უხაროდა.

კაცს ახედა ბავშვმა. არაფრისმთქმელი ჰქონდა სახე ბიჭს, მაგრამ ლამაზი.

ექიმს მოუნდა, ლოყაზე ეკოცნა ბავშვისთვის. ვერ გაბედა. ცივი ჩანდა ბიჭი.

გვერდით მიუჯდა ბავშვს მთასავით კაცი.

ჩაიწია ბიჭი. ადგილი დაუთმო ექიმს.

ეუცხოვა მთასავით კაცს ეს...

დიდხანს არწმუნებდა მერე დედას – გაუღიმა იმ წუთში ბიჭმა.

იცოდა დედამ, არ შეეძლო შვილს გაღიმება. არ დაუჯერა ქალმა კაცს.

დაეჭვდა ექიმიც ერთხანს. კარგა ხანს იხსენებდა ბიჭის სახეს – მართლა გაუღიმა ბიჭმა თუ სასმელისგან გაბრუებულს მოეჩვენა ასე?

გაუღიმა ბიჭმა – ახსოვდა ექიმს. კარგად ახსოვდა. უცნაურად კი გამოუვიდა გაღიმება, მაგრამ მთასავით კაცი უცნაურობას რას დაეძებდა.

მოეწონა ბიჭს ჭრელი, დიდი ბურთი.

ცოტა ხნის მერე ექიმმა ბოთლიდან სასმელის დიდი ყლუპი მოსვა; ბიჭს შუბლზე აკოცა და ოთახიდან გავიდა.

მინაწერი ბოთლის ეტიკეტზე

უკვე არ არის საშიში სიმუნჯე ბიჭის.
ამდენი დუმილი აღარ შეუძლია ბავშვს.
დღეს დილით ქალისგან გავიგე, ბურთი
შეყვარებია ძალიან ბიჭს. ჩემი ნაჩუქარი ბურთი.

თეთრ ხესთან

მე და ჩემი ბურთი თეთრი ხის სანახავად წავიყვანა კედელმა დღეს.

ლამაზი იყო ხე. ძალიან ლამაზი და მართლა იმ ქალის სუნი ასდიოდა, თეთრ ოთახში რომ დადის.

ჩემს ბურთსაც მოენონა ხე.

ხმას არ იღებდა კედელი მთელი დღე. ბოლო დროს დაჩემდა სიჩუმე. მე მეგონა, ბურთი რომ მიყვარდა, ის არ მოსწონდა კედელს, მაგრამ დღეს ისიც წამოიყვანა თეთრი ხის სანახავად. არ ვიცი, როგორ შემოვირიგო იგი.

რა კარგია, დღეს რომ იქ ვიყავით სამივე.

დიდხანს ვიდექი ხის წინ – მინდოდა, მისი სითეთრე მთლიანად შემესრუტა.

გამილიმა კედელმა. ადამიანთა ლიმილი არ მომწონს ისე, როგორც ჩემი თეთრი კედლის. კირ–ქვის გემო აქვს მის ლიმილს.

მსურდა, სულ, სულ თეთრ ხესთან დავრჩენილიყავი, მაგრამ კედელმა უკან დაგვაბრუნა მეც და ჩემი ჯრელი ბურთიც.

რა ლამაზია ჩემი ბურთი! დიდმა კაცმა მაჩუქა იგი. როგორ მიყვარს კაცი და ბურთი და ქალი, დიდი კაცივით რომ არასდროს მკოცნის შუბლზე, მაგრამ მე ვიცი მაინც, კაცზე მეტად ვუყვარვარ მას.

არ ვეუბნები კედელს, თორემ მე ვხვდები. ყველაფერს ვხვდები!

გუშინ მომენატრა ბიჭი.

არყის დიდი ბოთლი წავიღე შინიდან. თეთრ ოთახში მივაკითხე ბავშვს. ორი დღის უნახავი მყავდა იგი.

საერთოდ ვერ მხედავდა ბიჭი. მომეჩვენა, სადღაც ძალიან შორს იყო წასული. ბურთიც თან ჰყავდა წაყვანილი.

დიდხანს ვიყავი მარტო თეთრ ოთახში. ბურთთან ერთად სადღაც წასული ბიჭის სახეს დავაკვირდი ახლოს.

რაღაც უჩვეულოდ აყვავებული ხეს ჰგავდა ბავშვი. არასდროს მინახავს ისეთი ხე. არ ვიცი, როგორ „მოხვდნენ“ იქ ბიჭი და ბურთი.

თვალს ვერ ვწყვეტდი ბავშვს. შეუსვენებლად ვსვამდი არაყს. კარგა ხნის შემდეგ „დაბრუნდა“ ოთახში ქალის შვილი (ბიჭს დაემსგავსა ისევ).

ეტყობოდა ბავშვს, ხესთან უნდოდა ყოფნა ისევ.

ისე შემომხედა ბიჭმა, მომეჩვენა, რაღაცის თქმას აპირებდა. ხმას არ იღებდა ქალის შვილი. თეთრი კედლის ეშინოდა, ალბათ.

არაყი მოვსვი ბოთლიდან და ვუთხარი ბიჭს, ძალიან ლამაზი რომ იყო თეთრი ხე.

სახე მოაბრუნა ჩემკენ ბავშვმა. ერთად იმდენი გაოცება დავინახე, ვერ გავუძელი. დავხარე თავი.

ისევ მოვსვი არაყი. და მაინცდამაინც იმ წუთში, მე რომ მივიტანე ბოთლი პირთან, ქალის შვილმა, მუნჯმა, ქვასავით მდუმარემ, პირველად ამოიღო ხმა.

ყელში გამეჩხირა არაყი. სასწრაფოდ დავაბრუნე შეშინებულმა სასმელი უკან.

ისე ამოიღო ბიჭმა ხმა, ვითომ არც არაფერი ეკეთებინოს მთელი სიცოცხლე ლაპარაკის მეტი. მშვიდი ჰქონდა ხმა ბავშვს. მომეჩვენა, ასეთი სავსე წინადადება არასდროს მომესმინა აქამდე.

ლამაზ ხეს იმ ქალის სული ასდის, თურმე, ბიჭთან რომ

შემოდის ყოველდღე თეთრ ოთახში – ასე თქვა ბავშვმა.

მაშინვე ვიგრძენი ლამაზი ხის სუნი და ვუთხარი ბიჭს, რომ ის ქალი, მას რომ ნახულობს, დედაა მისი.

არ იცოდა ქალის შვილმა, რას ნიშნავს დედა.

მინდოდა, ისე ამეხსნა ბავშვისთვის ყველაფერი, ბიჭსაც გა-ეგო და კედელიც გაგიჟებულიყო.

უსიამოვნო ხმაური ისმოდა ოთახში. ბორგავდა კედელი. ბრაზობდა. და მე მარტივად ავუხსენი ბავშვს, დედა რომ ყვე-ლაზე კარგია ამქვეყნად, თეთრ კედელზეც კი კარგი.

პირზე ამაფარა ხელი ბიჭმა. შეეშინდა კედლის. გავბრაზ-დი ძალიან და სასმელით სანახევროდ სავსე ბოთლი თეთრ კედელს მივანარცხე.

არც მაშინ და და არც მერე არ მინანია, სასმელი რომ შევწირე კედელს.

იყვირა ბიჭმა და მომეხვია.

ერთიანად კანკალებდა იგი.

ბიჭი

კედელს ბოთლი შეანარცხა დიდმა კაცმა – ჩემს კედელს.

შემეშინდა. ძალიან შემეშინდა.

სულ დაიღვენა უცნაური ფერის ბოთლი. რალაც სითხე ნერ-ვებმოშლილი მონვეთავდა კედლიდან – ჩემი კედლიდან.

ბევრი ჰაერის სუნი იდგა ოთახში.

მე ვიფიქრე, რაიმე ცუდს იზამდა კედელი. ჩემს დიდ კაცს გაუბრაზდებოდა იგი.

ჩუმად იყო კედელი. სულ ჩუმად და უფრო მეშინოდა. ვთხოვდი, ვეხვეწებოდი, ეთქვა რამე ჩემთვის. დუმდა. დუმდა კედელი.

ხელში ვუავდი ჩაბღუჯული მთასავით კაცს. ვმშვიდდებოდი ნელ-ნელა. მეჩვენებოდა, ამოდენა კაცს ვერც ჩემი კედელი მოერეოდა. თან სულ ვფიქრობდი ქალზე, ჩემს ოთახში შე-

მოსულს თეთრი ხის სუნი რომ ასდის ხოლმე.

კაცმა თქვა, კედელსაც სჯობსო დედა.

როგორ გაბედა ამის თქმა?

ან, თუ მართლა ასე კარგია ქალი, რატომ არ მაძლევს კედელი მასთან ლაპარაკის უფლებას?

კედელზე უკეთესი, იქნებ, არც არის დედა, მაგრამ იმ ხის სუნი ხომ ასდის?

დედა

იმ დღის მერე არ უნახავს ბიჭს ექიმი. დაიკარგა მთასავით კაცი.

ის ქალიც გაქრა რატომღაც – დედა.

კედელი ხმას არ იღებდა საერთოდ კაცზე – ძუნწად ელაპარაკებოდა ბოლო დროს ქალის შვილს.

ბევრს ფიქრობდა ბიჭი მთასავით კაცზე, ქალზე, თეთრი ხის სუნი რომ ასდიოდა და ჭრელ ბურთზე, **იმან** რომ აჩუქა.

დიდი ხნის მერე გაიღო ბიჭის ოთახის კარი.

თეთრი ხის სუნი შემოვიდა ოთახში.

ლამაზი იყო ქალი და ბრაზიანი.

ვერ მიხვდა ბიჭი, რატომ უნდა ყოფილიყო ასე გაცეცხლებული ქალი – ხომ თქვა კაცმა, კედელზეც კი კარგიაო იგი.

დიდხანს უყვიროდა თეთრ კედელს დედა. ვერ არჩევდა ქალის სიტყვებს ბავშვი.

საერთოდ არ უყურებდა შვილს დედა.

ჩუმად იყო კედელი. ბიჭიც.

სიკვდილის კედელი უწოდა შვილის კედელს ქალმა – დიდი კაციც ახსენა ყვირილის დროს.

ვერაფრით დააკავშირა ბავშვმა ერთმანეთთან დედა. კედელი. დიდი კაცი. სიკვდილი.

ოთახიდან გავიდა ქალი. **ის** სუნიც **წაიღო** თან.

ზუსტად დაამახსოვრდა ბიჭს, როგორ გაიხურა იმ დღეს

დედამ კარი.

თავი აღარ აუწევია მაღლა ბავშვს.

ისევ დუმდა კედელი. არაფერს ეუბნებოდა ქალის შვილს იგი.

რაღაც წამში მიხვდა ბიჭი, ჰაერის სუნს რომ ვეღარ იგრძნობდა ვეღარასდროს და გული დაწყდა.

კედელი. ბურთი. დედა

– **თეთრი ხის სუნი აგდის, დედა!** – პირველი სიტყვები იყო, ბიჭმა რომ უთხრა დედას.

კარგა ხანს იდგა ქალი დამუნჯებული. ვერ მიხვდა, რა მოხდა. დაიბნა იგი.

ისევ გაიმეორა ბიჭმა სიტყვები – დაჟინებით დააკვირდა დედას.

არ ახსოვდა ქალს, რა უთხრა შვილს; უთხრა თუ არა საერთოდ რამე. ცდილობდა, მშვიდი ყოფილიყო.

იდგა ბიჭი და დედას უყურებდა. დედას და არა კედელს. და არა ბურთს.

ქალი ჯერ ბიჭს მისჩერებოდა. მერე – კედელს; კედელს და მერე – ისევ ბიჭს.

კედელი დედასა და ბიჭს აკვირდებოდა ერთად.

დიდი კაცის ნაჩუქარი ჭრელი ბურთი მიაჩეჩა დედას ხელში შვილმა. თეთრ კედელთან ახლოს მიიყვანა ქალი.

გაოგნებული იყო დედა.

კართან იდგა ბიჭი. იქიდან უყურებდა სამივეს ერთად – დედას, ბურთსა და თეთრ კედელს.

ბავშვს უნდოდა, ასე გაეჩერებინა მთელი სიცოცხლე ეს სურათი – ქალი, ბურთი და **ის**.

იგრძნო დედამ, თეთრ კედელთან რომ იდგა. სიკვდილის სუნი სცემდა ყოველთვის კედლის სიახლოვეს.

ჭრელი ბურთი დაუბრუნა ქალმა ბავშვს და პირველად აკო-

ცა შუბლზე.

დედისა და მამის ხმა ჰქონდა ქალის შვილს.

გულში ჩაიხუტა ბურთი ბიჭმა – ჩაჯდა იატაკზე.

თეთრი ოთახიდან გასულმა დედამ კარი ხმაურით გაიჯახუნა.

დიდი კაცის დაბრუნება

ზურგსუკან მოახლოვებულ ნაბიჯებს გულში ითვლიდა დედა. არ იძროდა ადგილიდან.

მხარზე დაადო კაცმა ხელი ბიჭის დედას.

ღრმად შეისუნთქა არყის სუნი ქალმა. აეწვა მთელი სხეული – ცოცხალი იყო დიდი კაცი – ვერ მოკლა კედელმა იგი.

უსიტყვოდ წავიდა თეთრი ოთახისკენ ექიმი. ხმაურით შეაღო კარი.

მაშინ დაბრუნდა დიდი კაცი, ბიჭი რომ აღარ ელოდა მის გამოჩენას.

არაფერი შეიმჩნია ბავშვმა – ჩაიწია იატაკზე. ადგილი დაუთმო ექიმს.

ქუდი მოიხადა კაცმა. გაიღიმა. ბიჭს გაუღიმა.

გაიფიქრა ბავშვმა, რომ ადამიანებმაც იციან კარგი ღიმილი.

ბევრს ლაპარაკობდა ბიჭი და ჩქარა.

ჭრელი ბურთის უცნაურ ფერებზე ამბობდა რაღაცას ქალის შვილი.

იმ დღესა და თეთრ კედელზე ხმას არ იღებდა იგი.

კაცმა თქვა, რომ გარეთ ახლა საღამოა და კარგია. ძალიან კარგი. ბიჭის ბურთივით ლამაზი და ჭრელია ყველაფერი.

თეთრი კედლისკენ გააპარა თვალი ბავშვმა. შეეშინდა ბიჭს.

ფეხზე წამოდგა მთასავით კაცი. ხელში ეჭირა უცნაური ფერის ბოთლი ისევ.

ჭრელი ბურთი აიფარა სახეზე ქალის შვილმა – არ უნდოდა, **ის შიში** ხელახლა გადაეტანა.

არ ისმოდა ბოთლის მსხვრევის ხმა.

ვერ გაიგო ბავშვმა, რა ხდებოდა – ჩამოწია ბურთი.

მთელი სხეულით მიყრდნობოდა ექიმი კედელს. მშვიდად სვამდა ბოთლიდან რაღაცას. არაფერს ამსხვრევდა.

კარგა ხანს ვერ მოეგო გონს ბიჭი – თეთრ კედელზე დიდი ჩანდა კაცი.

ჩუმად იყო კედელი. არ ბრაზობდა რატომღაც იგი. დაწყნარდა ბიჭი – ჭრელ ბურთს დაუწყო ხელში თამაში.

დიდი კაცი კედელზე იყო ისევ მიყრდნობილი და უღიმოდა ქალის შვილს.

ჭრელი ხე

დიდი კაცი დაბრუნდა ჩემთან. ხმაურით შემოაღო თეთრი კარი. ჰაერის მძაფრი სუნიც შემოყვა თან. ბოთლი ეჭირა ძველებურად ხელში კაცს. ძალიან ნითელი ჰქონდა სხვირი და სასაცილო.

საოცარ რამეებს ამბობდა დიდი კაცი. სულ არ ეშინოდა კედლის. დაბრუნებისთანავე თქვა ხმამაღლა (უფრო, მგონი, კედლის გასაგონად), გარეთ ძალიან ლამაზი და ბურთივით ჭრელიაო ყველაფერი.

რას ნიშნავს ჭრელი?

განა შეიძლება ხე არ იყოს თეთრი?

მარწმუნებს კედელი, ტყუისო კაცი – ხე თეთრიაო ყველა.

ვის უნდა დავუჯერო, არ ვიცი – კაცს თუ კედელს?

ჩვენთან მოსვლამდე ჭრელი ბურთი დიდ კაცთან ერთად ცხოვრობდა გარეთ და მეუბნება, მართლა კარგიაო იქ.

რატომ მომატყუებს ბურთი?

იქნებ, არ იცის თეთრმა კედელმა და არსებობს ჭრელი ხეებიც? არ იცის, ალბათ.

სულ ვფიქრობ, კედელზე დიდია კაცი, თუ მე მეჩვენება ასე?

მინაწერი ბოთლის ეტიკეტზე

არასდროს შემოდის ოთახში ქალი, როცა მე ვარ ბიჭთან. მხოლოდ ეზოდან გასვლისას ვხედავ წამით მის გრძელ შავ თმებს დიდი სახლის მარცხენა კუთხესთან.
მე თუ მემალება ბიჭის დედა.
მგონი, მართლაც არ მესმის ქალის. ჩემს ავადმყოფობასაც თეთრ კედლებს აბრალებს იგი – შემთხვევითობის არაფერი წამს.
უცნაურია ქალი. ძალიან უცნაური.?

კედლის იქით და აქეთ

კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად დედა და შვილი.

როგორც ყოველთვის, შუა ოთახში იჯდა ფეხმორთხმული ქალი იატაკზე. არ ეკარებოდა კედელს.

ხვდებოდა ბიჭი, რატომ ჯდებოდა დედა შვილისგან შორს – ეშმაკურად ეღიმებოდა.

საოცრად უყვარდა ბიჭის ღიმილი ქალს.

დუმდა კედელი, დედას რომ ხედავდა.

ბავშვს ეჩვენებოდა, თეთრ კედლებს ცოტათი ეშინოდათ კიდეც ქალის. სიამოვნებდა ბიჭს ეს, მაგრამ არ ამბობდა ხმამაღლა არაფერს.

გაიღო თეთრი კარი.

შემოვიდა დიდი კაცი და მთლიანად შეავსო ოთახის სივრცე.

დიდხანს უყურებდა ქალი ექიმს. არ იხედებოდა კაცი ბიჭის დედისკენ. ბავშვს ელაპარაკებოდა იგი – ხმაურით სხვამდა სასმელს.

არ ესმოდა ქალს არაფერი. ცდილობდა მიმხვდარიყო, რას არ ამბობდა კაცი.

შეამჩნია ბიჭმა, ზომაზე მეტად იყუდებდა ექიმი ბოთლს პირზე.

მალე წამოდგა ფეხზე კაცი. როგორც ყოველთვის, ძალიან დიდი იყო იგი.

ოთახიდან გასვლისას, ბიჭისთვის მოულოდნელად, თეთრ კედლებს დაუქნია ქუდი დიდმა კაცმა.

უსიამოდ ახედა კედელს ქალმა. მიხვდა დედა, ბავშვს არ ელაპარაკებოდა დღეს ექიმი. უკან გაჰყვა ქალი კაცს.

იგრძნო ბიჭმა, რაღაც მოხდა კედლის შიგნით და რაღაც ხდებოდა კედლის გარეთ, ოღონდ რა, ვერც ის გაერკვა და ვერც ჭრელი ბურთი ამაში. კედელი კი ისევ დუმდა.

რატომ?

რატომ არის ბურთი მრგვალი? – მრგვალი.

დედა ამბობს, საერთოდ მრგვალიაო ბურთი. უბრალოდ, მრგვალი – მეტი არაფერი. მეტი არაფერი!

რა ადვილად ხსნის დედა ყველაფერს – უბრალოდ მრგვა–ლი!

(და რატომ არის იგი უბრალოდ მრგვალი?)

დიდმა კაცმა მითხრა, უფრო კარგად შეიძლებაო მრგვალ ბურთზე ფეხის დარტყმა.

რატომ უნდა დავარტყა ბურთს ფეხი? ან სად წავა იგი, ფეხი რომ დავარტყა?

დედა ამბობს, ჰაერში წავაო ბურთი.

და სად არის მერე ჰაერი?

როგორი არის ჰაერი?

რა ფერის არის ჰაერი?

დიდმა კაცმა მითხრა, თეთრიაო იგი.

მაშ, რატომ ვერ ვხედავ ჰაერს? რატომ?

კედელიკ ხომ თეთრია – ჩემი კედელი. ხომ ვხედავ მას. თეთრ ჭაერს ვერ ვხედავ.

ან რატომ არის ჩემი კედელი თეთრი?

რატომ არ არის შავი? დედამ მითხრა, თეთრი ფერი ამშვიდებსო ადამიანს. შავი – პირიქით.

თუ ასეა, რატომ მაგიყენს ჩემი კედელი და რატომ ვერ ვკრლდები მას?

დიდი კარი ამბობს, რომ მინაში ინყება თეთრი კედელი და მინის ზედაპირიდან სამ მეტრში მთავრდებაო.

როგორ შეიძლება, სამი მეტრის სიმაღლისა იყოს იგი მხოლოდ?

ან რა უნდა მინაში ჩემს თეთრ კედელს? რა უნდა? მე ვთხოვე დედას – ამოვიყვანოთ იგი მინიდან!

გაიღიმა დედამ მხოლოდ.

რატომ გაიღიმა დედამ? რატომ?

არ უყვარს ჩემი თეთრი კედელი დედას! არ უყვარს!

მამლის ბიბილო

წინ გადაუდგა ექიმს ბიჭის დედა.

დიდხანს იდგნენ ერთ ადგილზე უხმოდ ქალი და კაცი.

დაიბნა ექიმი – სულმოუთქმელად დაცალა არყის ბოთლი.

ბოლოს თქვა ქალმა, კაცის ცხვირი მამლის ბიბილოს მაგონებსო და წავიდა.

– მამლის ბიბილო არ არის ცუდი, - გაიფიქრა მოულოდნელობისგან გამშრალმა კაცმა და დაბნეული შევიდა თეთრ ოთახში.

კედლის კუთხეში ისხდნენ ქალის შვილი და ჭრელი ბურთი.

შეამჩნია კაცმა, სიცილს ძლივს იკავებდა ბიჭი.

მთელი სახე საკუთარი ცხვირისფერი გაუხდა ექიმს და იატაკს მოწყვეტით დაენარცხა ბავშვის გვერდით.

დიდი კარი გვიყვარს ძალიან მე და ჭრელი ბურთს.

როცა კედელს ჩვენთვის არ ცალია, ჩუმად გოლიათზე ვლაპარაკობთ.

ბოლო დროს ხშირად მოხოვს ბურთი, გარეთ გავიპაროთ – თეთრ კედელს გავეპაროთ.

გაიგონა ამას ნინ მისი ნათქვამი კედელმა და დასაჯა ბურთი – აღარ ნამოიყვანა ჩემთან ერთად კედლების ქვეყანაში.

არ მიყვარს ის ქვეყანა. ბევრნი არიან კედლები და მძიმეები. უაზროდ დაბოტებენ აქეთ–იქით.

ბევრს ჭორაობენ კედლები. საოცრად ბევრს!

ჩემი კედელი კი ჩუმად არის სულ.

იქ რომ ვარ, მეშინია, რომელიმეს შემოხვევით არ შემოვეჯაჭოლიტო და თეთრ კედელს ვეხვევი ტანზე.

დიდ პატივს სცემენ ჩემს კედელს თავის ქვეყანაში – ნამოსვლის ნინ ყოველთვის ხელზე კოცნით ემშვიდობებიან.

მე ძალიან მეცინება ამაზე, მაგრამ არ ვიცინი.

ვიცი, ენყინება კედელს.

მინაწერი ბოთლის ეტიკეტზე

არ ჯერა ქალს, ბიჭი რომ მალე გავა გარეთ.
არასდროს ჯერა ქალს ჩემი. თავს აქნევს და წითელ
ჰამაკს ამ კვირაში უკვე მესამედ რეცხავს.
უცნაურია ქალიც და კედელიც.
არ ვიცი, თეთრი კედელი ვერ ხვდება ვერაფერს,
თუ ხვდება მაინც?
მეშინია, არაფერი დაუშავოს ბიჭს.
ბოლო დროს თეთრ ოთახში ვარ ხშირად. ჭრელი
ბურთით ვთამაშობთ მე და ბიჭი.
აღარ მელაპარაკება კედელი.
ხანდახან მეჩვენება, რაღაცას მართლა ხვდება იგი!

ფრენა

ჰაერი დაინახა ბიჭმა ცაში – ბევრი ჰაერი.

ნაწილაკებად იხლიჩებოდა იგი მაღლა და ქვემოთ წამოსული ისევ ერთ მასად იკვრებოდა ბიჭის თავთან.

თეთრი იყო მართლა ჰაერი, რძისფერი დაჰკრავდა.

ჭრელი ბურთივით ლამაზი ჩანდა ყველაფერი.

თავბრუ დაეხვა ქალის შვილს.

მოუნდა, დიდი კაციც ყოფილიყო სადმე ახლოს – ასე უფრო ლამაზი იქნებოდა ყველაფერი.

არც დედა ჩანდა.

მხოლოდ ბიჭი და ბურთი იყვნენ მინდორში – ბურთი და ბიჭი და ბევრი ჭრელი ხე – მართლა ჭრელი ხე.

დიდხანს იტრიალა ერთ ადგილზე ქალის შვილმა – მოეწონა.

ჰაერთან ერთად ფრინავდა იგი.

კარგი იყო ჰაერი – უამრავი ფერი და უჩვეულო სუნი ჰქონდა მას.

დიდი კაცის სიტყვები გაახსენდა ბიჭს – ფეხი დაარტყა ექიმის ნაჩუქარ ჭრელ ბურთს.

გაფრინდა ბურთი – მართლა გაფრინდა.

ქალის შვილს მოეჩვენა, სიხარულისგან ერთიანად იბზარებოდა მისი სხეული.

გაფრინდა ბურთი და ისევ მოფრინდა მერე ბავშვთან.

ჭრელი ბურთის სუნთქვა გაიგონა ბავშვმა. პირველად გაიგონა.

უხაროდა ცაში ფრენა. გარეთ იყო იგი ბიჭთან ერთად – მართლა გარეთ. ჰაერში. თეთრი კედელიც არ ახლდა თან.

მარტონი იყვნენ ბავშვი. ბურთი. ჰაერი. და ბევრი ჭრელი ხე.

არ ეშინოდა ბიჭს არაფრის – არც კედლის.

მწვანე მინდორში დარბოდა ქალის შვილი და ჰაერში დაფრინავდა ჭრელ ბურთთან ერთად.

დღეს სულ მარტო ვიყავით თეთრი კედელი, ჭრელი ბურთი და მე. არ ჩანდა ქალიერ.

ბევრი ითამაშეს ჩემმა კედელმა და ბურთმა.

მე არ მეწყალა.

კუთხეში ვიჯექი. დიდ კაცზე, დედასა და თეთრ კედელზე ვფიქრობდი.

რალაც არ მოეწონა კედელს მგონი. თავი მიანება ბურთთან თამაშს და წავიდა თავის ქვეყანაში. მე არ წავყევი. პირველად ვუთხარი უარი. ჩემთან დარჩა ჭრელი ბურთიერ.

ნანყენი გავიდა კედელი ოთახიდან, მაგრამ არ უთქვამს სიტყვაც ჩემთვის – ალბათ, იმიტომ, დედისა რომ ეშინია.

მარტო დავრჩი თუ არა, ისევ ამაფორიაქა ჭრელმა ბურთმა. დიდ კაცს ჰგავს ხასიათით იგი.

ბურთის თქმით, გარეთ იმდენი ჰაერი არის, ხელის გაუშლელადაც კი შეიძლება ფრენა.

იცის ბურთმა, დიდი კაცი და ჰაერი მიყვარს, მაგრამ მეშინია კედლის. კართან მისვლასაც მიკრძალავს იგი.

ავდექი ფეხზე.

დიდხანს ვიყავი აკრული თეთრ კარზე.

დიდ კაცს ვიხსენებდი.

დავხუჭე თვალები და მთელი ძალით გამოვაღე კარი – უფრო სწორად, მე და ბურთმა გავაღეთ ერთად იგი.

რა ადვილი ყოფილა კარის სახელურის ჩამონევა!

და მე დავინახე რალაც დიდი, ბურთულებად დაყოფილი უსასრულო სივრცე. მივხვდი, რომ ეს არის ჰაერი.

სწორად თქვა ბურთმა – ხელის გაუშლელადაც შეიძლება გარეთ ფრენა.

მე მომინდა, დიდი კაციერ ყოფილიყო ჩვენთან ერთად მინდორში, სადაც ბევრი ჭრელი ხე დგას.

სულ ვფიქრობდი, მართლა არ იცის თეთრმა კედელმა ჭრელი ხეებიერ რომ არსებობს? თუ მომატყუა?

რას იტყვის იგი, მე რომ ეს ვუთხრა?
ალბათ, საშინლად გაბრაზდება.
არ ვეტყვი. არაფერს ვეტყვი მას.
რა სხვანაირი იქნება ყველაფერი, კედელმა ჯრელ ხეებთან რომ გადარგოს ჩვენი თეთრი ხე.

შიში

იმ დღესვე მიხვდა კედელი, ჰაერი რომ ენახა ქალის შვილს.

ბიჭის თვალებში შენიშნა მან რძისფერი სივრცე.

არაფერი უთქვამს ბავშვისთვის. ახმაურდა უცნაურად.

ვერ გაერკვა ბიჭი, რა ხდებოდა. შეეშინდა ცოტა. დედასავით დაჯდა შუა ოთახში – აღარ შეეხო კედელს.

ქალს თეთრი კარის გაღებისთანავე ეცნო კედლის ხმაური. ბიჭის მამის სიკვდილის წინა დღეები გაახსენდა. იგრძნო, გარეთ რომ იყო ბავშვი ნამყოფი – ამას შეეძლო მხოლოდ კედლის განრისხება ასე.

ავმა წინათგრძნობამ შეიპყრო დედა. უცნაური სიზმარი ნახა ღამით. დუმდა ბიჭი სიზმარში ისევ. სულ დუმდა. თეთრი კედლის კუთხეში იჯდა ქალის შვილი – თვალები ცარიელი ჰქონდა.

შეეშინდა ქალს. ძალიან შეეშინდა. გაღვიძებულიც დააფრთხო სიზმრიდან წამოყოლილმა ცარიელმა თვალებმა შვილის.

უჩვეულო აფეთქების, ხრიალისა თუ სისინის ხმა მოისმა გამთენიისას ბიჭის ოთახიდან.

დედას ეგონა, მკვდარი თუ არა, ცარიელი მაინც დახვდებოდა შვილი. დიდხანს იდგა თეთრი ოთახის დაკეტილ კართან ქალი.

აღარ იყო კედლებში ბიჭი. ჰაერში წასულიყო იგი. დიდ ჰაერში.

უცნაური სისინის ხმა ისევ ისმოდა ოთახიდან.

ვერ ბედავდა შიგ შესვლას ქალი.

ხმაურობდა კედელი.

მიხვდა დედა, რაც მოხდა. სწრაფად მოიხურა კარი და ხელმეორედ მოაგონდა დღე, ბიჭის მამა რომ ნახეს თეთრ ოთახში ფერფლისფერი და ჩუმი.

კარგად ახსოვდა ქალს, ბავშვი იმ დღიდან ზუსტად ხუთი თვისა და ათი დღის მრე დაიბადა. ბიჭი კი **იყო** თითქმის მაშინ, მაგრამ ვერ იგონებდა მამას მაინც.

ბიჭს არ ახსოვდა მამა.

მინაწერი ბოთლის ეტიკეტზე

არ დაიჯერა კედელმა, ყველა ხე რომ არ არის თეთრი. ამას შეეწირა ჩემი და ბიჭის დიდი ბურთიც.
სანამ ბავშვსაც მორევია, უნდა დავანახო კედელს, მართლა რომ არსებობს ჭრელი ხეებიც. უნდა დავანახო!

კარი

მინდვრიდან დაინახა ბიჭმა ოქროსფერი, წვრილი ალები რომ ადიოდა ქალის დიდი სახლიდან ცაში.

(მე შემეშინდა, რომ ისინი კედლებს წვავდნენ. თეთრ კედლებს. ჩემს კედლებს).

სულმოუთქმელად გარბოდა სახლისკენ ბიჭი.

(ჭრელი ხეები თვალისდახამხამებაში რჩებოდა ჩემ უკან).

გაქვავდა ბიჭი – გაოგნებისგან ნაბიჯის დაძვრა ვერ შეძლო წინ.

ცეცხლი ეკიდა თეთრი ოთახის კარს.

(და არა კედელს. მხოლოდ კარს. მხოლოდ კარს. უკაროდ

დარჩა ჩემი თეთრი კედელი).

გარეთ იყვნენ მთასავით კაცი და ქალი. მიწაზე იჯდა დიდი კაცი. ჩაიწია.

(ადგილი დამითმო მე. დავჯექი კარის გვერდით. უხმოდ გამოვართვი უცნაური ფერის ბოთლი და მოვსვი).

არაფერი უთქვამს კაცს.

ზიზღით გააგდო ხელიდან ბოთლი ბიჭმა – ცეცხლმოკიდებული კარი დაუტრიალდა თვალწინ. მაგრად დახუჭა და გაახილა თვალები ბავშვმა.

(ცეცხლის ალის იქით თეთრი ხე და ჩემი კედელი დავინახე. მართლა დავინახე).

მთლიანად დაიწვა კარი.

თეთრ ოთახში შევიდნენ დიდი კაცი, ბიჭი და ქალი.

(ვერ მამჩნევდა კედელი – დამნვარი კარისკენ იყურებოდა. იქით მივბრუნდი).

სუნთქვა შეეკრა ბიჭს.

(ჭრელ ხეებს – უამრავ ჭრელ ხეს ხედავდა ჩემი კედელი. ცარიელი ადგილიდან ბევრი ჰაერი შემოდიოდა ოთახში. ცოტა ნაცრის სუნი დაჰკრავდა მას.

ყველაფერს ხედავდა კედელი. სულ, სულ ყველაფერს და დუმდა.

ალარ ჰგავდა მისი დუმილი ძველ დუმილს).

თვალს ადევნებდნენ ქალი და კაცი ბავშვს.

ხელში ატრიალა დიდხანს გახეთქილი ბურთი ბიჭმა.

დიდ კაცს გახედა ბავშვმა.

(სულ სხვანაირი გახდა ჩემი კედელი. ძველებურად მომინდა, მაგრად მივკროდი მას).

ხელები მოხვია მხრებზე შვილს დედამ.

(და მე გადავწყვიტე, კედელს გავუმხილო, ძალიან რომ მინდა ჩვენი თეთრი ხე ჭრელ ხეებთან ერთად იყოს ჰაერში.

არ გაბრაზდება კედელი.

ვინ იცის, იქნებ, მანაც მოინდომოს ასე?)

1994/1995

რეგა

დედის სიკვდილი

ოთახში იწვა ქალი – თეთრი და სველი.

რადეუს მოეჩვენა, წვიმისგან სველდებოდა დედა. ოთახიდან ოთახში დარბოდა ბიჭი. ღია ფანჯრებს კეტავდა ყველგან. მიხვდა რადეუ, უზარმაზარი სახლის ყველა ფანჯრის ჩაკეტვას ვერ მოასწრებდა – ვეღარ უშველიდა ქალს. შეეშინდა ბიჭს, მარტო არ მომკვდარიყო დედა. უკან დაბრუნდა. ოთახში დახვდა უფრო თეთრი, უფრო სველი დედა და ხარი.

ვერ მიხვდა რადეუ, როგორ შემოვიდა ლურჯ ოთახში ცხოველი. დაიბნა ბიჭი.

იატაკზე იწვა ხარი. ლოგინიდან ჩამოცურებულ დედის დამდნარ ხელს შეუსვენებლად ლოკავდა იგი,

ფანჯრისკენ გაიხედა ბიჭმა. თქეშად მოდიოდა წვიმა ციდან. არსად ჩანდა ისევ მზე.

ფეხზე წამოდგა ხარი. თმებზე დაყნოსა დედას. დაჟინებით დააკვირდა გაოგნებულ რადეუს – გვერდით დაუდგა.

გაახსენდა ბიჭს, ზუსტად ასე ედგა წლების წინ ხარი პაპას.

კაცი იყო ამ დღიდან რადეუ.

ღიად ჰქონდა თვალები დარჩენილი დედას. იგრძნო ბიჭმა, რაღაც უნდოდა ეთქვა შვილისთვის ქალს – ვერ მოასწრო.

წვიმა და სიკვდილი მოულოდნელად მოვიდა დიდ სახლში.

ინანა ბიჭმა, მარტო რომ დატოვა ოთახში მომაკვდავი – ფრთხილად დაუხუჭა თვალები დედას.

მივიწყებული საფლავი

ყვითელი კაბა ჩააცვა რადეუმ დედას. ხარის ზურგზე დაამაგრა ქალი. ეზოდან გადავიდნენ. რვა დღე იარეს ერთად შვილმა, დედამ და ხარმა. მეცხრე დღის გამთენიისას შეაწუხა გახრწნილი გვამის მძაფრმა სუნმა რადეუ – ქალის დაკრძალვის დრო იყო მოსული.

კლდის ძირას დამარხეს დედა ხარმა და რადეუმ. ძლივს ამოავსეს ქვიანი მიწით ღრმა საფლავი. იცოდა კაცმა, აღარასდროს მოვიდოდა აქ. შეეცოდა დედა. უკანმოუხედავად გამობრუნდა სოფლისკენ.

მძიმე ნაბიჯებით გაეკიდა ხარი პატრონს.

პაპა

დედასთან ერთად იზრდებოდა რადეუ.

პაპა თითქოს სულ არ ცხოვრობდა ბიჭთან ერთად – მარტო იყო იგი.

ყოველთვის იზიდავდა მოხუცისკენ **რაღა**ც.

დედას არც არასდროს აუკრძალავს შვილისთვის კაცის ნახვა – მაინც ჩუმად იპარებოდა პაპის ოთახში ბიჭი. სული უგუბდებოდა იქ შესულს – უკიდეგანო, თეთრ ჭაობს აგონებდა მოხუცი ბიჭს. ყოველთვის ეშინოდა ჭაობში ჩავარდნის რადეუს – ფეხაკრეფით უახლოვდებოდა პაპას.

წვერებსა და თმებში ჩაკარგული კაცის სახეს ჯერ ფრთხილად უბერავდა სულს რადეუ – ცდილობდა, პაპის სახე ეპოვა უსასრულო სითეთრეში. ნელ-ნელა ბრაზდებოდა ბიჭი. დაბოღმილი ხმამამოუღებლად აგლეჯდა პატარა ხელისგულე-

ბით თეთრ თმებს მოხუცს. ფიქრობდა, მას ემალებოდა პაპა. ცრემლები ახრჩობდა სიბრაზისგან.

არც არასდროს აქცევდა კაცი ყურადღებას რადეუს – გაურბოდა მას. მშვიდად იტანდა ბიჭის სიბრაზეს. ხართან ერთად დადიოდა ეზოში მხოლოდ.

ჩუმად ადევნებდა თვალს მოხუცს და ცხოველს ბიჭი. არავინ სძულდა ხარივით რადეუს. შურდა მისი. ხარი, ლანგუ რომ ერქვა, ბიჭის პაპის დაბადებამდეც ცხოვრობდა ქვის სახლში. ადამიანივით დაყვებოდა იგი მოხუცს – გვერდიდან არ სცილდებოდა კაცს.

პაპა გარდაიცვალა შავ ოთახში – სულ მარტო იყო კაცი. ადამიანივით ღრიალებდა იმ ღამეს ლანგუ. არასდროს უგრძვნია ერთად ამდენი შიში ბიჭს. დიდხანს ესმოდა ზეწარში გახვეულს ცხოველის ბორგვა შორიდან.

დედის გვერდით დაინახა დილით ხარი ბიჭმა. საღებავების მძაფრი სუნი ასდიოდა ქალს. არ ჩანდა მოხუცი. რადეუმ გაიფიქრა, რომ თეთრ ჭაობში ჩაიძირა იგი.

კარგა ხნის მერე იპოვა შავ კედელზე გადასული პაპა ბიჭმა. ისე ჰგავდა ცოცხალს კაცი, სული შეუბერა რადეუმ – კვლავ ემალებოდა მოხუცი ბიჭს – სახეს არ აჩვენებდა შვილიშვილს. თვალისმომჭრელად თეთრი ჩანდა შავ ოთახში პაპა ისევ.

კედლებზე გადასული წინაპრები

გადმოცემით იცოდა რადეუმ, მისმა ყველზე ჯმუხმა წინაპარმა, ლაშმა რომ მოიყვანა ქვის თეთრ სახლში საგვარეულო ხარი ლანგუ. თვალს ვერც ახელდა ახალდაბადებული მოზვერი, თურმე, მაშინ. კაცის ცოლის რძით ზრდიდნენ ცხოველს.

რადეუ თავადაც ახალფეხადგმული იყო, დედამ რომ ლაშის ოთახში შეიყვანა პირველად. შეაწუხა ბიჭი კედელზე გადასული მამაკაცის ჯმუხმა სახემ და ფერფლისფერთმიანი ქალის სიმშვიდემ. ერთადერთი, პატარა ლანგუს გაბუტული, შავი დრუნჩი მოეწონა.

რადეუს ქვის სახლის ბოლო სართული არ ჰქონდა ნანახი მხოლოდ. ჯეროდა, იქაც ლაშივით ჯმუხი წინაპრები, მშვიდი ქალები და ლანგუ დახვდებოდნენ (დედის სიკვდილამდე ორი დღით ადრე შეამჩნია ბიჭმა, როგორ ეცვლებოდა სახე ლანგუს – ნელ-ნელა უფრო ჯიუტი, დაჯერებული, ღვარძლიანი უხდებოდა გამომეტყველება ცხოველს).

ისე იყო რადეუ გადაღლილი კედლებზე გადასული წინაპრების ერთი და იმავე სახეების ცქერით, არც არასდროს გასჩენია ბოლო სართულზე ასვლის სურვილი.

ბზის ტოტები

ყოველთვის აშინებდა ქვის დიდი, თეთრი სახლი რადეუს. არასდროს უფიქრია, მარტოს თუ მოუწევდა პირისპირ დარჩენა უსაშველოდ დიდ, მძიმე და ჩახუთულ სივრცესთან ოდესმე.

მთლიანად ცარიელი იყო კაცი.

ბავშვობის საყვარელი თამაში გაიხსენა მარტოდდარჩენილმა – ოთახიდან ოთახში დადიოდა – კედლებზე გადასულ წინაპრებს აკვირდებოდა იგი. ყველას ჰგავდა კაცი ყვრიმალებით, გაწელილი თვალებით, ღიმილით, მაგრამ რადეუს ჰქონდა კიდევ **რაღაც**, წინაპრებისგან განსხვავებული.

მთელი სიცოცხლე შიგ აწვალებდა ის **რაღაც** რადეუს–არაადამიანური ყვირილით აღვიძებდა ღამით. ბორგავდა. ეგონა, ქვეყანას გადააბრუნებდა ერთი ხელის დაკვრით.

პაპა არასდროს გამოდიოდა ბიჭის ყვირილის დროს შავი ოთახიდან. შიგნიდან იკეტავდა კარს. სწრაფი მოძრაობით იფარავდა სახეს თმებით.

დედა დაბნეული დადიოდა ღამეული ბორგვების დროს ბიჭის ნაცრისფერ ოთახში ყოველთვის. მორჩილად მისჩერებოდა შვილს – უხმოდ ავსებდა გამთენიისას ბიჭის ღრიალისგან დაბზარულ კედლებს ბზის ტოტებით.

მშვიდი და ოდნავ დაქანცული იღვიძებდა დილით რადეუ – ღრმად ისუნთქავდა ახალი ბზის მომწკლარტო სუნს გაფითრებული. სულგანაბული უსმენდა ეზოში გამოსული ლანგუს ჩლიქების ხმაურს ბიჭი.

ქალი

დედის ყვითელი კაბის დახატვას ამთავრებდა რადეუ. ყველა წინაპარივით არათითით ხატავდა კედელზე კაცი. ფრთხილად ავლებდა ხაზებს. ისეთი გრძნობა ჰქონდა რადეუს, თითქოს კი არ დამარხა, დამალა დედა – თავის თავს დაუმა-

ლა – ხელახლა ბადებდა ახლა ქალს იგი – ისევ ისეთს – დაღლილს, დარდიანს, ჩუმს.

შუაგულ ოთახში იწვა ლანგუ – თვალს არ აცილებდა კაცის თითს.

ფანჯრიდან დაინახა ცეცხლისფერი ქალი რადეუმ. პირველად გაიღო დედის სიკვდილის მერე ქვის სახლის ჭიშკარი.

მშვიდად შემოვიდა ქალი. ნელი ნაბიჯებით მოდიოდა.

ჰაერს დაუწყო ყნოსვა ლანგუმ. წამოდგა. აემღვრა თვალები.

ყურადღება არ მიაქცია რადეუმ ცხოველს. გვერდი აუარა. გავიდა გარეთ. მოეჩვენა, ცარიელი იყო უზარმაზარი ეზო – ის ჩანდა მხოლოდ – წითელი და ავღიმილიანი.

თვალები დახუჭა რადეუმ – ბოლის სუნი დაჰყვებოდა ცეცხლისფერ ქალს – არ ჰგავდა კაცის დედას – მშვიდსა და დაღლილს.

უცნობს მიუახლოვდა რადეუ – სუნმა შეაწუხა. მხრის ამოწეულ ძვალზე აკოცა ცეცხლისფერს.

გაიღიმა ქალმა. უკან გაჰყვა კაცს – დიდი სახლის სიღრმეში გაუჩინარდა.

ქვის სახლის ბოლო სართულზე

ავი ღიმილი არ სცილდებოდა სახიდან ქალს. სწრაფად ჩამოიარა ოთახები. ლურჯ ოთახში შეჩერდა მხოლოდ წამით. თვალი თვალში გაუყარა კედელზე გადასულ ყვითელ ქალს.

დაიტანჯა რადეუ. ისეთი გრძნობა ჰქონდა, ადრეც ენახა თითქოს ქალი. სახელიც ახსოვდა ავღიმილიანის – რეგა. ვერაფრით იგონებდა კაცი, საიდან იცნობდა უცნობს – ვინ უთხრა სახელი ქალის. დაბნეული დაყვებოდა უკან ცეცხლისფერთმიანს.

ქვის სახლის ბოლო სართულის მორყეულ კიბეებს აუყვა რეგა.

აფორიაქებული და შეშინებული იყო რადეუ. სისხლს უყინავდა ლანგუს ღრიალი ძარღვებში. პაპის სიკვდილის ღამეს

ჰქონდა ასე განწირული ხმა ცხოველს მხოლოდ.

ყურადღებას არ აქცევდა ლანგუს ხმაურს რეგა. სწრაფი, მოქნილი ნაბიჯებით მიდიოდა მაღლა. ვერ ხვდებოდა კაცი, რა ესაქმებოდა ობობების სამყოფელში ცეცხლისფერს.

ძალა ეცლებოდა რადეუს. ვეღარ ეწეოდა ქალს. ვერც წარმოიდგენდა კაცი, ასე მაღალი თუ იყო ქვის სახლი. გარედან განიერი უფრო ჩანდა იგი.

ქვის საფეხურებით შეიცვალა ხის მორყეული კიბეები მალე. ისეთი შეგრძნება ჰქონდა რადეუს, თითქოს პირველად მოხვდა უცნობ სახლში. ქვის მძიმე კარის შეღების ხმა მოესმა შორიდან.

უნებლიეთ მოუჩქარა ნაბიჯებს კაცმა – გაახსენდა, ქალი რომ იქ იყო უკვე – რადეუს ჯმუხსა და მშვიდ წინაპრებში.

რუხი წინაპარი

სახეზე აიფარა ხელები რადეუმ – ლამის დააბრმავა ხმლის მოელვარე სხივებმა კაცი.

ბურთი მოებჯინა ყელში.

უზარმაზარ მხეცს ებრძოდა უხეშად ნათალ ნაცრისფერ კედელზე **რადეუს წინაპარი!** ზურგშექცევით იდგა იგი. გაცვეთილი ქალამნები მჭიდროდ ეკვროდა ფეხებზე კედლის კაცს. მარცხენა – ცაცია ხელში ჰქონდა ოქროსფერი ხმლის ვადა ჩაბღუჯული.

რადეუს მოეჩვენა, გულმკერდით აპირებდა ცხოველს შესკდომოდა თითქოს წინაპარი.

განწირული და დამფრთხალი ჩანდა მხეცი – ცეცხლიან ხახაზე ჰქონდა უზარმაზარი თათები აფარებული.

იგრძნო რადეუმ, მისი წინაპრის **სახეს** დაეფრთხო ცხოველი.

გაეღიმა.

რეტდასხმული დადიოდა ქვის უხეშ ოთახებში გვიან საღა-

მომდე კაცი. სულშეგუბული მისჩერებოდა ნაცრისფერი ოთახების ხმალშემართული წინაპრების განიერ, ძლიერ ზურგებსა და დამფრთხალ მხეცს.

შორიდან ადევნებდა ქალი თვალს რადეუს.

გვიან შეამჩნია კაცმა, ლანგუს ხმაური რომ ვეღარ აღწევდა ბოლო სართულზე.

ჩაჯდა.

რეგას ცეცხლისფერი თმის სუნი ამშვიდებდა გადაღლილს.

ტირილი მოუნდა სიხარულისგან რადეუს. მიხვდა, რით განსხვავდებოდა შავი ოთახის წინაპრებისგან იგი.

მზის მოპარვა

რეგამ შენიშნა პირველმა, ძლიერი და განიერი მხრები რომ ჰქონდა რადეუს.

იმ დღეს შეძაგდა საბოლოოდ ქალი ლანგუს. ავისმომასწავებლად ქშინავდა ცხოველი ყოველთვის. იცოდა ხარმა, არ ეშინოდა ცეცხლისფერს მისი. მარტო ჩამოდიოდა მზის ამოსვლისას ქვის სახლის ბოლო სართულიდან ეზოში ქალი. ღრმად ისუნთქავდა გამჭვირვალე დილის სუნს იგი. ყურადღებას არ აქცევდა ლანგუს. მშვიდი წვებოდა მიწაზე რეგა. იღიმებოდა – ამომავალ მზეს უშვერდა ქარვისფერ, შიშველ სხეულს. ღიმილის მიზეზს ვერც ვერასდროს ხვდებოდა ლანგუ. ფრთხილად უვლიდა შორიდან ქალს.

სასაცილოდ ათამაშებდა ფეხის თითებს რეგა – ჯიუტად იწოვდა ციდან მზეს.

გრძნობდა ხარი, როგორ იღვრებოდა ბლანტი სითხე ციდან ქალში – ნელ-ნელა ლღვებოდა მზე – დაკლაკნილი სხივებით ეშვებოდა ქალში.

ბრაზობდა ლანგუ. მიწას ჩიჩქნიდა რქებით. ღმუოდა. ეგონა, მზეს იპარავდა ქარვისფერი ქალი. ეშინოდა მისი. ახლოს ვერ ბედავდა მისვლას.

ბაცდებოდა ცაზე მზე.

ცეცხლისფერი და სავსე დგებოდა მიწიდან ქალი. გამომწვევი ღიმილით უვლიდა გვერდს ლანგუს.

რადეუს ჯერ კიდევ ღრმად ეძინა დაბზარულ ოთახში.

მინდორში

ცელის მოქნევის ხმამ გამოაფხიზლა რეგა. ხელისგულები მოისრისა ქალმა. მოეჩვენა, სისხლი აღარ ჰქონდა მთელს სხეულში. უჰაერობამაც შეაწუხა.

ბალახებში ჩაემხო რეგა. გაინაბა. უფრო და უფრო ახლოვდებოდა ცელის ხმა.

მორჩილად იწვა რეგა. ხელისგულებს ისრესდა მხოლოდ.

ცეცხლის სუნი ეცა კაცს. აწია თავი. შუაგული მინდორი იწვოდა.

ბოლის სუნმა დაახრჩო რადეუ. მოისროლა ცელი. ცეცხლისკენ წავიდა.

თმა იყო ქალის გაშლილი სიყვითლეში.

ვეღარ გრძნობდა ქალი, ცელი ეხვეოდა თუ კაცი. ტკიოდა სხეული.

ლურჯ ოთახში მოესმა რეგას ხმა ხარს – კედელზე გადასულ რადეუს დედას უყურებდა ლანგუ.

გამოსასვლელი კარი ძლივს იპოვა ხარმა. დიდხანს ირბინა.

წითელი იყო მინდორი ერთიანად. მზეს წაეკიდა ძოწისფერი.

ჩლიქებს სცემდა მიწას ხარი.

შორიდან შენიშნა კაცმა, ტიროდა ცხოველი. შეცბა რადეუ. ხმაამოუღებლად დაჯდა ლანგუს წინ. არც ამშვიდებდა ხარს. თავბრუ ეხვეოდა ბოლისგან.

მინდორში იწვა რეგა ისევ. ცელის ხმა აღარ ისმოდა ირგვლივ.

ღრმად სუნთქავდა ქალი. იღიმებოდა. მზეს უშვერდა თითქმის გამლღვარ სხეულს.

ლანგუს ეჭვები

მზის ჩასვლისთანავე ტოვებდა ეზოს რეგა – ჩქარი ნაბიჯებით მიდიოდა ქვის სახლის ბოლო სართულისკენ იგი.

ლანგუ ამჩნევდა, როგორ პატარავდებოდა და ქრებოდა შებინდებისას მზის უკანასკნელი სხივები ქალში.

თავისუფლად სუნთქავდა ცხოველი – მშვიდად გრძნობდა რადეუს დაბრუნებამდე თავს.

გვიან ბრუნდებოდა მინდვრიდან კაცი.

შორიდან ხედავდა ერთბაშად ტანაყრილი რადეუს სხეულს ლანგუ. ხმაურიანი ნაბიჯებით მოდიოდა იგი.

ეშინოდა ბოლო დროს ხარს კაცის – ფიქრობდა, შეცვალეს იგი.

არასდროს ჰქონია ასე ფართო მხრები, მძიმე ნაბიჯები და განიერი ყვრიმალები რადეუს.

ველურს აგონებდა ოდესღაც ნაზი ბიჭი ლანგუს.

ბუჩქებში იმალებოდა **უცხო** რადეუს დანახვით შეძრწუნებული ცხოველი. რეგას აბრალებდა კაცის გამოცვლას იგი.

მიწას ჩიჩქნიდა ისევ.

რადეუს არც ახსოვდა თითქოს ხარი. კედელზე კიდებდა ცელს. სიცივისგან შეორთქლილ ერთ ჩაფ ჭის წყალს ივლებდა სხეულზე. უხეში ხელისგულებით იწურავდა ხვეულ, მოკლე თმებს იგი.

ლანგუ ცდილობდა, თვალში არ მოხვედროდა პატრონს – უფრო ღრმად იმალებოდა ბუჩქებში ხარი. დიდხანს ესმოდა ქვის უზარმაზარი სახლის მორყეული კიბეების ჭრიალი ცხოველს.

ღამით

რადეუს ღამეული ბორგვა ღრმა ძილში ჩაესმა რეგას. ქვის კიბეებზე დაეშვა ქალი. მკერდზე მიიკრა კაცი.

სწრაფად გამოაფხიზლა ცეცხლის სუნმა რადეუ. თავი გაითავისუფლა რეგას მკლავებისგან კაცმა. გადაწვა ნაბადზე.

დაიხარა ქალი – მკერდზე აკოცა კაცს.

ხელისგულებში მოიმწყვდია რეგას სახე რადეუმ. დიდხანს უყურა. ლამის გაგიჟდა კაცი, ისე ნაცნობი ჰქონდა სახე ქალს.

განზე გახტა რეგა – მობრუნდა. ბოროტად ანათებდა სიბნელეში ხარის თვალები. ბრაზით მიკეტა მძიმე კარი ქალმა.

შეშფოთებული წამოჯდა ნაბადზე რადეუ – ამ წუთამდე თითქმის არც გახსენებია ხარი.

ოთახიდან გავიდა კაცი.

ეზოში იყო უკვე ლანგუ. სახლის წინ ელოდა პატრონს – ბუჩქებში აღარ იმალებოდა იგი.

ვერაფრით იმართლა ცხოველის წინაშე რადეუმ თავი. ბზის ტოტები დატეხა ნაცრისფერი ოთახის დაბზარული კედლების ამოსავსებად კაცმა. შებრუნდა სახლში.

უკან დაედევნა ხარი პატრონს.

რეგა ქვის სახლის ბოლო სართულზე დახვდათ წასული.

თითებით შეამოწმა კედელი კაცმა. ღრმა აღმოჩნდა ბზარი.

რქით ტენიდა იატაკთან ახლოს ხახადაღებულ კედელში ბზის ტოტებს ლანგუ.

რადეუს არ გამოპარვია, რა გულმოდგინედ მუშაობდა ხარი. ოთახიდან გამოვიდა კაცი. ქვის კიბეებს აუყვა მაღლა.

ორთაბრძოლა ნაცრისფერ ოთახში

ჩლიქებით გათელა იატაკზე მიმოფანტული ბზის ტოტები ლანგუმ – გვიან მიხვდა, მარტო რომ იყო ოთახში დარჩენილი.

დიდხანს ეძახდა რადეუს ხარი. თავგანწირვით დარბოდა დერეფნებში.

არ ჩანდა კაცი. სქელ ბოლს მიაგნო მხოლოდ ლანგუმ. ცეცხლის სუნს გაჰყვა ხარი.

კარგა ხნის მერე მოესმა რეგას ჩურჩული ცხოველს.

ჩუმად შეიპარა ნაცრისფერ ოთახში ლანგუ. სქელი ბოლი იწვა ირგვლივ. ვერც შეამჩნია ქვის პრიალა იატაკზე გაშოტილი ქალი და კაცი ხარმა – მზის სხივივით ანათებდა კედლიდან წამოსული ხმლის ოქროსფერი შუქი ბოლში. განწირული ღმუილი აღმოხდა ცხოველს – უზარმაზარი გოლიათი და დამფრთხალი მხეცი უყურებდნენ ნისლიდან ლანგუს. რქებით შეასკდა კედელს ხარი – სისხლი წასკდა შუბლიდან.

შეირყა ნაცრისფერი ოთახი. წვიმასავით წამოვიდა ქვის წვრილი ნამსხვრევები ქვემოთ.

ფეხზე წამოხტნენ ქალი და კაცი.

კედელს აეკრა რეგა – სუნთქვაშეკრული აკვირდებოდა ხარს ქალი.

წინ აეფარა წინაპარს რადეუ –უკვე გაეგლიჯა მარჯვენა ქალამანი კედელზე ცხოველს.

უთავბოლოდ დარბოდა ლანგუ. ბოლში არეულმა სისხლის სუნმა უფრო გაახელა იგი. წინაპარს აფარებული რადეუსკენ გაქანდა გამძვინვარებული.

კედლისკენ შებრუნდა რეგა – ვეღარ გაუძლო ნისლში ჩაძირული კაცისა და ხარის სასიკვდილო ორთაბრძოლის ცქერას ქალმა.

დიდხანს გორავდნენ იატაკზე ლანგუ და რადეუ. მკლავებში მოიქცია ხარის კისერი კაცმა ბოლოს. მთელი ძალით გადაუგრიხა თავი ცხოველს. თითებში იგრძნო ლანგუს სიკვდილის მოახლოვება რადეუმ. გაუსაძლისი სევდა მოაწვა – პაპა მოა-

გონდა –მძიმე და ფიქრიანი. წამით მოეშვა კაცი. დრო იხელთა ნებასმიშვებულმა ხარმა. აიწყვიტა. თავი გაითავისუფლა პატრონის ძლიერი მკლავებისგან. იატაკს გააკრა კაცი – მოძრაობის საშუალება აღარ მისცა – რქით ამოთხარა მარჯვენა თვალი რადეუს ლანგუმ.

ერთხელ კიდევ შეზანზარდა ნაცრისფერი ოთახი.

გახურებული ლოყით მიეხუტა ქვის კედელს რეგა. სწრაფად დაიხია უკან ხარმა. ძუნძულით შემოუარა ტკივილისგან დაკრუნჩხულ რადეუს ირგვლივ.

შუაგულ ოთახში დადგა ლანგუ – გამსკდარ შუბლში ეცემოდა ოქროსფერი ხმლის სხივი ცხოველს.

დიდხანს ვერ ბედავდა კაცისკენ მობრუნებას რეგა – ჩუმად ქვითინებდა ქალი.

სიზმრებში

საკუთარ ოთახში გამოიკეტა რადეუ. არც ხარსა და არც ქალს არ ნახულობდა იგი. დაბზარულ კედლებში ჩატენილ გამხმარ ბზის ფოთლებს ჭამდა მხოლოდ.

სარკმლიდან ხედავდა მწვანე ეზოში გამოსულ რეგასა და ლანგუს ყოველდღე კაცი – ერთად დადიოდნენ ხარი და ქალი. დაბრმავებული თვალიდან იგლეჯდა სახვევს ბრაზისგან ჭკუადაკარგული რადეუ.

სიზმრებში გადასახლდა ბოლოს კაცი. მშვიდი იყო და ჭრელი სიზმრები – დედა ეცხადებოდა მხოლოდ რადეუს – სველი ხელისგულებით ეფერებოდა ჯაგარა თმაზე ქალი შვილს.

პაპაც მოვიდა ერთ ღამე სიზმარში. როგორც ბავშვობისას, ისე შეუგუბდა სული რადეუს. ფეხაკრეფით წავიდა მოხუცისკენ. უნდოდა, ჩვეულებისამებრ შეებერა სული მისთვის. შუაგულ ოთახში გამოეცალა ფეხქვეშ კაცს მიწა – თხევად მასად იქცა იგი. ჩაითრია ჭაობმა რადეუ. ხმისჩახლეჩამდე აღრიალდა კაცი. შველას ითხოვდა იგი. ადგილიდან არ იძვროდა პაპა.

თმებში იყო ისევ გახვეული – ვერც ხედავდა თითქოს ყელამდე ჭაობში ჩაძირულ შვილიშვილს იგი.

ყვირილით გამოეღვიძა რადეუს. ნაბადი მოისროლა. ნაცნობმა სუნმა გამოაფხიზლა ხელებში თავჩარგული. სწრაფად გადაწია ურდული კაცმა. კარში იდგა რეგა – ბოლში ძლივს გაარჩია რადეუმ იგი – მთელი ძალით მიიხუტა ქალი – თითქოს საკუთარ სხეულში სურდა შეწოვა მისი.

რეგას ღიმილი

შორი-შორს უვლიდნენ ერთმანეთს ხარი და კაცი.

ფრჩხილებით სურდა რადეუს კედლიდან ლაშის ჩამოფხეკა.

უფრო ჯმუხი, ბრაზიანი გაუხდა სახე კედლის კაცს.

დაფრთხა რადეუ. ფრჩხილები დაიკვნიტა. გაეცალა წინაპრის ოთახს. დაბზარული კედლებიც მიატოვა კაცმა. ქვის სახლის ბოლო სართულზე გადასახლდა ქალთან და რუხ წინაპარებთან იგი.

კართან მიეგება რეგა კაცს. პირველად იგრძნო რადეუმ, ავი რომ არასდროს ყოფილა ღიმილი ქალის – სხვა იყო რაღაც მასში.

ხარის თვალი

მორჩილად იწვა ლანგუ. მშვიდად იტანდა ტკივილს ხარი. ფრუტუნებდა მხოლოდ. ნერვიულად უქნევდა შხამიან ბუზებს კუდს.

შავი ნაჭრით აუხვია თვალის ცარიელი ფოსო რეგამ ცხოველს – ყურზე აკოცა ლანგუს. თავადაც ხარს მიუჯდა გვერდით. სისხლიანი ხელები გაიწმინდა ბალახზე ქალმა. მზეს მიუშვირა დაღლილი სხეული.

ქვის სახლის ბოლო სართულის პრიალა იატაკზე იწვა რადეუ. ბრმად დასთანხმდა რეგას სურვილს იგი – ქალმა თავად

ჩაუსახლა ხარის თვალი კაცს. აწუხებდა უცხო სხეული შავი ნაჭრის ქვეშ რადეუს. ტეხდა. ყოველ წუთს უშრებოდა ყელი.

ვერაფრით ხვდებოდა რადეუ, რად დათმო ასე მორჩილად საკუთარი თვალი ლანგუმ – რა სურდა რეგას..

შეთქმულებივით იქცეოდნენ ხარი და ქალი.

გრძნობდა რადეუ, შემთხვევით რომ არ დასეირნობდნენ ლანგუ და რეგა ეზოში ერთად.

გაორება

პირველად მოხსნა შავი სახვევი რადეუს ქალმა. უფრო დიდი და ამაზრზენი ჰქონდა მარჯვენა თვალი კაცს.

შეამჩნია რეგამ, როგორ აივსო სისხლით ნელ-ნელა ხარის თვალი.

დაიბღავლა კაცმა. ორად მოიკეცა. სახეზე აიფარა ხელები – ძულდა ხარის თვალს რუხი წინაპარი, ოქროსფერი ხმალი და რეგა – ნაცარტუტად სურდა ექცია ყველა.

მიხვდა რადეუ, რად დათმო სიხარულით ხარმა თვალი. ქალზე გაჯავრდა კაცი – უსიტყვოდ გამოგლიჯა ხელიდან ნაჭერი.

მთელი სხეული ტკიოდა კაცს – ორად ჰქონდა თითქოს გაგლეჯილი.

მოსვენებას აღარ აძლევდა მარჯვენა თვალში ჩასახლებული ხარი რადეუს.

რეგა

მზესთან დაბრუნდა რეგა.

მწველ სხივებში გაბაცდა სხეული შიშველი ქალის – თავდაყირა აიტაცა მიწიდან რეგა სხივმა.

ხარის ავისმომასწავებელმა ხმაურმა დააფრთხო მინდორში

წასული რადეუ. მობრუნდა სახლისკენ. გაოგნდა კაცი – მზის განიერი, ნათელი სხივი ეშვებოდა ქვის სახლის ეზოში. თვალი გააყოლა მაღლა სხივს რადეუმ. ცელი მოისროლა კაცმა – ცეცხლი ეკიდა რეგას გაშლილი თმებისგან ცას. სხივისკენ გაიქცა რადეუ – უჭირდა მაღალ ბალახებში გზის გაკვლევა კაცს. განწირული ღრიალით ეძახდა ქალს. ნელ-ნელა გაფერმკრთალდა რეგა – სხივიც ავიდა მაღლა, გაქრა ქალთან ერთად.

ბალახებში ჩაემხო რადეუ – ძლიერი მუშტები დასცხო მიწას. მზეს უხმობდა იგი. შავი ღრუბელი გადაეფარა ცას. დაიმალა მზე. კოკისპირული წვიმა წამოვიდა.

დედის სიკვდილის დღეს წვიმდა ასე მხოლოდ.

ბოლის მწველი სუნი იდგა ჰაერში ისევ.

დამარცხებული წინაპარი

შეუმჩნევლად იყო ნაცრისფერ კედლებში ჩაშენებული კარი.

ერთად შეანგრიეს ხარმა და რადეუმ უხეში ქვები. უჩვეულო სხივი წამოვიდა ოთახიდან. უზარმაზარი ოქროსფერი ხმალი იყო შუაგულ ოთახში ქვებს შორის ჩარჭობილი – რადეუს წინაპრების ხმალი!

უკან დაიხია კაცმა – ხახადაღებული მხეცი და მიწას გართხმული წინაპარი უყურებდა კედლიდან.

ერთბაშად იგრძნო რადეუმ, რაც აწუხებდა მთელი სიცოცხლე **შიგ** – ცოცხალი იყო ისევ მხეცი – დამარცხდნენ ნაცრისფერი წინაპრები.

სწრაფად ამოიცვა კუთხეში მიყრილი მტვრიანი და გაცვეთილი ქალამნები კაცმა. ორივე ხელით ამოაძრო ქვებიდან ხმალი. თავს ზემოთ – მხეცისკენ აღმართა იგი.

ფრთხილად ყნოსავდა კედელზე გართხმულ რუხ წინაპარს ლანგუ.

ხმალი

ძალა ეცლებოდა რადეუს მკლავებში. ალალბედზე უქნევდა უკვე ხმალს მხეცს. გამძვინვარებული იყო იგი.

ძლივს უსხლტებოდა მხეცის პირიდან წამოსულ დაკლაკნილ ცეცხლის ალებს რადეუ – გაუსაძლისად მძიმე ეჩვენებოდა ხმალი.

უზარმაზარი კუდი მოიქნია ცხოველმა. შორს მოისროლა კაცი. გულაღმა დაენარცხა მიწას რადეუ. გრძნობდა, როგორ ზანზარებდა მხეცის ნაბიჯებისგან მიწა.

ვეღარ დგებოდა ფეხზე რადეუ. ცას ახედა – არაადამიანური ძალა ჩაუსახლდა გაოგნებისგან სხეულში – ფეხზე წამოხტა – რეგა იდგა ღრუბლებზე შიშველი. რადეუს ხმალს ჰგავდა ხელებგაშლილი ქარვისფერი ქალი.

ღრუბლებიდან გადმოეშვა რეგა – ბრტყელ, განიერ სხივად მოდიოდა ქვემოთ. ორივე ხელით დაიჭირა კაცმა ხმალი – ცისკენ აღმართა იგი.

ხმაურით, მძიმედ ჩაეშვა რეგა ხმალში.

ერთად გაცოცხლდა ყველა წინაპარი რადეუში. ხმამაღლა დაიღრიალა კაცმა. მობრუნდა მხეცისკენ. შეშლილი ჰქონდა სახე რადეუს. ცეცხლიან პირზე აიფარა უზარმაზარი თათები დამფრთხალმა მხეცმა. უკან დახევა დააპირა.

შხუილით გაკვეთა ჰაერი რადეუს მოქნეულმა ხმალმა – გულში ჩაერჭო მხეცს იგი.

შეზანზარდა ცა და მიწა.

პირქვე დაემხო სასიკვდილოდ დაჭრილი ცხოველი.

შინ

მზიანი იყო დილა სოფელში.

შორიდან დაინახა ქვის დიდი, თეთრი სახლი რადეუმ. შავი ნაჭერი მოიხსნა კაცმა. გაეღიმა – ერთნაირი ჰქონდა ორივე თვალი უკვე.

ჭიშკართან დაარჭო ოქროსფერი ხმალი რადეუმ. შევიდა ეზოში. ღრმად შეისუნთქა ბზის სუნი კაცმა. ლანგუს მოუხმო. ფრუტუნით მოქროდა მინდვრიდან პატრონთან შესახვედრად ხარი.

მაღალი, ნათელი და სავსე ჩანდა ქვის თეთრი სახლი.

1996

ჰერა

I

ადერა

***

სიცარიელე

არასწორად მოჭიმა მშვილდი შეშინებულმა ეროსმა (თვალებით წყევლიდა ჰერას სასტიკი დავალებისთვის). ისარი ცხვირის ნესტოში მოხვდა ღმერთს. სუთქვა შეეკრა, რამდენიმე წამით გაირინდა სამყარო. საკუთარმა გულისცემამ დააფრთხო ბიჭი. ზევსი მარცხენა ხელის ნეკათითით დასწვდა ნედლ ქვიშაში ჩამალული ეროსის ხუჭუჭა თმებს; სულის შებერვით ჩამოაშორა ასხმარტალებულ ბიჭს ფრთებიდან მტვერი (ბინძურ ფრთებს ვერ იტანდა იგი).

ცუდად ენიშნა ღმერთის სიჩუმე ეროსს. ცრემლებს ყლაპავდა ჩუმად. ისევ წყევლიდა ჰერას, ქმრის სიყვარულის დაბრუნებისთვის რომ გამოიყენა ბიჭი.

ზევსმა სათითაოდ დაუმტვია ისრები ეროსს. უსიტყვოდ გაშორდა პატარას.

საოცარი სიცარიელე იგრძნო ბიჭმა. ფრთებჩამოყრილმა ბუჩქის ქვეშ დამალა მშვილდი. ტირილისგან დაქანცულს მალე ჩაეძინა.

არასდროს ენახა ერთად შეყრილი ღმერთები ეროსს. შიშისგან ფრთები დაუბუჟდა ბიჭს. ნისლის გამჭვირვალე მთაზე მიმობნეულ ხორკლიან ვარსკვლავებს გადაუსვა ოფლიანი ხელისგული. ღელავდა.

სივრცე დაიხშო სიმძიმისგან ჩაზნექილ ნისლის მთაზე.

ჩქარობდნენ ღმერთები.

ეროსი გრძნობდა, რომ გაწირეს უფროსებმა. მხოლოდ აფროდიტე იცავდა ბიჭს – ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ ეროსის გარეშე სიხალისეს, ბედნიერებას, ბავშვურ უბრალოებასა და თავისუფლებას დაკარგავდა ნისლის სამყარო.

ქალის ძოწისფერ სიტყვებზე სითბო ეღვრებოდა სხეულში ბიჭს. პირველად შეამჩნია აფროდიტეს ლურჯ თვალებში ცისფერი სხივები ეროსმა (განრისხებული უფრო ლამაზი იყო).

ზევსი დააფრთხო აფროდიტეს აზრმა. გაურკვეველ სიტუაციაში ყოველთვის დუმდა იგი – ჰერას სთხოვდა დახმარებას. გადაწყვეტილებას თავად არ იღებდა. ახლაც დუმდა იგი. თავი აწია ეროსმა. არტემიდეს ნაღვლიან ხელებს შეეჩეხა წამით. აღიზიანებდა თითებში მომწყვდეული უშველებელი ნაღველი ბიჭს. ისევ საკუთარ ფეხებს ჩააჩერდა.

ზევსმა ნერვიულად მოიქნია კვერთხი (რამდენჯერმე ჩაიზნიქა და ამოიზნიქა ნისლის მთა). თვალებით მოიხმო ჰერა დახმარებისთვის.

შვებით ამოისუნთქა ეროსმა, ნაპერწკლები აენთო თვალებში; იფიქრა, გადარჩა; ჰერა ვერ გაწირავდა ბიჭს (არ უნდა გაეწირა იგი).

ნისლის მთასავით გამჭვირვალე ქალი ფეხზე წამოდგა. ღმერთებიც წამოიშალნენ მსწრაფლ. მხოლოდ აფროდიტე იჯდა ისევ – ჯიუტი და თავდაჯერებული. კარგახანს ერთმანეთს მისჩერებოდნენ ქალღმერთები. შურითა და სიძულვილით დაიმუხტა მთელი სამყარო.

ფრთხილად ჩაახველა ზევსმა. ეროსმა იგრძნო, რომ უჰაერობისგან იხრჩობოდა.

ყველა დააფრთხო ჰერას გადაწყვეტილებამ (ზევსმაც კი სინანულით იკბინა ტუჩზე). ანცი ღმერთის პლანეტა ადერაზე გადასახლება მოითხოვა ქალმა.

ეროსს არ სურდა, ღმერთებს რომ ცრემლი დაენახათ მის თვალებში. ზურგი შეაქცია ყველას. ჩუმად მოგლიჯა ნისლის ფთილა მთიდან. ჯიბეში ჩაიჩურთა და უხმაუროდ დაეშვა დაბლა. ვერ მიხვდა ბიჭი, რატომ გაუწყრა ჰერა.

ნისლის მთა რუხი და ჩუმი გახდა უცებ. ფერები დაკარგა.

პლანეტა ადერა

მხოლოდ სიბერის ქალღმერთები – გრაიები ცხოვრობდნენ პლანეტა ადერაზე. ეროსს არასდროს ენახა სიბერე. შეეშინდა და დაფრთხა. დათრგუნული დადიოდა აქეთ-იქით. პლანეტაც მოხუცი იყო – ჯმუხი და რუხი.

მშვილდი ღრმად დამალა ლურჯი ლოდის ქვეშ ეროსმა. ფრთები მაგრად მოიკეცა და დამალა სამოსში. ეშინოდა სიბერის. დიდხანს ვერ უსწორებდა თვალს ენიოს, დეინოსა და პეფრედოს – დაბადებისთანავე გათეთრებულ და წლებადქცეულ ქალებს. საკუთარი დედის დიდი, მწვანე თვალები ენატრებოდა ეროსს. იჯდა და ტიროდა. თავისუფლად, ხმამაღლა პირველად ტიროდა ბიჭი (ღმერთებს ეკრძალებოდათ საკუთარი გრძნობების გამოხატვა). მოსწონდა მლაშე ცრემლის გემო ბიჭს. შვებას აძლევდა იგი. როცა ტკივილი აუტანელი ხდებოდა, ნისლის ფთილას დებდა მიწაზე ეროსი. ფეხებით ხტოდა ზედ და ისევ გრძნობდა ღმერთულ ძალას, შინაგან ნეტარებას.

სიყვარულის ხე არსად იყო პლანეტა ადერაზე. ისრებს ვეღარ აკეთებდა ბიჭი. არც სჭირდებოდა სიბერის ქალღმერთებთან მშვილდი. მოწყენილობამ დაღალა ბიჭი. იგრძნო, რომ თავადაც ბერდებოდა და უფრო მოენატრა დედა.

სიყვარულის ტოტი

დეინო ფრთხილად მიეპარა ბიჭს და თვალებზე ხელისგულები ააფარა. გრილი და საამო ხელისგული ჰქონდა სიბერის ქალღმერთს. ბიჭი დააბნია დეინოს ღიმილმა (რაღაცით ლამაზიც ყოფილა სიბერე). ქალღმერთმა ნისლიანი მთიდან მოპარული სიყვარულის ტოტი გამოაძვრინა კაბის კალთიდან – ბიჭს მისცა, შუბლზე აკოცა და გაბრუნდა. ეროსს ოქროსფერი სიყვარულით აევსო გული. დეინო იმ წუთიდან ჰერაზე ლამაზი იყო და აფროდიტეზე ლურჯი სხივები ჰქონდა თვალებში.

შურისძიება

კარგა ხანს ჩორკნიდა ბიჭი ტოტს – თითები გაუხეშებული ჰქონდა და ვერ იმორჩილებდა. პაწაწა გამოვიდა ისარი და გაფარჩხული, მაგრამ ი ს ა რ ი იყო.

შურისძიებისთვის მშვილდიც ჰქონდა და ისარიც ეროსს.

გამგზავრების წინ ხის ემბაზში აბანავეს გრაიებმა ბიჭი. სუფთა ფრთები ჰაერში ლივლივებდა, წაბლისფერი ხვეული თმები სხივებს ისროდა ირგვლივ. დაიბნა ეროსი – ნისლისფერ მთაზე არავის უნდა შეენიშნა იგი. გრაიებმა მაგნოლიის ყვავილებით დაუფარეს თმები და ფრთები. ერთ დიდ ყვავილს დაამსგავსეს იგი. გაფრინდა ბიჭი. თან შროშანის ყვავილებში ჩამალული დეინოც წაიყოლა.

ნისლის მთაზე

სივრცეში ეკიდა უზარმაზარი ნისლის მთა. შორიდან კიდევ უფრო ლამაზი იყო იგი. ცრემლებმა აუწვა თვალები ეროსს – ის წამი მოაგონდა, ადერაზე რომ გააძევეს ბიჭი.

ზევსი ისევ იჯდა და ისევ ფიქრობდა. უფრო ნაღვლიანი და

ოდნავ მოშვებული მოეჩვენა იგი ეროსს. კარპაჭი გადმოიღო ბიჭმა. იცოდა, ამჯერად მიზანს აღარ ააცდენდა.

ზევსმა უეცარი და მტკივნეული ჩხვლეტა იგრძნო გულის არეში. თავი რომ აწია, შროშანის ყვავილებში გახვეულ დეინოს წააწყდა თვალებით – ულამაზესი მოეჩვენა იგი. წამოიმართა. ნისლში ჩაყურყუმელავდა ეროსი – ქვემოდან შესცქეროდა ბედნიერებისგან განათებულ ზევსსა და დეინოს. ასეთი უშუალო და მხიარული არასდროს ენახა ეროსს ზევსი. ბიჭს ყოველთვის ეშინოდა მისი და გულში ისარს ვერასდროს ახვედრებდა.

დეინოს გაუმართლა! ის გახდა ზევსის გულის ერთადერთი სიყვარული.

პირველმა აფროდიტემ იგრძნო, ხალასი ფერები რომ დაუბრუნდა მთას. ჩუმად ჩაიღიმა ქალმა. თვალებით ეძებდა ანც ბიჭს. ვერ მიხვდა, როგორ შემოიპარა შეუმჩნევლად მთაზე იგი.

ზევსის საყვარელი ატმის ყვავილების სურნელით აივსო ჰაერი.

ჰერა დიდხანს და დაკვირვებით ყნოსავდა გარემოს. გვიან მიხვდა, რომ გაწირა ეროსმა, სასტიკად დასაჯა იგი. გაცეცხლებული დაქროდა ჰერა – არც ზევსი ჩანდა არსად და არც ეროსი.

ბავშვური უბრალოება და თავისუფლება სუფევდა ნისლის მთაზე.

***

მაგნოლიის ყვავილებში გახვეული ეროსი პაწაწა ისრებს ფრთხილად ჩორკნიდა პლანეტა ადერაზე და ლურჯი ლოდის ქვეშ აგროვებდა. მხიარული იყო ბიჭი. პეფრედოსა და ენიოსთან ერთად დაფრინავდა ყოველ საღამოს. ნისლის მთის ნაგლეჯი დღითი დღე იზრდებოდა და ფარავდა პლანეტა ადერას. ღმერთთა ახალი საუფლო იბადებოდა სამყაროში.

ზევსი იმ დღიდან აღარსად ჩანდა, მაგრამ სამყარო ატ-

მის ყვავილების სურნელით იყო სავსე. მხოლოდ აფროდიტე გრძნობდა, რომ პლანეტა ადერადან მოქროდა სურნელი და ჩუმად იღიმებოდა ისევ...

II

განხეთქილება

ზევსის ხმაური ყველაზე მეტად აღიზიანებდა ჰერას. რაღაც „სხვანაირად“ იცოდა აფეთქება ღმერთმა. ზევსისთვის შეუფერებლად... არაარტისტულად და მდაბიოდ... თავად თვლიდა ჰერა დამცირებულად ყოველთვის თავს, ვისზეც არ უნდა გაბრაზებულიყო ზევსი.. განსაკუთრებით მრისხანების იმ სტადიას ვერ იტანდა, როცა გაცოფებული ოლიმპოს მბრძანებელი დორბლებს ისროდა ირგვლივ... პაწაწა ღმერთები კი ცდილობდნენ, ნერწყვის მცირე ნამცეცი მაინც შეხვედროდათ და უფრო ღმერთებად ეგრძნოთ თავი.

ჰერა ერთ ნაცრისფერ ღრუბელს აფარებდა თავს ასეთ დროს (არ უნდოდა, შეეხედა ასეთი ზევსისთვის)... ქალს განსაკუთრებით უყვარდა ღრუბელი, რომელსაც მბრძანებელი ირონიით „დანაცრულს“ ეძახდა. ფთილა არასდროს იღიმებოდა და არასდროს შფოთავდა. მუდამ ასე იყო – გაწონასწორებულად და „დანაცრულად.“ არც ზევსის ირონიას თვლიდა რამედ. თავისთვის იყო (ჩუმად და ხმაურიანად). მხოლოდ ჰერა გრძნობდა, როგორ დუღდა შიგნიდან ღრუბელი, რომელიც არასდროს ემორჩილებოდა ზევსს; არც ვარდისფერდებოდა და არც ფითრდებოდა ღმერთის მოთხოვნაზე. დიდხანს ცდილობდა „დანაცრულის“ გავარდისფერებას ზევსი. ძალიან დიდხანს. თავადაც იტანჯებოდა. კვერთხის ერთ მოქნევაზე ყველა ფეხზე დგებოდა (ჰერას გარდა, რა თქმა უნდა), მხოლოდ ეს ერთადერთი ღრუბელი... არც იმჩნევდა. არც ასეირნებდა. ან ისე „უმტვრევდა“ გვერდებს პატრონს, ვეღარ გაუძლო; მოიგლიჯა, მოიშორა, კუთხეში მიაგდო და მიივიწყა. უფრო სწორედ, შეეცადა, მიევიწყებინა. არ გამოუვიდა. ისეთი ირონიული ღიმილით გახედავდა ღრუბელი ზევსს ხანდახან, მთელს სხეულში ჟრუანტელი უვლიდა ოლიმპოს პატრონს. მეხიც არაერთხელ

ესროლა, დაანაკუწა, დაანამცეცა. პატარ-პატარა მოლეკულებად აქცია. მაინც არაფერი გამოუვიდა. მოლეკულები ისევ ერთდებოდა დროთა განმავლობაში (უკვდავი რომ იყო ღრუბელიც ოლიმპოს მთაზე, ავიწყდებოდა სიბრაზისგან დაბრმავებულს ხშირად). ადერაზე გადასახლების შემდეგ ცოტა დაისვენა ზევსმა – აღარც ჰერა იყო ირგვლივ და აღარც „დანაცრული“. იწვა და ნებივრობდა დეინოსთან ერთად, რომელიც ბედნიერებისგან კი ანათებდა, მაგრამ თეთრი იყო და მახინჯი მაინც.

ჰერამ დიდხანს ეძება დაკარგული ღმერთი, რომლის ღმერთობაც უფრო მოსწონდა, ვიდრე ქმრობა. მოეშვა ბოლოს. ისე მოეშვა, აფროდიტეც კი მონუსხა მისმა წყლიანმა და უცნაურად დამთბარმა თვალებმა. უზევსოდ დარჩენილი ბევრად უფრო ლამაზი იყო, მარტივი და მოწყალე. არც აფროდიტეს უბურღავდა შურით თვალებს. იწვა ნაცრისფერ ღრუბელზე (მხოლოდ „დანაცრულზე“) და პლანეტიდან პლანეტაზე მოგზაურობდა გადაღლილი (ჩუმად ზევსს ეძებდა, ალბათ). მხოლოდ პლანეტა ადერას არ ეკარებოდა. რცხვენოდა ეროსის – ხუჭუჭა და ერთგული ბიჭის, რომელიც სასტიკად გაწირა. ხან ეროსი სძულდა, ხანაც – საკუთარი თავი. ვარსკვლავი ჯაობა, რომელიც ზევსმა აჩუქა ქორწინების მე... წელს (ზუსტად არ ასახელებდა ქორწინების წლისთავს... ასაკის ეშინოდა... მაინც ეშინოდა), თმიდან მოიშორა და პირველად იტირა მაშინ; კი არ იტირა, მოკვდავი ქალივით იღრიალა. უნდოდა, ვარსკვლავი გაესრისა. გადაიფიქრა ბოლოს (მოწყალება პირველად გაიღო მაშინ) და უკან, ცაზე დააბრუნა.

ზევსმა, დეინოს ალერსით მთვრალმა, დაბინდული თვალებით ძლივს შეამჩნია ცაზე აკიაფებული ვარსკვლავი ჯაობა, ჰერას რომ აჩუქა ოდესღაც (აღარც ახსოვდა, როდის და რატომ). ფეხზე წამოხტა. არ ესიამოვნა რაღაც. ჰერას დაკარგვის შეეშინდა (თითქოს გაუხარდა, მაგრამ მაინც აღიარა, რომ შეეშინდა). პირველად შეამჩნია, როგორი გაცრეცილი და დაბრეცილი თითები ჰქონდა დეინოს. ჰერას კი... თავის ჰერას (ათასჯერ უარყოფილს, გადათელილსა და (თურმე) მაინც ძვირფასს)... ოოო...

საოცარი თითები ჰქონდა ჰერას – არაბუნებრივად გრძელი და თხელი (არა გაცრეცილი); ვარსკვლავები კიაფებდა მის თითებში ყოველთვის. მარჯვენა ხელის არათითი ცისფერი ჰქონდა დაბადებიდან.

ისე მოენატრა, ისე შეეშინდა. შეჩერდა მაინც. მეორე მხრიდან შეხედა ისევ ყველაფერს. არანაირი ეჭვები. არანაირი შეზღუდვები. სრული (ს რ უ ლ ი) თავისუფლება გადაწყვეტილების მიღების დროს. რაც და როგორც მოუნდებოდა, ისე გააკეთებდა. მოეწონა და დაწყნარდა. მაგრამ მოსვენებას უკარგავდა ჯაობა მაინც, ცაზე რომ ანათებდა ჯიუტად. ვეღარ გაუძლო ცდუნებას – **ჩამოწყვიტა** ჩუმად და ლურჯი ლოდის ქვეშ შეინახა (სხვა ლოდი არც იყო ადერაზე).

ჰერა კი დანაცრულით დადიოდა და ეძებდა. ოღონდ ისე, რომ საკუთარ თავსაც არ უტყდებოდა. ღრუბელი წარმოუდგენლად მორჩილი იყო და ღიმილიანი.

მხოლოდ „დანაცრულმა“ იცოდა, როგორ იტანჯებოდა ჰერა; რა ხშირად ტიროდა. როგორ ენატრებოდა კაცი (კ ა ც ი), რომელიც ეგონა, ღმერთობისთვის უყვარდა მხოლოდ. ყველას უღიმოდა ქალი (აფროდიტესაც კი). მაგრამ ისეთი ტკივილი იყო ღიმილში, ყველაზე გულქვა და სასტიკი „ანტიჰერისტებიც“ კი სითბოთი აავსო. აფროდიტემ პირველმა დაიცვა იგი. ზევსის დაკარგვასთან დაკავშირებით შეკრებილ ღმერთებს არაფერი უთხრა პლანეტა ადერაზე, მაგრამ ყველას შეახსენა, რომ მიუხედავად ზევსის შვილობისა, მაინც ქალის მხარეს იჭერდა; ღმერთებს ჰერას დამსახურებაც მოაგონა ოლიმპოსა და ოლიმპოელების მიმართ; აფროდიტეს სიტყვებიდან იმდენი ენერგია იღვრებოდა, რომ უამრავი ახალი ვარსკვლავი გაჩნდა ცაზე (ჰერამ მათ მოგვიანებით აფროდიტეს თანავასკვლავედი უწოდა. თანავარსკვლავედს ჯაოზის სუნი ასდიოდა და მომწვანო ფერი დაჰკრავდა). აფროდიტემ ხელი გაუწოდა ჰერას, რომელიც „დანაცრულზე“ იდგა და ზევსის საყვარელ მოვარდისფრო, თეთრ ღრუბელს ფეხს არ ადგამდა. ქალებმა მაღლა აწიეს შეერთებული ხელები და ისეთი მზერით გახედეს იქვე

მიმობნეულ ღმერთებს, ყველამ მუხლი მოიყარა უნებლიეთ. მხოლოდ არტემიდე ვერ წამოდგა ფეხზე. სევდაში ჩაძირულმა ვერც კი გაიგო, რატომ ჩამოვარდა ჯერ ასეთი სიჩუმე, მერე ასეთი ხმაური და სად იყო ზევსი – ჯმუხი და აუტანლად მრისხანე.

ჰერას ნაცრისფერ ღრუბელზე ეძინა და ტიროდა მაინც. უყვარდა თურმე. მაგრამ უნდა მორეოდა თავს. სულერთი იყო, ვისში გაცვალეს და რატომ. მთავარი ორი რამ იყო – ერთი, რომ, გაცვალეს და მეორე, რომ თვითონ (უკვე პირველს) მაინც ენატრებოდა ზევსი. მაშინ დარწმუნდა, რომ მხოლოდ ღმერთი არ უყვარდა კ ა ც შ ი.

არტემიდე, ნისლივით გამჭვირვალე და (ხანდახან) ჰერაზეც ლამაზი, ერთ საოცრად ნოტიო და დამძიმებულ დღეს პოლიბიესთან ერთად ეწვია ჰერას. ოლიმპოს ახალი მბრძანებელი ისე დაიბნა, კარგა ხანს ვერ გაიგო, რატომ ისვამდა დაუსრულებლად თმებზე ხელს, რატომ ეტკინა გული, რატომ დადუმდა. მის წინ პოლიბიე იდგა – კაცურად ლამაზი, უხეში და მზემოკიდებული, სავსე უამრავი შროშნით. ჰერას აღარც ახსოვდა, მეხსიერების რომელ კუნჭულში ჰყავდა „ჩაკუჭული“ პოლიბიე. წლების განმავლობაში მტკიცედ ჰქონდა დაკეტილი ის კუნჭული. ზევსთან შეხვედრის შემდეგ აღარც უკითხავს, სად იყო პოლიბიე (არა იმიტომ, რომ არ უნდოდა; უნდოდა და სწორედ ამიტომ დუმდა). არც გაუგია, როგორ აწამა ზევსმა ნახევრად ღმერთი და ნახევრად კაცი. როგორ დაამცირა. როგორ გაამწესა პლანეტა გაენას გავარვარებული ვულკანების პლანტაციებში.

გონზემოსულმა ჰერამ მყისვე იგრძნო გაენას ვულკანების სუნი, ასე რომ სძულდა და უცებ მიხვდა... მიხვდა, როგორ დაიტანჯა მის გამო პოლიბიე და როგორ დატანჯა თავადაც საკუთარი ქვეცნობიერის ის ნაწილი, პოლიბიე რომ ერქვა.

დიდხანს და ბავშვივით ტიროდნენ ჰერა და პოლიბიე. დიდხანს და ძალიან ბავშვურად. აფროდიტეს იმ წამს შეძულდა მამა. ფრთხილად გაეცალა მოგონებებში ჩაძირულ ქალ-



სა და კაცს (ქალსა და კაცს). ჰერამ იგრძნო, როგორ დაიღალა მუდმივი ღალატისგან, ცრემლისგან, დევნისგან, წესრიგისგან, საკუთარი თავის დაუსრულებელი მოვლისგან. მის წინ პოლიბიე იდგა; პოლიბიე, რომელსაც ყველანაირი ჰერა უყვარდა; ქალურად სენტიმენტალურიც და ძლიერიც; უსაშველოდ ლამაზიც და უბრალოც; მოკვდავიც და უკვდავიც; დიდხანს იყვნენ ჩაყურყუმელავებულნი მოგონებებში. ნაცრისფერი ღრუბელი გაბაცდა და ღია ვარდისფერი გახდა (პირველად იცვალა ფერი).

ზევსს გული გადაუქანდა, ახალი თანავარსკვლავედი რომ შეამჩნია ცაზე. მიხვდა, რომ რაღაც ხდებოდა. ნისლად გადაიქცა და გაბრუნდა ოლიმპოს მთაზე, რომელიც ისე ანათებდა, თითქოს ზევსს არც მიეტოვებინა (ეწყინა გულში). პლანეტა გა-

ენას სუნი რომ ეცა, მუხლები მოეკეცა ღმერთს (იგრძნო, როგორ ტკიოდა (ალბათ) ჰერას ქმრის ღალატის ცქერა დაუსრულებლად); ზევსს თავადაც ისე სასტიკად ეტკინა შიგნით, რომ ხმამაღლა ამოიხრიალა. პოლიბიე შეაკრთო უცნაურად ახმაურებულმა ნისლმა, მაგრამ ჰერამ საფეთქლებში მოკიდა ხელი, მისი თავი სახესთან მიიწია და ისევ ჩაიძირა კაცთან ერთად; ნახევრად ღმერთთან და ნახევრად კაცთან ერთად!

დიდხანს იბორიალა ზევსმა უთავბოლოდ ოლიმპოს მთაზე; ვერც ერთი „ანტიჰერისტი“ ვეღარ ნახა! გავარდისფერებულმა „დანაცრულმაც“ ისე მწარედ და ირონიულად გაუღიმა (ნისლშიდაც ამოიცნო ძველი პატრონი), ტუჩზე იკბინა სიმწრისგან ღმერთმა. რეტდასხმული გაბრუნდა ადერასკენ, სადაც ელოდა ატმის უსაშველო (უკვე გამაღიზიანებელი) სურნელი და წლებში ჩაკარგული დეინო, რომელსაც ეროსის ნაჩუქარი ვარსკვლავი ჯაობა ებნია დაღარულ მკერდზე...

III

გარდასახვა

პოლიბიეს მწვანე თვალები ჰქონდა და ნათელი. ისეთი სხივი მოდიოდა მათგან, ჰერას მთელს სხეულში აჟრჟოლებდა. უკვირდა; ყოველთვის უკვირდა, ნახევრად კაცს როგორ უნდა ჰქონოდა შუქი, მწვანე თვალების მზისფერი წერტილებიდან რომ მოდიოდა.

ჰერას, უგონოდ შეყვარებულსა და უგონოდ დახლეჩილს, პოლიბიეს სუნთქვაც კი სხვაგვარად უყვარდა.

სხვანაირად სუნთქავდა კაცი...

ზევსისგან განსხვავებულად... მასში იმდენი გრძნობა იყო, ჰერას თავბრუს ახვევდა ყოველთვის.

ღმერთებს არ უყვარდათ პოლიბიე. ვერ პატიობდნენ, ნახევრად კაცი რომ იყო მაინც!

ღმერთული ამპარტავნება კლავდათ.

მოკლეს პოლიბიე...

ჰერამ მაშინვე იგრძნო, როგორ მიჩუმდა სამყაროში პოლიბიეს სუნთქვა და როგორ ჩაქრა მზისფერი სხივი.

სასოწარკვეთა ტკივილზე მეტი იყო...

ოლიმპოს მთაზე იწვა პოლიბიე; ისარი თვალში ჰქონდა გაყრილი და უფრო შემზარავი იყო, ვიდრე ზოგადად გარდაცვლილი!!!

ისეთი ხმაურით აივსო შიგნიდან ჰერა, იფიქრა, ვეღარ მოერეოდა და აფეთქდებოდა.

ღმერთები იდგნენ მშვიდად და თვალისდაუხამხამებლად. არც ერთს აწუხებდა სინდისი; ისარი კი ერთი იყო მხოლოდ.

ჰერას ტკივილი კლავდა. ისარი მოაშორა ფრთხილად პოლიბიეს (და კიდევ უფრო შემზარავად აღიქვა კაცი). დანაცრულთან ერთად გაემგზავრა პლანეტა ოერიუსზე, სადაც

არასდროს ღამდებოდა და მხოლოდ ჭრელი ყვავილები იყო ირგვლივ.

ჰერამ პირველად ინანა, უკვდავი რომ იყო... ძალიან ინანა, მაგრამ ისარი არ აძლევდა მოსვენებას და აიძულებდა, სიცოცხლეზე(ც) ეფიქრა.

ოლიმპოზე დაბრუნებისას შორიდან დაინახა ქალმა, როგორ მოისროლეს მთიდან მისი და პოლიბიეს ღმერთული ტახტრევნები ზევსმა და დეინომ; ათას ნაწილად დანაკუწდა ტახტრევნები; ზანტად მიმოიფანტა სამყაროში ბედნიერება. ერთი პატარა და თითქოს უმნიშვნელო ნატეხი სახეში მოხვდა ჰერას... ორჯერ ამოყირავდა ნამსხვრევის დარტყმისას ჰაერში ქალი; ბნელ ვარსკვლავ აეროსს მიასკდა ბეჭებით. ზურგისა და სახის ტკივილმა ორჯერ მოკეცა ქალი. პირველად იგრძნო სისხლის გემოც – ტკბილი და ბლანტი. უსიამოვნო იყო გრძნობა და მტკივნეული. ქალღმერთის შეხებისას მწვანედ ინათა წამით აეროსმა. ინათა და ჩაქრა. თავისი ცხოვრება მოაგონა ჰერას ამ წამმა – განათებულმა და უცებ ჩამქრალმა. ღერძიდან მოწყვიტა ვარსკვლავი; ცისფერი თითით დააპატარავა იგი და თავისი ცხოვრების სიმბოლოდ ყელზე ჩამოიკიდა; ჯაობაზე მძიმე იყო ვარსკვლავი; მძიმე, ტლანქი, აუტანლად მტკივნეული, მაგრამ რაღაცით სასიამოვნო მაინც.

ტახტრევნის ნამსხვრევები უგზო-უკვლოდ იფანტებოდა ისევ შორეულ სივრცეში; ალაგ-ალაგ ანათებდა ცეცხლადქცეული და მსწრაფლ ქრებოდა უსასრულობაში.

ჰერა აეროსის სიმძიმეს, ვარსკვლავის აუტანელ ამბროზიის სუნს ეჩვეოდა და წყლიანი თვალებით გაჰყურებდა დაკარგული ბედნიერების ცეცხლადქცეულ ნამსხვრევებს.

ქალისთვის უკვე სულ ერთი იყო, ლამაზი იქნებოდა თუ არა, მაგრამ ტბაში ჩახედვისას მაინც დააფრთხო უცნობის სახემ, რომელსაც უზარმაზარი ტკივილი ჰქონდა თვალებში და შემზარავი დაღი მარცხენა ღაწვზე.

უკან გაბრუნდა დანაცრულთან ერთად. ოერიუსზე გადასახლდა... პოლიბიეს საფლავთან იწვა ჩუმი და სახიჩარი.

გრძელი თითებით ეფერებოდა პოლიბიეს – შორეულსა და ყველაზე ტკბილს.

ზევსის ხარხარი, კიდევ უფრო შემზარავი და ძლიერი, ხანდახან მაინც აღწევდა ოერიუსზე; ყვავილები მსწრაფლ იკეცებოდნენ ღმერთის ხმაურზე.

სძულდა ღმერთი ჰერას... ისარს ატრიალებდა ხელში უსასრულოდ.

პოლიბიეს სიყვარულზე მეტად ძლიერი იყო ზევსის სიძულვილი.

ერთ თეთრ ღამეს რაღაც უცნაურმა განცდამ წამოაგდო ფეხზე ჰერა. იგრძნო, რომ მასში, შიგნით, პოლიბიეს შვილი იყო.

უდრტვინველად და თავდაჯერებულად მოძრაობდა სხეულში ბავშვი, რომელსაც სამყარო უნდა შეეცვალა.

დიდხანს ტიროდა სიხარულისგან ჰერა... დიდხანს კოცნიდა პოლიბიეს საფლავის ყვავილებს... დიდხანს იწვოდა ორი ნეტარებისგან – პოლიბიეს შვილი და შვილი, რომელიც ზევსს გაანადგურებდა; მხოლოდ მაშინ იგრძნო ჰერამ, რატომ ჰქონდათ სინდისი წყნარი იმ დღეს ღმერთებს ოლიმპოს მთაზე. მიხვდა, რომ ზევსმა ჩააქრო მზისფერი სხივი...

დაბადებამდე იცოდა ჰერამ, როგორი იყო შვილი. მისმა დანახვამ წარმოსახვაშიც შეაკრთო ქალი. დედის უკვდავება დაჰყვა მას და მამის აჩრდილი.

ჰადესის სამეფოს მკვიდრთა სახე ჰქონდა ბიჭს – გამჭვირვალე იყო და მანათობელი. სხეული არ ჰქონდა. მამის მწვანე თვალები შემზარავად ანათებდა მის გამჭვირვალებაში...

განაჩენი

ბიჭის გამოჩენამ სიმშვიდე დაურღვია ზევსს. აღიზიანებდა ღმერთს უჩინარი ჩინარი; ვერაფრით იგონებდა, როდის და სად ჰქონდა ნანახი მზისფერი სხივი უსასრულო სიმწვანეში. არც მისი გამჭვირვალება მოსწონდა მაინცდამაინც.

ჩუმად იყო ღმერთი. არ უნდოდა ვინმეს ეგრძნო, როგორ დააფრთხო მისი მყუდროება გამჭვირვალე ბიჭის გამოჩენამ.

ირონიით ადამიანთა გონების მფარველობა უბოძა მას; თუმც თავადაც ვერ მიხვდა მერე, რაში იყო ირონიის არსი. დიდხანს იმტვრია თავი. დააფრთხო დეინოს აზრმა, რომელიც

დაჟინებით უმტკიცებდა, რომ თავად ბიჭმა აიძულა ღმერთი ადამიანთა გონების მფარველობა ებოძებინა მისთვის. მიწაზე გადმოხედვა არასდროს უყვარდა ზევსს; უბადრუკი არსებების ვნებებსა და ტკივილს დასცინოდა ყოველთვის; არაფრად მიაჩნდა მათი არც გრძნობები და არც გონება; ამიტომაც უბოძა ბიჭს ყველაზე უსუსური არსებების გონების მფარველობა. ამით დაამცირა ჩრდილი, რომელიც უზომოდ მშვიდი იყო თავის სიმწვანეში და ოდნავ იღიმებოდა ყოველთვის. ამ ღიმილს ჭკუიდან გადაჰყავდა ზევსი; მიკარგული მოგონებების კუნჭულში ეძებდა არსებას, რომელსაც ზუსტად ასეთი გამაღიზიანებელი და თავდაჯერებული ღიმილი ჰქონდა. ვერაფრით მიაგნო. ვერ მოიგონა.

ბიჭი კი თავისი მზისფერი სხივებით დღითიდღე იპყრობდა „უბადრუკ“ არსებებს; ყველა ემორჩილებოდა მას, ვისაც არც უბადრუკად მიაჩნდა ადამიანი და არც უგონოდ... ბიჭის ნათება ყოველ წამს იზრდებოდა ადამიანთა ერთგულებასა და სიყვარულთან ერთად.

ზევსი გვიან მიხვდა, რომ შეცდა! რომ თავადაც ადამიანისთვის იყო შექმნილი და სწორედ ის ამარცხებდა ახლა; უბადრუკი, უგონო, მომაკვდავი არსება ამარცხებდა ზევსს – აღარც მას ცნობდა და აღარც მის ღმერთებს. მხოლოდ გამჭვირვალე ბიჭს (რომელშიც ღმერთიც იყო და კაციც) აღიარებდა იგი.

ბიჭის მოკვლა მოითხოვეს ღმერთებმა; მხოლოდ ზევსს შეეძლო მისი განადგურება, მაგრამ გრძნობდა, რომ ძალა არ ეყოფოდა შინაგანად ამისთვის. ბიჭის გამჭვირვალება და უკვდავება მოიმიზეზა აფორიაქებულმა.

შემაწუხებელი სიჩუმე და სიჩუმის ხმაური იდგა ოლიმპოს მთაზე; ზევსი გრძნობდა, როგორ გამოეცალა საყრდენი ოლიმპოს, რომელიც სიმშვიდესა და სისასტიკეს აფრქვევდა სამყაროში.

დეინოს ცრემლებმა კიდევ უფრო დაგლიჯა ზევსი. ქალი ტიროდა მაინც. ყველაფერს ერთად მისტიროდა. ცრემლებმა ეროსის ნაისრალი ჩამოურეცხა ზევსს (შეცდა და ვერ მიხვდა

დეინო, რომ ცრემლი არ არის ყოველთვის იარაღი, თუ გულწ-
რფელი არაა იგი). მახინჯი ქალის დანახვამ დააფრთხო ზევსი.
შეზიზღდა საკუთარი თავიც და დეინოც – მოხუცი, მახინჯი,
უკბილო ქალი... და იმ წამს, სწორედ იმ წამს მოაგონდა ღმერთს
თავისი სიყვარული – ქალი, რომელიც ყველაფერს მართავდა
ოლიმპოზე და ქალი, რომელიც თავად იყო ზევსი. ღმერთმა
ისეთი ძალით მოუქნია კვერთხი დეინოს ტახტრევანს, რომ
ადამიანებიც დააფრთხო დედამიწაზე და ჰერაც – ოერიუსზე.
ტიროდა ზევსი – ღიმილიც იცნო და მზისფერი სხივიც;

ყველას განუდგა ზევსი... მარტოობაში ჩაიძირა... მთელი
თავისი ცხოვრება ტკიოდა...

ღრუბელ იედაზე იჯდა ღმერთი თავჩარგული და ჰერაზე
ოცნებობდა, როცა ნაცნობი ჩრდილი დაეცა მის წინ. ამ წამის
ყველაზე მეტად ეშინოდა. თავის აწევაც გაუჭირდა ზემოთ. იგ-
რძნო, რომ მის წინ (ჰერა და პოლიბიე) ბიჭი იდგა. ისარი ეჭი-
რა ხელში გამჭვირვალეს; ისარი, რომელსაც ჯერ კიდევ შერ-
ჩენოდა პოლიბიეს მზისფერი სხივი. იმდენი სიძულვილი და
ზიზღი იყო ბიჭის თვალებში, ზევსმა ვერ გაუძლო და თავი
დახარა. უსიტყვოდ დაელოდა განაჩენს.

გამჭვირვალემ ინტუიციით გაიმეორა ზევსის შურისძიე-
ბა. იედაზე დაიკლაკნა ღმერთი; თვალზე მეტად სული ეწვო-
და სუნთქვაშეკრულს. რცხენოდა გამჭვირვალე ბიჭის, ჰერას,
პოლიბიესა და ადამიანების, რომლებიც დათრგუნა და თავად
აქცია არარაობად. უხმოდ და უსიტყვოდ გაინადგურა საკუ-
თარი თავი ზევსმა; თავადვე დაშალა მოლეკულებად თავისი
სხეული და ჰერასა და პოლიბიეს ტახტრევნებივით გაიფანტა
უსასრულობაში. ბოლო წამს ჰერას ღიმილი და ქალის ცისფე-
რი თითი მოაგონდა დაშლილს.

ჰერამ – სევდიანმა და სახიჩარმა – გულიდან ჩამოგლიჯა
ჯაობა დეინოს და ცაზე დაკიდა ისევ. სხვაგვარი სასჯელისთ-
ვის ვეღარ გაიმეტა ქალი. გამჭვირვალე ბიჭი შორიდან აკვირ-
დებოდა დედის აცახცახებულ ნიკაპსა და შევერცხლილ თმებს.
ჰერა ფრთხილად დადიოდა ოლიმპოზე... თითქოს ეშინოდა,

ღრუბელი არ ჩაწყდომოდა ფეხქვეშ. თითებით ეფერებოდა ძველ ნივთებს; ყველაზე მეტად სარკემ დააფრთხო, რომელიც ასე უყვარდა ოდესღაც. ვეღარ გაბედა შიგ ჩახედვა. იცოდა, რომ იქ ჰერა აღარ დახვდებოდა და მსწრაფლ გაშორდა. ბიჭს საოცრად უნდოდა, გულში ჩაეკრა დედა, მაგრამ ბოლო წუთს გადაიფიქრა; გაახსენდა, როგორ არ უყვარდა ზედმეტი სენტიმენტალიზმი დედას. ღმერთები ფეხქვეშ ეგებოდნენ ჰერას... ქალი სასტიკად გაღიზიანდა; მთელი ძალით მოიქნია ზევსის კვერთხი, რომელიც ღრუბელ იედაზე იპოვა და ყველა ღმერთი ერთიანად ჩაწყვიტა ოლიმპოდან. ქალმა შეამჩნია, როგორი გაოგნებული სახე ჰქონდა არტემიდეს სიკვდილის წინ და ზურგი შეაქცია! მთელი არსებით იგრძნო, რომ არტემიდეც სძულდა!... მხოლოდ ანცი ეროსი დაინდო ჰერამ და დეინოსთან ერთად დააბრუნა პლანეტა ადერაზე; ყველაზე საძულველ პლანეტაზე პლანეტათა შორის! ეროსს სიკვდილი უნდოდა, მაგრამ მარადიული სიცოცხლით დასაჯეს იგი... ყველაზე სასტიკი სასჯელი ჯერ კიდევ წინ ჰქონდა სიყვარულის ღმერთს – თითები დაუხმო ჰერამ, რომ ვერასდროს შეძლებოდა ისრების გაკეთება ეროსს.

ოლიმპო დაცარიელდა და შავ ნისლში გაეხვა სამუდამოდ; ჰერამ გამჭვირვალე ბიჭთან, დანაცრულთან და პოლიბიეს საფლავთან ერთად ახალი სამყაროს შექმნა დაიწყო პლანეტა ოედიუსზე, სადაც არასდროს ღამდებოდა და ყვავილები ყვაოდა ირგვლივ...

ვარსკვლავი ჯაობა სუსტად, მაგრამ მაინც ანათებდა სამყაროში!

2008/08

ფარვანა

ეს ძალიან დიდი ხნის წინ იყო... როცა ვიყავი პატარა და სასაცილო. თმები, როგორც ყოველთვის, ბიჭურად მქონდა გაკრეჭილი და თვალებში მებლანდებოდა. მეცვა ძირითადად რომელიღაც მივლინებიდან მამის მიერ ჩამოტანილი ჭრელი შორტები და მაისური (რომელიც თოკზე გასაშრობად გაკიდებული შემიჭამა ერთ დღეს ჩვენმა ძროხამ – ჩაჩანამ – ჭრელი თუ მოეწონა). ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი დღეები იყო (თუმც მაშინ არც ბედნიერების მესმოდა და, მითუმეტეს, არც – ცხოვრების).

ზაფხულის ღამეებში ჩვენს ძველ, ორსაუკუნოვან მუხის პატარა ქოხში უამრავი გამჭვირვალე, მომწვანე ფერის ულამაზესი მწერი მოფრინავდა ჭერში ჩამოკიდებული გაყვითლებული ნათურისკენ. მოფრინავდნენ, რამდენიმე წრეს უვლიდნენ ირგვლივ სინათლეს და მერე, უკვე წარსულად ქცეულები, უმწეოდ ეშვებოდნენ ჩემს ფეხებთან.

მახსოვს, როგორ ვცდილობდი, ჭრელი ნაქსოვი თავშლით მომეგერიებინა ისინი. არ მიმეშვა გავარვარებული ნათურისკენ, მაგრამ ფარვანები მაინც თავგამეტებით მებრძოდნენ და ისევ მიილტვოდნენ ნათელი და ფერადოვანი გზისკენ. გამჭვირვალე მწერების სიყვარულის გამო, ბაბუამ „მწვანე“

დამარქვა ... ეს, ალბათ, სისასტიკე იყო...

წლების მერე მივხვდი, რომ ყოველი ადამიანი ფარვანაა. ისწრაფვის იქით, საითაც სინათლეა და ვერ აცნობიერებს, რა ტანჯვაზე გადის გზა სინათლისკენ, რომელიც ტკივილის გზაა და სხვა არაფერი.

ახლაც ის განცდა მკლავს – ჭრელი თავშალი მოვუქნიო საკუთარ თავსა და მილიარდობით ადამიანს სამყაროში, მაგრამ ჩვენ ისევ მივისწრაფვით მაინც იმ შუქისკენ, რომელიც რეალურად არც ფერადოვანია და არც – ნათელი.

ეს საბედისწერო განაჩენი დაბადებამდეც გამოგვიტანეს, ალბათ!

მიწა ცივი მოეჩვენა ატის. მთელმა სხეულმა რაღაც უსიამოვნო იგრძნო და ყალბი. გაეღიმა. ფეხზე წამოდგა და ფრთხილად დაიფერთხა მიწის შეუმჩნეველი ნამცეცები სხეულიდან, რომელიც უსასრულოდ უყვარდა ჰაას. თითოეულ ნამცეცში ატი ხედავდა სამყაროს, რომელშიც იყო სევდაც და ტკივილიც – დანამცეცებისა და პირველსახესთან დაბრუნების ტკივილი. გააოგნა საკუთარმა სიდიდემ ქალი, რომელსაც შეეძლო ნაწილებად დაეშალა და ისევ შეეკრა სამყარო; და შეძრა საკუთარმა სიპატარავემ ატი, რომელსაც მიწის ნამცეცებივით ამსხვრევდა ჰაა და აღარასდროს აერთებდა.

ატის მოუნდა, ეტკინა საკუთარი სხეულისთვის და ასე დაესაჯა კაცი, რომელიც უსასრულოდ სძულდა ქალს და უსასრულოდვე უყვარდა; მთელი სიცოცხლე ეძებდა საკუთარ თავში ჰაასგან გაქცევის გზას ატი. ცდილობდა, ეფიქრა ყველაფერზე

– ხეებზე, მთებზე, ვარსკვლავებზე, უზომოდ ბინძურ მდინარეზე – მაგრამ ყველა ფიქრი საბოლოოდ ბავშვობის მღვრიე მდინარესავით მღვირე ჰაასთან მიდიოდა.

ჰაა იწვოდა თითქოს – ატიზე ფიქრი შიგნიდან აწამებდა. თვითონაც არ იცოდა, რა აწუხებდა და რატომ. ღრმა ძილში ამოიცნო თავისი ტკივილი ჰაამ – ატის ეშინოდა – ძალიან მშვიდი, ძალიან ლაღი, ძალიან ღრმა და სამყაროსავით წიბოებად და კუბებად დაშლილი ატის ეშინოდა. ქალის სხეულში საკუთარ თავს პოულობდა ყოველი შეხებისას კაცი; აღსასრულივით მძიმე იყო ეს აღმოჩენა. არ ჰგავდა ატიში ჩასახლებული ჰაა იმას, ვისაც ყოველდღე ხედავდა ამღვრეულ მდინარეში კაცი.

***

მოულოდნელად, ნერვიულად და მშვიდად თქვა უცნაური სიტყვები ჰაამ, დაღლილმა საკუთარი არარაობის განცდით. ატი შეიპყრო უზარმაზარმა სიგიჟემ, რომელსაც სახელი ვერ დაარქვა; მოეჩვენა, რომ მარტო იყო სამყაროში, სადაც აღარც მზე იყო, აღარც მიწა, აღარც ხეები და აღარც მღვრიე მდინარე, რომელიც იმ წამამდე სძულდა ატის.

ქალი თავის ოცნებებში დაეხეტებოდა და იგლიჯებოდა; ერთი სურვილი აწამებდა მხოლოდ – სამყარო დაენახა ისევ. ტანჯვა მძიმე აღმოჩნდა და უსასრულო. ატის სხეულში კუბები და წიბოები სწორ ხაზებად იქცა...

***

პირველი, ვინც სიცარიელეში შეხვდა ატის, ორა იყო. ატი მისმა შინაგანმა სიდიდემ უფრო შეაწუხა. ორა მასთან იყო, როცა ქალს სურდა და არ სურდა. კაცი ღრმა იყო და სამყაროს ეძებდა ქალში – არა სხივს, არა ფრთებს, არამედ სამყაროს. ორა მარადიულ ბედნიერებას ჰგავდა – სიმშვიდის ბედნიერებას. მაგრამ ატი აღარც ბედნიერებისკენ ისწრაფვოდა და აღარც სიმშვიდისკენ. ღრმად ჩაფლული სავარძელში უსასრულოდ დუმდა. დამცინავი იყო ქალის დუმილი, მაგრამ არასდროს უფიქრია ზამთრისეული ფიქრებით ჰააზე. საკუთარ თავს უფრო დასცინოდა ატი. უტიფარი სიჯიუტით უყურებდა ფარვანებს, რომლებიც მის ფეხებთან ენარცხებოდნენ უსასრულოდ.

ორას აფრთხობდა ქალში არსებული სწორი ხაზები. გრძნობდა, რომ სადღაც, ქალის სიღრმეში, ეძინა იმ უცნაურ ფიგურებს, რომლებიც უსასრულობიდან უსასრულობაში მიდიოდა და სავსე იყო. დარწმუნდა კაცი, რომ ქალი არ იყო მისი. სხეული, თმები, თითები, თვალები.... ყველაფერი იმისი იყო, ვინც ტეხილ წიბობებს ქმნიდა ქალში.

წავიდა კაცი... წავიდა სწორედ მაშინ, როცა ატიმ პირველად იგრძნო ჰაასგან განშორების შემდეგ შიშველ ფეხისგულებზე ცივი მიწა. აეწვა ულაზათო ფეხის თითები, რომლებიც ასე უყვარდა რატომღაც ჰაას. დაკარგულ ოცნებებს შეეხო ქალი. შეგრძნების დაბრუნება ყველაზე დიდი განცდა იყო მტკივნეული სიტყვების შემდეგ.

***

ჰაა ცდილობდა, თავი დაეღწია ატის შრეებისგან. გამალებით უქნევდა მიწას ბარს. ოფლში გაღვრამდე არ ჩერდებოდა. ეჩვენებოდა, ატის უქნევდა ბარს, რომელიც, გრძნობდა, ნაკ-

ლებ მტკივნეული იყო, ვიდრე თავად მისი ბოლო სიტყვები. მიწას მოყვებოდა ატის თმები... ატის თითები... ატის ღიმილი... მუხლებში თავჩარგული დაღამებამდე ტიროდა ჰაა; თითქოს უცხო სახლში შედიოდა ყოველ ღამით; ძილს ყველაზე მეტად გაურბოდა კაცი, რადგან იქ – აბსურდში – ატი მაინც მოდიოდა მასთან. ქალის საფეთქლები ტკიოდა ჰაას; ისევ წვავდა ატის თითები, რომელზეც ჰაას უკანასკნელი სხივი ანათებდა. განშორების თავდაპირველი მოჩვენებითი სიმშვიდის შემდეგ მოვიდა უფრო მტანჯველი სიცარიელე, რომელსაც ვერც მიწაზე შრომა ავსებდა და ვერც თბილი სახლი. ეძახდა ქალს, მაგრამ ძალა არ ყოფნიდა, ხმამაღლა მოეხმო მისთვის. ცხელი სიმწვავით სურდა, ისევ შეხებოდა ატის საფეთქლებს, რომლებიც მის ოცნებასავით ცხელი იყო და მწველი ყოველთვის.

ატის სხეული ძალიან შორს იყო ჰაასგან, მაგრამ ცხადლივი ძალით მოდიოდა ქალი მასთან ზამთრისეულ ფიქრებში და ისევ იკარგებოდა საკუთარი არარაობის განცდაში კაცი...

***

ორა დიდხანს ეძებდა ქალის ხაზებისკენ სავალ გზას. თავბრუდახვეული იკარგებოდა ლაბირინთებში, რომლებიც ძალიან ღრმად ჰქონდა ჩამარხული ქალს. კვანძი არ ჩანდა. ვეღარ ხვდებოდა ორა, თავად უფრო იტანჯებოდა, თუ ატი და ის, ვინც ყველა ტკივილის ტკივილი იყო. ატი არ წუხდა. არ ტიროდა. დუმდა მხოლოდ. მისი დუმილი ყველაზე დიდი ტანჯვა იყო ორასთვის. კაცისთვის საკუთარი რაობა მთავარი აღარც იყო. ატის თვალებში სხვა (მისთვის კუთვნილი) სხივის დანახვაზე ოცნებობდა მხოლოდ. ქალი ყოველთვის ღრმად უყურებდა თვალებში კაცს, მაგრამ სხვაგან იყო. შენიშნა ორამ, თვალგახელილი ატი ყოველთვის შემცბარი და შეშინებული ეხვეოდა კაცს... ხანდახან, ძალიან იშვიათად, მთელი ძალით

ხუჭავდა თვალებს ქალი და მხოლოდ მაშინ ახერხებდა რაღაც ძალიან წრფელის გადაცემას ორასთვის. ამ წამს სიკვდილივით გაურბოდა კაცი. გაუსაძლისად შურდა იმისი, ვინც ატის თვალების სიღრმეში ცხოვრობდა..

***

სავარძელში ღრმად ჩაფლული ატი მშვიდი სიცარიელით აკვირდებოდა ორას, რომელსაც ყოველთვის უამრავი იადონი დაჰყვებოდა თან. ატი ხაზს ხაზზე ავლებდა გონებაში. ჰაას ნარჩენებს ეძებდა მასში. ვერ პოულობდა. ჰაა მიწაში ეძებდა შვებას, ორა – იადონებში. ჰაა დღედაღამ ბარს უქნევდა მიწას და სულისშემძვრელი უშფოთველობით სრესდა ბარზე დაკლაკნილ მატლებს ყოველთვის (ამ წამში თავის ბედსაც ხედავდა ხშირად ატი). ორა იადონებთან იყო მუდამ და მათსავით ნარინჯისფრად ექცია დროს.

უსიამოვნო განცდა არ შორდებოდა იადონების ხმაურზე ატის. კაცთან შეხვედრის პირველი წამი აგონდებოდა. ლაბირინთებში ჯერ ფრთების ხმაურმა გამოაფხიზლა, მერე უცნაურმა და უსასრულო გალობამ და მერე ორამ, რომელიც შემაწუხებლად ლამაზი იყო და მამაკაცური ატისთვის.

ჰაა არაფრით ჰგავდა ნარინჯისფერ კაცს – მიწასავით ძლიერსა და მიწისგან ძალიან შორს მყოფს. ჰაა სხვა იყო – კაცი, რომელმაც ქალში პირველივე წამიდანვე მოიტანა გასაოცარი თრთოლვა და რომელიც ძალიან მარტივად შემოვიდა ქალის ცხოვრებაში... მოვიდა და ისე უბრალოდ თქვა პირველი სიტყვები („**მე ჰაა ვარ**“), როგორც უკანასკნელი. გზის დასაწყისში ძალიან ახალგაზრდა იყო ატი... ზედმეტად ახალგაზრდა და ზედმეტად გულწრფელი. სიმარტივეში სიდიდე დაინახა და დაიწყო ტანჯვა, რომელიც მთელი სიცოხლე გაჰყვა თან და რომელიც სულაც არ იყო (**თურმე**) დიდი და მარტივი... და ატი, დაღლილი მუდმივი ტკივილით, ოცნებითა და საკუთარი წლების სიმძიმით, ორაში აღმოჩნდა –კაცში, რომელშიც ცაც იყო და მიწაც და ძალიან ჰგავდა თავად ატის.

ჭრიალა იატაკი ძველი ოთახის, რომელიც ქალის ცხოვრებასავით ჩუმი იყო და ხმაურიანი, დღითიდღე ივსებოდა სიფრიფანა ფარვანებით; ქალი გრძნობდა, რომ თავადაც ჩაიკარგებოდა მალე ფარვანების გაყინულ სამარეში. საბედისწერო

განაჩენივით შეჰყურებდა ატი თითოეული ფარვანის ფრთების უკანასკნელ მოქნევას და გრძნობდა, როგორ წყდებოდა აუტანელი ტკივილით სხეულს ერთი ხაზი, ჰაას ხაზი რომ ერქვა. მხოლოდ ამ წამს გამოსცემდა ქალის ორგანიზმი რაღაც სასტიკ, შემზარავ ხმას და ცახცახებდა...

***

უცნაურ საუკუნეს ფარვანების საუკუნე დაარქვეს ლემანელებმა. მწერებით დაფარული ცა აოგნებდათ სოფლელებს. გამჭვირვალე ფრთებში ღამე იკარგებოდა. მანათობელი, ციმციმა გახდა ღამის ლემანი. მწერები ერთი სახლისკენ მიჰქროდნენ დაუსრულებლად. ლემანის განაპირას ლურჯად გადაღებილი, ოცნებებში ჩაკარგული ატის პატარა სახლი ციმციმებდა ათასფრად.

ლემანელები გაურბოდნენ სახლს, სადაც ყველას ოცნება იმარხებოდა ფარვანების ფრთების ქვეშ.

***

ატის ტკივილმა დაღალა ორა. კაცი კითხვებს ვერასდროს სვამდა. იცოდა, ატი დადუმდებოდა და უფრო ღრმად შეიმალებოდა თავის წიბოებში... ან ატი იტყოდა იმას, რისი მოსმენაც ყველაზე მეტად აფრთხობდა ორას. ძველებური ცხოვრება ენატრებოდა კაცს – მშვიდი და სავსე ნარინჯისფერი ხმებით. ატიმ შემოიტანა დასერილი განცდა... უზარმაზარი ემოცია და ლურჯი ფერი, რომელიც ზედმეტად მძიმე აღმოჩნდა თავად ორასთვის.

მიწას დაუსრულებლად ფშვნიდა გრძელი და გამჭვირვალე თითებით ორა. მუქ ნამცეცებში ეძებდა ატის ტკივილს. მიზეზს მიაგნო მაშინ, როცა გაცრეცილ თითებში მომწყვდეულ

მიწის ნამცეცზე ფარვანა შეამჩნია. მშვიდად იქნევდა მწერი გამჭვირვალე ფრთებს. უზომოდ მშვიდად და ნიშნისმოგებით.

ხურჯინი ზურგზე მოიგდო კაცმა. უსიტყვოდ გაიხურა ლურჯი კარი.

უთვალავი ფარვანა ლემანისკენ მიფრინავდა; ათასობით იადონი – მათ საწინააღმდეგოდ, სადღაც – გაურკვეველი მიმართულებით იკვლევდა გზას...

ატი კი იდგა და პირველად იღიმებოდა იმ დღის მერე. სიცივისგან მოკუნტულ ფეხის თითებს მთელი ძალით უსვამდა გაყინულ მიწას.

***

თბილი და მყუდრო სახლი, საიდანაც უამრავი ფარვანა მოფრინავდა ლემანისკენ, არაფრით ჰგავდა ატის ლურჯ და ცივ კერას.

თითებივით გაცრეცილი ხურჯინი ზურგიდან მოიხსნა ორამ. კაცი სულისშემძვრამდე გააღიზიანა მყუდრო სახლმა. ყელში გაჩხერილი ბურთი ტკივილით გადაყლაპა. ატი გაახსენდა – ჩუმი და დახლეჩილი – რომელიც ჰაას მყუდრო სახლის ფარვანებში იძირებოდა.

ერთმანეთის პირისპირ დიდხანს იდგნენ ორა და ჰაა. იადონებისგან დამფრთხალი ფარვანები თავგანწირვით იკვლევდნენ გზას ლემანისკენ. ორას გაუსაძლისი განცდით სძულდა მიწაში ამოსვრილი კაცი, რომელსაც გაუხეშებული და დაკოჟრილი თითები ჰქონდა.

ბარის პირზე დაკლაკნილ შუაში გაწყვეტილ მატლს იადონები მიეძალნენ. შორს მოიქნია ბარი ჩიტების შემოსევისგან შეშინებულმა ჰაამ; სახეზე აიფარა მიწიანი თითები. ორამ ინატრა, ასეთი ჰაა დაენახა ატის, რომელიც შორს იყო მათგან და გააზრებულად წირავდა თავს მიწისგან გაჭუჭყიანებულ კაცს (თუ იმ განცდას, რომელიც მასში იყო, ალბათ, დაბადებამდეც).

***

მზიანი და თბილი დღე იყო ლემანში. ატის ციოდა მაინც. ციოდა მის ყველა მონაკვეთს... წიბოს... წახნაგს...

ქალის წინ ჰაა და ორა იდგნენ. ჰაა თავჩაქინდრული იყო. მიწით ამოვსებულ ფრჩხილებს ნერვიულად იწმენდდა შარვალზე; ორა – მშვიდი და თავაწეული – დაჟინებით უყურებდა თვალებში თავის ატის – აკანკალებულსა და გაორებულს. ინანა კაცმა.

არც ერთი ტკივილიანი წამი არ აგონდებოდა ბავშვობის მდინარესავით შავი წარსულიდან ატის. თითქოს აღარც არსებობდა დღე, რომელიც თავის თავში იტევდა ჰაას, ატისა და ორას. მაგრამ ნარინჯისფერი კაციც წვავდა ქალს; კაცი, რომელმაც განცდა და ჰაა დაუბრუნა ერთად.

ნაბიჯის გადადგმის დროს მხოლოდ ერთი ფრაზა ამოუტივტივდა ატის – **„მე ჰაა ვარ“!** მინდორი თავბრუდამხვევი სიჩქარით დატრიალდა. ერთმანეთში აირია მიწა, ხეები, ლურჯი სახლი, ფარვანები, იადონები, მდინარე, ჰაა და ორა. უწონადო სივრცეში იდგა თავად ქალიც, რომელსაც ლურჯ კაბას უფრიალებდა ფრთხილად ქარი.

ეგოცენტრისტის პირველი ფრაზა ექოდ იჭრებოდა ატის გონებაში. მაგრამ ორას მოტანილი სიმშვიდეც (რომელიც მთელი სიცოცხლე ენატრებოდა ქალს) საოცარი ძალით ექაჩებოდა თავისკენ.

ფეხქვეშ ისევ დაბრუნდა მიწა, რომელიც ზედმეტად მყარი მოეჩვენა იმ წუთში ატის. ბავშვური გულუბრყვილობით ისრესდა სახეს. შველას ითხოვდა მისი ყველა განცდა, მაგრამ მარტო იყო ტკივილის პირისპირ ქალი.

უკანასკნელ წამს თვალები დახუჭა ატიმ. მძიმედ გადადგა ნაბიჯი; სამივეს ხმაური შიგნიდან გლეჯდა ქალს.

გზა მარჯვნივ

შეყოვნდა.

სიმშვიდე იგრძნო ქალმა.

უცნაური რამ აღიქვა თვალების დახუჭვისას ატიმ. შეამჩნია, ჰაასა და ორას ფეხებთან პატარა ჭუპრი ეგდო... უმწეო, პატარა ბურთი... დაიხარა ატი. ხელისგულზე დაისვა დახლართული ფიგურა. ჰაასა და ორას თითებს დახედა ღიმილით. ჰაას თითები მიწაში იყო ამოსვრილი, ორას ზედმეტად სუფთა და ლამაზი ხელისგული ჰქონდა. შებრუნდა ქალი. ჭრიალით შეაღო ფარვანებით სავსე სახლის კარი…და ჭუპრთან ერთად მიიმალა.

ბინდბუნდში იძირებოდა ღამის ლემანი. მხრებში მოხრილი ორი მამაკაცის ლანდი, უამრავი ფარვანა და იადონი უჩინარდებოდა ჰორიზონტის სიღრმეში.

ლურჯ ოთახში ახალი ფარვანა იბადებოდა...

გზა მარცხნივ

შორს, ჰორიზონტზე, სიბნელეში კარგახანს მოჩანდა მამაკაცის მოხრილი ლანდი, რომელსაც უამრავი ფარვანა და იადონი მიჰყვებოდა თან. ატი დიდხანს და დაჟინებით აკვირდებოდა უსასრულობისკენ მიმავალს; იგრძნო, რომ უცნაური სითბო მოდიოდა ზურგიდან, სადაც მისი მომავალი და **(რატომღაც)** ლურჯად გადაღებილი სახლი იდგა...

ღამის ლემანის ცაზე უამრავი ვარსკვლავი ციმციმებდა.

გზა პირდაპირ?!

17/10 – 12/11 / 2009

დაოს ბიმონელები

დათოს – ყველაზე ფერადი სულის ბიმონელს!!!

„წამიც არ დასჭირვებია კედელზე დახატული მახინჯი რეალობის შავ ლაქებად ჩამორეცხვას. „მთვარის მეორე მხრიდან“ მოვლენილი დემონური მუსიკა ქვესკნელისკენ ისროდა წამებს... მოცელილი ბალახის კივილი სიკვდილის მაცნედ იჭრებოდა სულში... ვერლენის „შემოდგომის რექვიემი“ მონოტორულად კაწრავდა გულს... სულში ვიღაც დაძრწოდა შავი ხელებით (სიკვდილი თუ იყო?!)“...

დავით ჯორბენაძე

მე ჯმაო ვარ – ჯერ კიდევ სული.

დროის ნაკრისფერ სიბრტყეში დავიბადე პლანეტა დაოზე.

ბევრი ფერი მაქვს ისევ.

ფაა ჰიუ ამბობს, რომ დროის მესამედის მერე „დავლაგდები“; რძისფერი გავხდები და მხოლოდ ერთი ფერი შემომერტყმება გარს. „იქ“ გამყვება ის ფერი თან (ნეტა ქრიზოლითისფერი თუ ვიქნები? თუ ვემსგავსები დაოს?). ამ ფერით უნდა მიპოვოს „იქაურ“ სეიამ და მიუნოს უკან დაბრუნებულიყ.

სეია დაოზე დიდია და უგონოდ დახლართული ტოტები აქვს. თავისი ხმა მაჩუქა დაბადებისას მან (ნეტა კარგია თუ ცუდი ეს? ფაა ჰიუ ამაზე არაფერს ამბობს...)

ჩემ ირგვლივ უამრავი ფერადი სულია. ☾ჰამა ყველაზე პატარა და ყველაზე სნრაფია მათ შორის. ყოველთვის დაღლილია და არასდროს ისვენებს მაინყ. მალიზიანებს!(?)

☾ილი ყველაზე სხვანაირია – ჩემზე ფერადია და ძალიან მორყხვი.

ჯფაა ჰიუ ძალიან დარდობს ილის გამო. დროის მეორედიყ გავიდა, თყრმე, ილის დაბადებიდან, მაგრამ არ „ლაგდება“. ჰიუმ ხუმრობით „ილიმრავალნერტილი“ შეარქვა მას ამის გამო.

არ ბრაზობს მეტსახელზე ილი. ისე ხრის დაბლა თავს, საკუთარ ფერებში ვირეკი ერთიანად. თავბრუ მეხვევა. ილი ვერყ ამჩნევს ჩემ დაბნევას (თუ არ იმჩნევს?).

ნეტა როდის დაიბადება ილი? სად? როგორ ვიყნო იგი „იქ“?

ილი არაფრით ჰგავს ☾გაესაყ, რომელიყ სულაყ არაა მორყხვი და დღე და ღამ თამაშობს ჯნაოსთან ერთად. ვდგავარ და შორიდან ვუყურებ მათ. სეიას ფესვებში ჩამალულს ტირილი მინდა. თავისი ვეება ტოტებით მეფერება იგი მონყენილს თავზე (რა ხორკლიანი ჩანს სეიას ტოტები და რა უყნაურად თბილია მათი შეხება)...

უსასრულობის შავ სივრცეში ეკიდა თხევადი პლანეტა დაო. უზარმაზარი ხის – სეიას – ფესვებზე იდგა იგი. ფესვები სივრცეში ჰქონდა სეიას გაფანტული. დაუსრულებლად ისრუტავდა სამყაროს სიბნელეს იგი. სიშავე ბლანტ მასად იქცეოდა სქელ ბოლქვებში – წვეთ-წვეთად მოჟონავდა ქრიზოლითის ფოთლებიდან.

ხის დამსკდარ ჯამებში აგროვებდნენ დაოსავით თხევადი ფააები სეიას ფოთლებიდან ჩამოწრეტილ ფერად ბურთებს – ყვითელ ბიმონებში ათავსებდნენ მათ. დროის ქარვისფერ სიბრტყეში სულებად იქცეოდნენ ფერადი ბურთები. ფორმას იღებდნენ და არსებობას იწყებდნენ დაოს სამყაროში. ფააები დღე და ღამ ადევნებდნენ თვალყურს სულებს. მხოლოდ შვიდ სულს უვლიდა თითოეული ფაა.

სეია სინანულით აყოლებდა ყოველთვის თვალს ქრიზოლითის სივრცეში მოფარფატე ფააებს, რომლებსაც, გრძნობდა, ზედმეტად მძიმე ტვირთი დააკისრა.

ჰიუ გამორჩეულად უყვარდა სეიას ფააებს შორის. იგი არასდროს ემორჩილებოდა წესებს – არ ფარფატებდა. არ ფრინავდა. დადიოდა მხოლოდ (უფრო დასრიალებდა). კაბის კალთებსაც დაურიდებლად იწევდა მაღლა ქრიზოლითის დაცვარულ მინდორზე გავლისას. ♂ფააები უხერხულობისგან იშმუშნებოდნენ და ჩუმად აპარებდნენ თვალს ჰიუსკენ (სეია თავს იმძინარებდა ამ დროს ყოველთვის).

წვეთებსაც ყველასგან განსხვავებულად აგროვებდა ქრიზოლითის ფოთლებისგან ჰიუ. ეთამაშებოდა დროს. ჯამს მაღლა ისროდა. ბზრიალებდა და ზუსტად იმ წამს იჭერდა ამეთვისტოს სივრცეში ხის უხეშ ნაჭერს, როცა მასში მთელი ძალით ენარცხებოდა წვეთი. შიშისგან სუნთქვა ეკროდა იმ წუთში სეიას. შვებითა და ღრმად სუნთქავდა საშიშროების გადავლის შემდეგ.

სხვა ფააები თითების ცახცახით იდგნენ ყოველთვის სეი-

ასთან. ახლოს მიჰქონდათ ფოთლებთან ჯამი. ოფლად იღვრებოდნენ წვეთის ჩავარდნამდე. დაძაბულები რამდენიმე დღეს ვეღარც ფრენას ახერხებდნენ და ვეღარც – ფარფატს. ჰიუ კი ღიმილიანი ტრიალებდა ბიმონის ირგვლივ უსასრულოდ. ეფერებოდა ჯერ კიდევ უფორმო ბურთებს – სულს უბერავდა – ათბობდა. ნეკა თითზე ისვამდა თითოეულს – ელაპარაკებოდა მათ. ვერ ხვდებოდნენ ფაააები ჰიუს უცნაურობის მიზეზს – დაოზე ყველამ იცოდა, რომ უფორმო ფიგურებს სულად ქცევამდე არ ესმოდათ არაფერი. ჰიუ არ თვლიდა ასე მხოლოდ. ჯიუტად საუბრობდა მათთან.

დროის ნაცრისფერი სიბრტყე ყველაზე მეტად უყვარდა ჰიუს – უცნაური ფიგურების ჩამოჟონვის წამი. ის „დაბადებაც“ ჩვეულებრივად დაიწყო ფაასთვის – სივრცეში ააგდო ჯამი (ეს წუთი განსაკუთრებით უყვარდა. ყველა ბურთი სხვადასხვაგვარი იყო. არასდროს მეორდებოდა). დაბზრიალდა. ხელები აწია მაღლა. მოხერხებულად დაიჭირა ჯამი, მაგრამ უჩვეულო სიმძიმისგან წელში მოიხარა ჰიუ. დაბარბაცდა. მიხვდა, რომ მის ცხოვრებაში პირველად დადგა იშვიათი წამი – ერთდროულად ორი წვეთი ჩავარდა ჯამში. ერთმანეთს იყვნენ ფიგურები მიკრულნი. გაუძნელდა ჰიუს მათი დაშორება. მთელი ძალით გაქაჩა ♀ და ♂. გახლიჩა. მაგრამ ♂სული ორად გაიყო. უზომოდ შეაწუხა ფიგურის ფორმამ ფაა. ტუჩზე იკბინა. ფრთხილად გადაუსვა სიფრიფანა თითი მტკივნეულ ადგილებზე ♀ და ♂ წრეს, რომლებსაც ერთნაირი ლურჯი შეზნექილი ნაწიბურები დარჩათ გახლეჩისას. ბიმონის მარცხენა ფრთაში მოათავსა ერთად ფაამ ♂ჰამა და ♀მაო. სეიამ მოითხოვა ასე – სახელებიც თავად შეურჩია პატარებს, რომლებიც დროის ერთი მეოთხედი მარტო ცხოვრობდნენ ქარვისფერ სივრცეში. ფაა ჰიუ გაურბოდა მათ – თავს იდანაშაულებდა (რატომღაც) ყოველთვის.

პირველმა თვალები მაომ გაახილა. ირგვლივ ბევრი არაფერი იყო – მხოლოდ სიმრგვალეში ჩაკარგული ♂ დაცურავდა ირგვლივ. სხარტი თვალი ჰქონდა მაოს – ერთნაირი ლურჯი

ნაწიბურები მაშინვე შეამჩნია. გაიფიქრა, რომ ასეთები არიან, ზოგადად, სულები და მშვიდად დაელოდა ♂-ის გაღვიძებას. ჰამამ მაშინ გაახილა თვალი, როცა ბიმონში ბაცი ქარვისფერი დრო იდგა. დაიბნა მაო. სფეროს ერთ კუთხეში მიიყუჟა. ქვემოდან უყურებდა ახალთვალახელილი ♂სული მას. შორიდან ზვერავდა დიდხანს. დროის ღია ქარვისფერი წამიდან დაუსრულებლად მიილტვოდა ჰამას ნაწიბურიანი მხარე მაოსკენ. ♀სულს აწუხებდა ჰამას ის ნაწილი, რომელიც არ იყო მისი. გაურბოდა სულს. ჰიუმ შეამჩნია მაოს ტკივილი. ფრთხილად ამოიყვანა ბიმონიდან პატარა. ბალახზე დასვა. სული ჯერ დაიბნა. სისველემ შეაწუხა. თვალებიც აუჭრელა ნამმა. ჩაჯდა. ფრთხილად გაახილა მარჯვენა თვალი და კიდევ უფრო მეტად გაოგნდა – ფაა ჰიუს ნაცვლად „სხვანაირი“ ♂სული იდგა მის წინ უამრავი ფერითა და მრავალწერტილით. არც ლურჯი ნაწიბური ჰქონდა უცნობს. მაო მიხვდა, რომ ყველა სული სულაც არაა ერთანირი და შეეშინდა (შიში არ მოეწონა ♀-ს და კიდევ უფრო დაფრთხა. იგრძნო, რომ ბიმონში მაინც უკეთესი იყო...). უზარმაზარი სოკოს – ჯეის – თავს მიყრდნობოდა ♂სული. ოდნავ მოშვებული ჩანდა. ხელები მკერდზე ჰქონდა გადაჭდობილი და მას უყურებდა შეფარვით – მაოს – ♀მაოს – შეწუხებულს ♂ჰამას უნაწიბურო ნაწილით. ძალიან ღრმა ჰქონდა სული ♂ილს – არეულს უამრავ ფერში. ჰამასგან გადაღლილმა მაომ უზომო სიმშვიდე იგრძნო. თავი რამდენჯერმე გადაქნია. ჯერ კიდევ უფორმო თითი ცხვირზე მიადო რატომღაც ილს. ♂ შეიშმუშნა. წითელმა ფერმა გადაუარა მის სიჭრელეს. უფრო ღრმად ჩარგო თავი გადაჭდობილ ხელებში. მაოს ხმამაღლა გაეცინა (პირველად გაიცინა იმ დღეს ♀ სულმა).

სეიამ ღრმად ამოსუნთქა სულის ხმაურზე, ფოთლებში მოიმწყვდია ფესვები და უფრო მძაფრად შეისრუტა სამყაროს სიშავე სქელ ბოლქვებში.

მაოს ხმა

ფაა ჰიუს ვიღაც ენატრება, მაგრამ არ ახსოვს, ვინ...

ამაზე არაფერს ამბობს, მაგრამ მე ვგრძნობ, როგორ იშ-მუშნება იგი. როგორ ეძებს რაღაცას „შიგნით". ნეტავ რომ გაახსენდეს, უფრო დამშვიდდება? მგონი, რომ – არა... მე არ მინდა, ფაა ჰიუმ „იპოვოს" თავისი მონატრება. უფრო ეტკი-ნება, ვიცი.

ძალიან მიყვარს ჰიუ. მის ხელისგულზე ყველაზე კარგად ვგძნობ თავს. ვინაბები, როცა მეფერება. ფაა ამბობს, რომ ᲗᲘᲚᲘ ყველაზე სხვანაირი სულია ჩვენს ბიმონში. სულ არ ჰგავს ᲗᲐᲛᲐᲡ – მოუსვენარს. დაღლილსა და ჩემსავით ნა-ნიბურიანს.

ფაა ჰიუ ხვდება, რომ... რაღაც სხვანაირად ვჭრელდები ᲗᲘᲚᲘᲡ დანახვაზე *(რატომ?)* და ძალიან მღლის ᲗᲐᲛᲐᲡ მე-ორე ნანილი.

როგორ მინდა, ვიცოდე, რას ფიქრობს ᲗᲘᲚᲘ ჩემზე... სე-იას კი ეცოდინება, მაგრამ... არ მეტყვის, ალბათ... ვიცი, რომ არ მეტყვის...

ნეტა არ დავბადებულიყავი ᲗᲐᲛᲐᲡთან ერთად. ლუარჯი ნანიბური, ალბათ, ყოველთვის შემანუხებს. ძალიან მეტკინა, ფაა ჰიუმ რომ გაგვხლიჩა ერთმანეთისგან დაბადებისას. რა უცნაურია, ᲗᲐᲛᲐᲡ არ ახსოვს ეს, მაგრამ ჩემზე უფრო მეტად ანუხებს ნანიბური და... მე(ც)!

მე ნანიბური და ᲗᲐᲛᲐ არ მტკივა *(ალბათ)*!

ვარდისფერი ესო

კაბის კალთები მაღლა აიწია ფიქრებში გართულმა ჰიუმ. გაღიზიანებით გახედა ფაა ᲗᲛᲘᲡ, რომელმაც (ზედმეტად) შე-უფარავად გააყოლა მზერა იმ წამს. უფრო მაღლა აიწია კაბის კალთები ჰიუმ და უფრო ჯიუტად გასრიალდა ქრიზოლითზე.

ჯესოს ეძებდა ყველგან.

ესო ჰიუს ბიმონის ყველაზე პატარა სული იყო. ვარდისფერი დაიბადა. დროის სიბრტყე არ არსებობდა მასში. ფაას დანახვისთანავე დაენანა პატარა ბურთი. ცრემლები მოაწვა. იგრძნო, რომ რაღაც ძალიან სასტიკს დაწერდა დროის მეორედის მერე პატარა სული საკუთარ მომავალზე ვამესის წიგნში. ყველაფერს თავად ესო წყვეტდა – არც სეია და არც ჰიუ (რა თქმა უნდა)! მხოლოდ ესო!

ჰიუს დროის ის განცდა აწუხებდა, ესოს ადგილი რომ ერქვა ვამესის ცისფერ გვერდებზე.

ბუტბუტებდა ფაა. ცდილობდა, გაეხსენებინა, თავად რა ჩაწერა განუსაზღვრელი დროის ნაწილში ბედისწერის წიგნში. ვერ იგონებდა. ვარდისფერმა ნათებამ გამოაფხიზლა ჰიუ. ესო იჯდა მინდვრის კიდეში. დაოს ელაპარაკებოდა ჩუმად. რაღაცას ითხოვდა იგი.

ფაამ თვალი აარიდა ვარდისფერს. უხმოდ გამობრუნდა უკან. ფესვებში ჩაჯდა. სეია გარინდული იყო. იცოდა ჰიუმ, უაზრმაზარ ხეს არ ეძინა; თავს არიდებდა მხოლოდ.

ბიმონისკენ წავიდა ჰიუ. შორიდან შეამჩნია ქრიზოლითის მინდორზე წამოწოლილი ილი. მაღლა იყურებოდა იგი თვალმოუშორებლად... ფაამ გვერდი აუარა ♂სულს. ფრთხილად გამოაღო ბიმონის კარი.

მაოს ხმა

ილი, როგორც ყოველთვის, მინდორში წევს. გადაჯვარედინებული ფეხებს სასაცილოდ ათამაშებს. ხელები თავქვეშ აქვს. ზემოთ იყურება. რაღაცას ეძებს ამეთვისტოს უსასრულობაში (რას?). ვცდილობ, მივიდე და გამოველაპარაკო, მაგრამ ჭამა არ მეშვება. ტრიალებს ჩემ ირგვლივ. ამბობს, რომ ვიცვლები დღითი დღე (მართლა?)

რა უნდა ჭამას? მე უფრო ვაინტერესებ, თუ...

უხეშად ვიშორებ ♂სულს. ჩვენი ლუარჯი ნანიბურები უწნა-ურად თრთის. გავრბივარ. არ ვიხედები უკან (ეს წუდი იქნება, ვგრძნობ). ერთი სული მაქვს, როდის მივირბენ ილოთან. ჩემი ნანიბური საოცრად მშვიდდება მის დანახვაზე (აღარუ კი მახ-სოვს). სივრცე მცირდება ჩემსა და ილს შორის.

სული მიცემს. როგორ მიცემს.

ერთ სიბრტყეში ვართ უკვე. აქ უნდა იყოს. დაბნეული ვტრიალებ. ვეძებ.

სად არის ილი? ჩემი ილი! ჩემი! (მე დამემალა?)

მეტირება.

რაღაცას მანიშნებს სეია – უწნაურად იქნევს მარჯვენა ტოტს. თვალს ვაყოლებ მის მოძრაობას..

დაოს რძისფერ სარტყელში უზარმაზარი სოკოა მხოლოდ.

ვხვდები... ვხვდები, რომ იქ არის ილიმრავალნერტილი (ძალიან უხდება მას ეს სახელი). ჯეის ქუდში იმალება იგი.

მიყურებს! მე მიყურებს ილი! ძალას ვიკრებ, რომ მისკენ ნავიდე. რომელიმემ ხომ უნდა გავაკეთოთ ეს?

დაენას კვალი

♂გაე და ♀ნაო ხელიხელჩაკიდებულნი დადიოდნენ მუდამ (ფაას დაუსრულებლად შეეძლო ეცქირა მათთვის). რძისფერი იყო უკვე ორივე. ♂-ს ყავისფერი ჰქონდა გარსი; ♀-ს – ბაცი ყვითელი.

გაე ყვავილების ფურცლებს აგროვებდა ამეთვისტოს ველზე. ნაო ზედმეტად გრძელი თითებით ქსოვდა მათგან ფიგურებს – დაოს. ბიმონს. ჰიუს. სეიას. სულებს.

გადაქანცულები ხის ძარღვიან ქრიზოლითის ფოთლებზე კიდებდნენ ყვავილოვან ფორმებს. ფესვებთან სხდებოდნენ. დიდხანს და უხმოდ უყურებდნენ თავითავსმიყრდნობილნი აჭრელებულ ხეს ქვემოდან. ბიმონის ჩაკეტილ სივრცეზე მეტად განმარტოებით ერჩივნათ ყოფნა.

ვერასდროს ხვდებოდა ფაა ჰიუ, როგორ ჩნდებოდა ხის ტოტებზე დაენა, რუხი ♂სული, რომელიც ჭუჭყიანი რძისფერი იყო და უფრო ჭუჭყიანი გარსი ჰქონდა. წვეტიანი ტოტით გლეჯდა ფოთლებიდან ფიგურებს იგი. ანაკუწებდა. თავზე აყრიდა გაესა და ნაოს. სიამოვნებით სავსე იმალებოდა ფუღუროში.

ცრემლები ახრჩობდათ უსუსურობისგან ♀-სა და ♂-ს. თავჩაქინდრულები იდგნენ ხის წინ. ფიქრობდნენ, სეია ექცეოდა სასტიკად სულებს. უსიტყვოდ ბრუნდებოდნენ ველზე. თავიდან იწყებდნენ უფრო ლამაზი ყვავილების შეგროვებასა და უფრო ლამაზი ფიგურების ქსოვას.

სეია თავს იმძინარებდა ისევ.

ფაა ჰიუს უყვარდა დაენა. ენანებოდა ♂სული, რომელიც სხვების ოცნებებს ანაკუწებდა მუდამ.... არასდროს აძლევდა ჰამას გაერთიანების საშუალებას. ილს – ამეთვისტოს სივრცის შეცნობას. ესოს – დაოსთან ლაპარაკს. მაოს – ფიქრს. გაესა და ნაოს – მარტოობას. ყველაში იჭრებოდა მალულად... ყველგან ტოვებდა კვალს, რომელსაც ჰიუმ დაენას კვალი დაარქვა...

ფაა გრძნობდა, რომ რუხი გარსის სული სეიასა და თავად მასზე(ც) ტოვებდა ფარულ კვალს...

მაოს ხმა

ამეთვისტოს სიბრტყეში დროის ახალი ათვლა დაიწყება მალე.

ფაა ჰიუ ჩვენზე მეტად ღელავს.

ესოს ეფერება განსაკუთრებით თეთრ გარსზე. ხელისგულიდან არ იშორებს. თითები უკანაკალებს ჰიუს (რატომ?)

ნუთუ ასე საშიშია ვამესის წიგნი?

მე არ ვღელავ. ვიცი, რაც უნდა დავწერო. სეიას ხმა ვარ, ბოლოსდაბოლოს (მეღიმება).

ფაა ჰიუ ამბობს, რომ ჩვენ თვითონ უნდა გადავწყვიტოთ,

რა გვინდა „იქ“...

მე არ მჯერა ამის (არც ჰიუს, ცხადია)... სეიამ ყველას გვაჩუქა დაბადებისას რაღაც – მე – ხმა! ჰამას – მოუსვენრობა და დაღლა! ილს – ფიქრი ამეთვისტოს უსასრულობაზე! გაესა და ნაოს – სითბო! დაენას – უწნაურად ნვეტებიანი ტოტი, რომელსაც სხვებს უქნევს ყოველთვის (და არა საკუთარ თავს. მე ამას ვგრძნობ!)! ესოს – რაღაც (რაც მეც არ ვიცი)!

ჩვენ სეიას საჩუქრებს ნავიღებთ ყველანი „იქ“ და ამიტომ სურვილებსაც შესაბამისს ჩავნერთ, ალბათ, ვამესის წიგნში, რომელიც ხის ფუღუროშია კენწეროსთან შენახული და ცისფერია (თურმე).

ერთი სული მაქვს, შიგ როდის ჩავიხედავ... როდის დაინყება ამეთვისტოს სიბრტყეში დროის ახალი ათვლა...

ვამესის წიგნი

უზარმაზარი ვამესის ცისფერი წიგნი ფრთხილად ამოიღო ჰიუმ ფუღუროდან. სულის შებერვით მოაშორა მტვერი. ჩაახველა. ღელავდა მაინც. კაბას იფერთხავდა. თითების კანკალით ფურცლავდა წიგნს. ცარიელ გვერდებზე ჰიუს ბიმონის სულების სახელები ეწერა დაქანებული ლურჯი ასოებით.

პირველი ♂ჰამა აღმოჩნდა ვამესთან (ვერ მოისვენა. დაასწრო ყველას (♂დაენასაც კი). შეეშინდა, მასზე მეტი არ ჩაეწერა სხვას ვამესის წიგნში). პატარა ხელისგული მყარად დაადო ფურცელს. გონება დაძაბა. ცდილობდა, არაფერი გამორჩენოდა. მაგრამ თვალსა და ხელს შუა დაპატარავდა უზარმაზარი ვამესის წიგნის ფურცლები. სულის ხელისგულისოდენა გახდა.

გაჯავრდა სეიაზე ჰამა. ვეღარ გაიგო, რომელი სურვილი დაეტია პატარა ნაგლეჯზე. დიდხანს იდგა და ჩუმად. დაიღალა. ვერც ერთ სურვილს თმობდა. არჩევანი უნაწიბურო მხარის სასარგებლოდ გააკეთა მაინც (გული კი დაწყდა). სწრაფად

აიღო გახურებული ხელისგული ფურცლიდან და უფრო მყარად ჩამოხტა ტოტიდან. ზედმეტი კმაყოფილებით მოისრისა თითები (მაო მიხვდა, რომ მისი ნაწიბური გაიწირა. რატომღაც დაეწანა...).

ყველაზე სწრაფად ესომ დაწერა თავისი ბედი ვარდისფერი ხელისგულით. უზომოდ მხიარული და დაწყნარებული ჩანდა. ღიღინებდა ♀.

ჰიუ თვალს ვერ უსწორებდა ვარდისფერ სულს. სეიას სთხოვდა გულში დახმარებას....

სეია დუმდა!

სეიას ხმა

ფაა ჰიუს სულები ყოველთვის სხვანაირები არიან (ჩემი ბრალიცაა ეს, ალბათ). რაღაცით აუცილებლად გვანან ჰიუს... ჯიუტები. დაუმორჩილებლები. ფეთქებადები. მოუსვენრები. ეკლიანები. მეოცნებეები. დაღლილები. ამბიციურები. (მრლიან!)

ფაზე მეტად ვღელავ. ვამესის ნიგნს ფურცლავს ჰიუ. სულებს ვაკვირდები. დაძაბულები არიან. მხოლოდ ესოა მშვიდი.

საკუთარ შეცდომებს ვეძებ ფესვებში (ზედაპირულად ვეძებ, ალბათ...).

Oჰამა პირველია (ცხადია)! იგი ყველაზე დაღლილი და ამბიციურია ამ შვიდეულში (ვხედავ მის ტანჯვას დედამინაზე!) თავდაჯერებულია!

ყველაფერი გაწირა ჰამამ (საკუთარი თავიც კი)... თუმც ამას ვგრძნობდი!

ერთ სურვილში ჩაატია ცხოვრება! ერთ მარტივ სურვილში (მოეჩვენა, რომ სხვა არაფერი დაეტეოდა მის გვერდზე. როგორ შეცდა!)!

„მხოლოდ მწვერვალზე უნდა ვიყო! ბევრ მწვერვალზე! არასდროს ჩამოვალ დაბლა!"

ბოლო ფრაზამ გამაღიზიანა – „არასდროს ჩამოვალ დაბ–ლავ!"

(... მწვერვალები უყვარს ჭამას!).

გაღიზიანებული გამოვიდა ჩემი მინანწერიო *(მაპატიოს სამ–ყარომ)* –

„მეორე მწვერვალზე ასასვლელად პირველიდან უნდა ჩა–მოხვიდე, ჭამა! ჩემთან მწვერვალიდან არ დაბრუნდები!"

ვამესთან ერთად მოვიდა მეორე *(ალბათ აინტერესებს, მასზე თუ ჩანწერა რამე წიგნში ჭამამ. მაინც აინტერესებს). მაო ჩემი ხმაა! ეს კარგიერა მისთვის და ერუდიერ (ამას თავადაც გრძნობს)!* მისი სურვილი ისეთი აღმოჩნდა, როგორსაც მაოსგან ველოდი სწორედ –

„შენი ხმა მინდა ვიყო, სეია! შენი, დაოს, სულების ხმა! და მე მინდა *(მაპატიე, სეია)*... მინდა, ლურჯი ნანიბური არ მტკიოდეს! მაპოვნინე ილი „იქ", სეია! გთხოვ!"

მაო! ჯკვიანი და სულელი მაო!.. მაინც მოახერხა, პატარა ხელისგულში მოექცია ყველა სურვილი! *(როგორ განსხვავდე–ბა ჭამასგან. არადა, ნანილია მისი. სამყაროს რას გაუგებ?)* დაუფიქრებლად ვაკრავ ყველაზე მუქ ქრიზოლითის ფოთოლს მაოს გვერდს –

„გეტკინება, მაგრამ იპოვი!" *(ვის იპოვის? რა უნდა მას? არც მე ვიცი...)*

*Ô*ილმა მაოს შემდეგ გაბედა ვამესთან მოახლოვება*(!!!)*. დაბნეულია. ზეთოთ იყურება ისევ. იგი ყველაზე მეტად ჭვავს დაოს – ოხევადია, მაგრამ ჯრელი *(ძალია ჯრელი)*. მწვანე გარსი აქვს. უამრავი ჩემი ძარღვი ვაჩუქე დაბადებისას მას *(თუმც ამისთვის ბევრჯერ უარმყოფს. არ მაპატიებს. ამიჯანყდე–ბა. მაგრამ დამიბრუნდება მაინც! აუცილებლად დამიბრუნდება!)*

დაოს მსგავსები იშვიათად იბადებიან. განაჩენივით ველო–დები ამიტომ ილის ხელისგულის ხმას.

„მინდა, გიყვარდე ჩემი შეურდომები. მინდა, შემაყნობინო ბევრი! მინდა, მიპოვოს მათმ“...

ჩემი ფესვების ყველა ძარღვი უსასრულობაშიც კი ახარ-ხარდა მის სურვილზე. ო, ეს კაცები! „მინდა, მიპოვოს მათმ“... *(რა სნორად შეარქვა მას ფაა ჰიუმ Ó ილიმრავალნერტილი)*

„აღსრულდეს! აღსრულდეს! აღსრულდეს!“ – სამჯერ მივა-ნერე ფოთოლს. რატომღაც სამჯერ!

Ó დაენა მოჩვენებითი სიმშვიდით ელის თავის დროს. მო-ბეზრებული ნაბიჯებით მოდის ვამესისკენ. იგი არ უყვართ სულებს, მაგრამ ჯერ ვერ ხვდებიან *(ვერც ვერასდროს მიხვ-დებიან)*, რომ დაენამ აუცილებლად უნდა იარსებოს! აუცილებ-ლად! იგი ყველაზე მეტად მტკივა, რადგან არავინ იცის *(არც მე, ალბათ)*, დაენაა მსხვერპლი, თუ დანარჩენი სამყარო....

„მინდა, ყველაფერი ვანაკუნო იმ ნვეტიანი ჯოხით, შენ რომ მაჩუქე, სეია! ოცნებები სასაცილოა! მე არასდროს ვი-ოცნებებ, სეია!“

ასე მარტივად და დაუფიქრებლად არც ერთ გვერდზე გა-მიკეთებია მინანერი არასდროს –

„აღსრულდეს! უნდა აღსრულდეს! აღსრულდება!“

(ვილაცამ ოცნებებიც უნდა ანაკუნოს.... დაენა მართალია...!

ყველაზე მეტად Ó გაეიმ და Ô ნამ გამოგნეს! მათმა ხე-ლისგულებმა სულ სხვა რამ თქვეს – გაეს უნდა, რომ ნა-ოსნაირი ჭკვიდეს გვერდით მუდამ *(მაგრამ არა ნაო...)*; ნაოს სურვილშიც გაკვრით ჩანს გაე; მას უნდა, ქსოვოს დაოს სამყარო და შეხვდეს გაეს! *(მხოლოდ შეხვდეს!)* იქნებ, მო-ბეზრდათ ერთად ყვავილების კრეფა და ქსოვა? იქნებ, სნორი არჩევანი გააკეთეს.... მაგრამ, თუ ცდებიან? თუ სნორად ვერ თქვეს თავისი სათქმელი? თუმც...

უნდა აღსრულდეს მაინც! ეს მათი არჩევანია! მათი ცხოვ-რება მხოლოდ!

ყველაზე ნათელი ესოს მომავალია ჰიუს სულებს შორის! ჩემი ესოს მომავალი. ამას ვამესის წიგნში მისი ფურცელიც ამბობს!

„მამყოფე ძლიან კოტა ხანს „იქ", სეია! მაგრამ მაჩვენე ადამიანური სიყვარული. ლალატი. პატიება (მინდა, ბოლომდე გავიარო სიკეთეხლის ტკივილის ყველა გზა). და დამაბრუნე შენთან!

მე დაოს ნანილი ვარ, სეია"!

არ ვიცი, უნდა გამიხარდეს, თუ უნდა მენყინოს...

რა მივანერო?

ფაა ჰიუ ტირის! (არ ახსოვს, რომ თავადაც ესოს გზა გა–იარა. იგივე ჩანერა დედამინური დროის გაგების ასნლეულის წინ ვამესის წიგნში. გაუცნობიერებლად თავის თავსაც ტირის ჰიუ. მაინც ტირის).

იცის ფაამ, რომ არაფერი შემიძლია. ესოს არჩევანი ჩემ–ზე ძლიერია. ვამესის წიგნში არაფერი იშლება. ყველაფერი უკვლელად რჩება!

ბოლო გვერდზე ლია ქრიზოლითის ფურცელს ფრთხილად ვკიდებ და დანანებით.

დედამინური დროის თორმეტი დღე ვაჩუქე ესოს...

ილის გამგზავრება

ᲘᲚი თავჩაქინდრული იდგა სეიას წინ.

უფრო ფერადი ჩანდა სული.

ფუღუროში ჩამალული მაო თვალცრემლიანი აკვირდებოდა ილსა და სეიას. დროის წრფისებურ სიბტყეში დედამიწაზე მიდიოდა მრავალწერტილი, რომელიც ასე ურევდა სულს მაოს.

ფაა ჰიუ მოშორებით იდგა. ილს ელოდა დედამიწაზე გასაცილებლად. ყოველთვის აშინებდა ეს წუთი ჰიუს. დიდხანს იკრავდა სულში თითოეულს. შუბლზე კოცნიდა. დაოს ბნელ სარტყელში ხელისცეცებით მიჰყავდა ფაას შემკრთალი ბიმონელები, რომლებიც მთელი ძალით ეჭიდებოდნენ თითებზე უკანასკნელ წამს (შველას ითხოვდნენ). ჰიუ მოჩვენებითი გულცივობით გლეჯდა მათ ხელისგულს. უკანმოუხედავად

გარბოდა უკან (არ უნდოდა, მის ყურამდე მიეღწია სიბნელეში გაუჩინარებული სულების ხმას). დიდხანს იკეტებოდა არეული ბიმონწში მარტო.

დროის წრფისებურ სიბრტყეში ♂ილის გამგზავრების წამები ახლოვდებოდა.

მაოს უნდოდა, ფუღუროდან გადმომხტარიყო და მხრებზე მოხვეოდა ილს. ძალა არ ეყო – უფრო ღრმად შეიმალა სეიას სხეულში...

ილი – ფერმკრთალი და დაბნეული – მაოს დაჟინებულ მზერას გრძნობდა. თავაუწევლად გაბრუნდა უკან (ღელავდა, ალბათ). ტუჩები უკანკალებდა. სეია ყველაზე მაღალი ტოტით დასწვდა მის ზურგს. მოაბრუნა. ხელისგულში ჩაუდო რაღაც (მაო ლამის გადმოვარდა ფუღუროდან... ვერაფერი გაარჩია მაინც). ბიჭმა ფრთხილად ჩახედა „საჩუქარს“ და უფრო ღრმად ჩარგო თავი. ტოტებზე მოეხვია სეიას. ჰიუმ ხელი ჩასჭიდა მრავალწერტილს. სიბნელისკენ წავიდნენ ერთად. გზა გრძელი იყო.

ფაას ცუდი უგრძნო გულმა. შეჩერდა. ჰამა მოდიოდა მათკენ. ზედმეტად თავდაჯერებული ჩანდა, როგორც ყოველთვის. ილი შეჩერებას არც აპირებდა. წინ გადაუდგა ჰამა (რომელიც ზედმეტად ირონიულიც იყო); დაიხარა და რაღაც ისეთი ჩასჩურჩულა ილს, რომ ერთიანად აკანკალდა მრავალწერტილი. რამდენიმე წამს თავჩაქინდრული იდგა (მაომ ინანა, იქ რომ არ იყო. დაიძაბა). ჰიუს მზერამ გამოაფხიზლა ილი. რაღაცას მოითხოვდა თვალებით ფაა მისგან (უბრძანებდა!!!). მობრუნდა მრავალწერტილი და ისეთი მოულოდნელი და ძლიერი სილა გააწნა ჰამას, სამჯერ ამოაყირავა სივრცეში. შებრუნდა ილი. მშვიდად გააგრძელა გზა სიბნელისკენ უცნაურად გაღიმებულ ფაასთან ერთად.

მაომ შეამჩნია, ბოლო წამს ფუღუროსკენ გააპარა მზერა ილმა. მუხლებში ჩარგო თავი სულმა. დიდხანს ტიროდა სეიას მხრებზე...

დედამინაზე მივდივარ.

გარსი ყისფერი მაქვს, ჰაამს მსგავსად (ისევ ჰაამ!).

ლურჯი ნანიბური ძალიან მანუხებს. ჰაამზე მეტად... მას თავისი მეორე ნახევარი უფრო ადარდებს. სიღლის გაწნის მერე აღარ მოსულა ჩემთან (ნეტა რა მოხდა იმ დღეს? ჰიუ ძალიან კმაყოფილია ილიით... თურმე სეიას ყოველთვის არ უნდა დავუჯერო...)

ნეტა სად არის ილი? (ჩემი მრავალწერტილი)

ნეტა თუ მოსწონს დედამინა?

ნეტა თუ ვაგონდები?

ჰიუ თავზე მისვამს ხელს. ელიმება (მაგრამ არ დამყინის).

სეია არაფერს მჩუქნის გამგზავრებისას (გული მწყდება). ხელისგული მაგრად მაქვს ჩაბღუჯული ფაას მაჯაზე. სიმნელის დასასრულში გავდივართ უკვე (დაენა(ყ) კი მენატრება). ბოლო ნამს მაჩერებს ჰიუ. უკან ვიხედები. სეია ისე მაღალია, ისე ლამაზი... რა მტირალა ვარ (ეს განყდა დედამინაზეც ნამყვანა, ალბათ)! სული მიკვდება. ძალიან მიკვდება. სიმნელეში ფეხის ხმა ისმის. ჰაამ მორბის ჩემკენ (არ მოდის. მორბის). ნანიბურის ტკივილისგან ყვირილი მინდა. ჰატიებას მთხოვს ჩემი ნახევარი (ორივე ვტირით... არა – სამივე! ჰიუსაც ლაპა-ლუპით ჩამოსდის ცრემლები).

კოცონს მიპირებს ჰაამ. თავს გვერდით ვაბრუნებ (რატომ?); ტუჩის კუთხეში ვგრძნობ რაღაც ძალიან უცნაურს (მაყრაყოლებს... როგორ მაყრაყოლებს).

გავრბივარ! გავრბივარ უკანმოუხედავად, რომ აღარ შევხედო აღარც ჰაამს, აღარც ჰიუს, აღარც სეიას და მოელი ძალით ვეშვები თავდაყირა შავ სივრცეში.

ლურჯი ნანიბური როგორ მტკივა...

შორს, სადღაც სინათლე ჩანს. რა არის „იქ" ნეტა?

რატომ გავაბრუნე თავი? რატომ?

სად არის ილი? ჩემი ილი...

მარტო ვარ. სუ(უ)ლ მარტო!
სეიას ფუღურროში მინდა!
ძალიან მინდა!
მეშინია!

დედამიწაზე

ქალი სავარძელში იჯდა. ნერვიულად ათამაშებდა მარცხენა ხელის საჩვენებელ თითზე ბეჭედს. ლაპარაკობდა რაღაც ძალიან მარტივსა და გასაგებზე. ლაპარაკობდა სწრაფად და ემოციურად.

მამაკაცი მაგიდის კიდეზე იყო მიყრდნობილი. ოდნავ მოშვებული ჩანდა. ხელები გულთან ჰქონდა გადაჭდობილი და მას უყურებდა – ქალს – შეწუხებულს რაღაც არამარტივი დიდი ტკივილით.

რამდენიმე წამით გაჩუმდა ქალი. რამდენჯერმე გადააქნია თავი. ეს წამი ენახა ოდესღაც თითქოს. უზომო სიმშვიდე იგრძნო.

მამაკაცი ფეხზე წამოდგა. ქალის გვერდით ჩამოჯდა უხმოდ. უფრო ღრმად ჩარგო თავი ხელისგულებში.

მაგიდაზე ქრიზოლითის უფორმო ფიგურა იდო!

01.12/07.12/2009

ცხრა ქოხში

ბილიკზე

უცხო ველზე გამოეღვიძა ადას. შეიშმუშნა. ვერაფრით გაერკვა, სად იყო და რატომ. ველი დიდი იყო და ხრიოკი. შესცივდა ქალს. დიდხანს ისრესდა საფეთქლებს. ცდილობდა მოეგონებინა, როგორ მოხვდა აქ. არაფერი გამოუვიდა. წამოჯდა. უცხო კაბა ზედმეტად ეტმასნებოდა ტანზე. ვერც ქუსლიანი ფეხსაცმელები მოიგონა. გაიხადა ფეხზე. წამოდგა. ვერაფრით მიხვდა, საით უნდა წასულიყო (ან რატომ?). საით მიჰყავდა ერთადერთ ბილიკს, რომელიც მის ფეხებთან იწყებოდა ხრიოკ ველზე. სხვა გზა არ ჰქონდა ადას. არც უფიქრია დიდხანს. შიშზე უფრო შეძრწუნებამ შეაწუხა – მარტოობისა და გაურკვევლობის შეძრწუნებამ.

ბილიკს დაადგა ადა. ბილიკს, რომელიც უცნაურად ფერადი იყო ხრიოკი ველისთვის.

შიოდა ადას. სციოდა კიდეც. ვერაფრით ეგუებოდა ვერცხლისფერ კაბას. თავისი ტანსაცმელი მოენატრა – თავისუფალი და ქალის სუნით გაჟღენთილი. მთელი სიცოცხლე თავისუფლებაზე ოცნებობდა სწორედ ადა. ახლა იყო კიდეც (თითქოს) თავისუფალი, მაგრამ უსასრულო ხრიოკ ველზე არაფერში სჭირდებოდა ქალს იგი. ყველა კუნჭულში ეძებდა მოგონების ბოლო მარცვლებს. წვეულება ამოტივტივდა. ჩვეულებრივი

საღამო (მოჩვენებითი) მხიარულებით. ბევრი ღიმილითა და ზედმეტად ყალბი ემოციებით. დიოც იქ იყო; დიოც – სხვებივით მოჩვენებითად ბედნიერი და ყალბი. არადა არაყალბი ბევრად უფრო მოსწონდა ადას.

დაღლილობისგან მოგონებებიც დაკარგა ადამ. წარსულში „ძებნის“ დრო აღარ ჰქონდა ქალს. ცდილობდა, სწრაფად მისულიყო ბილიკის სასრულთან. სულისშემძვრელი სიჩუმე ჭკუიდან შლიდა. უზომოდ მოენატრა თავისი სოფლის მტვერი. დაღლილი მამაკაცების ოფლის სუნით გაჟღენთილი ჰაერი. მზისგან დამწვარი ქალების (ყოფითობაში ჩაკეტილი) ცარიელი თვალები. ჭუჭყისგან ფერშეცვლილი ბავშვების ისტერიული ხმაური.

არ ეგონა ადას, საკუთარი არეული სოფელი თუ მოენატრებოდა ოდესმე. ენატრებოდა! ქალაქის სიმარტივეზე მეტად ენატრებოდა.

ცრემლებს ყლაპავდა ქალი. ნაბიჯებს უჩქარებდა. აღარც კაბა ახსოვდა. აღარც ფეხსაცმელები (რომლებიც გაუაზრებლად წამოიღო თან). აღარც დიო.

უფრო დაკლაკნილი ჩანდა ბილიკი და უფრო ფერადი. თავჩაქინდრული მიდიოდა ადა. ფეხისგულებიდან სისხლი სდიოდა ქალს, მაგრამ ვერ გრძნობდა (სხვა ტკივილი უფრო აწუხებდა და აფრთხობდა დაკარგულს).

ბოლო შემოახია კაბას ადამ. აკანკალებული თითებით შეიკრა ოფლისგან გაწებილი თმები ნაჭრით. რამდენიმე წამს შეჩერდა მხოლოდ. ღრმად ამოისუნთქა რამდენჯერმე. იგრძნო, რომ ოდნავ შეეჩვია უზარმაზარ სიცარიელესა და დამთრგუნველ დუმილს. ტორტმანით გაუყვა გადაქანცული ბილიკს. ძალა ეცლებოდა, იგრძნო. საკუთარი სხეულის სიმძიმემ შეაწუხა ადა. ჩაჯდა. სიცივისგან მოკუნტულს ღრმად ჩაეძინა.

ძლიერმა შეჯანჯღარებამ გამოაფხიზლა ადა. ფეხზე წამოხტა ქალი.

საკუთარ ნაჭუჭში შეიკუჭა გაფითრებული.

მამა იდგა ადას წინ. წლების წინ გარდაცვლილი მამა.

ძლივს იცნო ქალმა იგი.

ახალგაზრდა იყო მამა და ძალიან ლამაზი (როგორც ყოველთვის).

ყელში გაეჩხირა ბურთი ადას. რამდენიმე წამით იფიქრა, რომ შეიშალა, მაგრამ მამა ძალიან მშვიდი იდგა მის წინ და შინ შესვლას სთავაზობდა უცნობს. უფრო დაფრთხა ადა. მიხვდა, ვერ ცნობდა მამა, რომელიც ასე ტკიოდა წლებია ქალს. სიცივისა და ემოციისგან ცახცახებდა ადა. უხმოდ გაჰყვა უკან კაცს.

ქოხი ვერ იცნო ქალმა. არასდროს ენახა იგი.

ოთახი სავსე იყო იმ სუნით, ასე რომ უყვარდა ადას – მამის სუნით. და ქალით, რომელიც მამასავით ლამაზი იყო და არასდროს ენახა (თითქოს) ადას.

ტირილი მოუნდა ადას. ჩაის სთავაზობდა უცნობი ქალი. ბუხარში უკეთებდა ცეცხლს მამა.

იმ წუთამდე არასდროს უფიქრია მამის წარსულზე ადას. ყოველთვის ფიქრობდა, რომ (უბრალოდ) მათი იყო ძალიან სხვანაირი და ლამაზი.

ქალი მიხვდა, რომ არც არასდროს ყოფილა მათი მამა. დიდ ტვირთს ატარებდა მთელი სიცოცხლე (თურმე) იგი. ადამ იგრძნო, რომ ტკივილმა წაიყვანა ყველაზე ლამაზი მამაკაცი მისი ცხოვრებიდან. შეებრალა მამა, რომელიც შეცდა. შეცდა არა დედას, ადასა და გაოს წინაშე, არამედ ქოხში დარჩენილ ქალთან!

უხმოდ მიწვა ხის მორყეულ ტახტზე ადა. კედლისკენ გადაბრუნდა. დიდხანს ესმოდა მამის ჩურჩული, რომელიც სხვაგვარი ემოციით იყო სავსე (ძალიან სავსე). ქალის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ჩაცინებაც წეწავდა ადას.

კაცის წერილებით იყო ქოხის ღარიბი კედლები დაფარუ-



ლი. მხოლოდ ის წერდა ასე – მრგლოვანი, სავსე ასოებით. მინაწერების წაკითხვის ეშინოდა ქალს. აქ ის მამა იყო, ადა რომ არ იცნობდა (და ადასაც რომ არ იცნობდა კაცი); მაგრამ აქ მამა იყო (ნამდვილი მამა). სენტიმენტალური იყო წერილები, მაგრამ თბილი (ზედმეტად თბილი). სანთლის შუქისგან უსიამო ნაცრისფერი ედო ოთახს. მთელი ღამე კითხულობდა გაკრული ხელით გაკეთებულ მინაწერებს ადა. ცდილობდა, სანთელი არ ჩაქრობოდა. უსასრულოდ ბევრ ემოციას იტევდა ძალიან სადა, თეთრი კედლები. უსიამო გრძნობა ტანჯავდა შვილს. უნდოდა, ჩახუტებოდა მამას, რომელსაც (თურმე) თავისი მომავალი ენატრებოდა ღარიბ ქოხში (მომავალი მხოლოდ ამ ქალთან ერთად). არ იცოდა კაცმა, რომ უსასრულო ტკივილი, სინანული და გაუცნობიერებელი მოლოდინი იყო მის მომავალში მხოლოდ. ადამ იცოდა და ტკიოდა (სულისშემძვრამდე ტკიოდა)! ტიროდა ადა. მამას ტიროდა. დედის შეშურდა ქალს.

ისე იცოცხლებდა, არც ეცოდინებოდა, რომ არასდროს ყოფილა ბედნიერი! არასდროს ყვარებიათ! რაღაც კვდებოდა ადაში და რაღაც იბადებოდა (სიკვდილიც მტკივნეული პროცესი იყო და დაბადებაც). გარბოდა ადა (უკანმოუხედავად გარბოდა). საკუთარ თავსაც იდანაშაულებდა მამის მიმართ, რომელიც მძაფრმა მოგონებებმა და სინდისის ხმამ მოკლა (ალბათ). გაუსაძლისად მოუნდა ადას, ისევ ენახა ის ქალი. უბრალოდ ენახა! გააცნობიერა, რომ კარგია შეეხო მამის ბედნიერებას (ძალიან კარგი)!

ცარიელ ქოხში

ბავშვობის ყველაზე უსიამო გრძნობა იყო ცარიელ ქოხში. ის გრძნობა, ახალგაძვიძებულს რაღაც აუტანელი არაფიზიკური ტკივილით რომ ტანჯავდა მკერდთან ყოველთვის. ამიტომ ეშინოდა გაუცნობირებლად საკუთარი მკერდის ადას. „სხვა“, მისგან დამოუკიდებელ ნაწილად აღიქვამდა მას.

შეგრძნებასთან მარტო იყო და უსუსური ბავშვი. წლები ებრძოდა ტკივილს ადა. ეგონა, მოერია, მაგრამ ცივ, ცარიელ და ჩუმ კედლებში ისევ დაბრუნდა ტანჯვა. ქალმა იგრძნო, რომ ტკივილი ერეოდა. ჭკუიდან შლიდა. ქაოტურად ტრიალებდა სხვადასხვა ფერის უამრავი ფიგურა ირგვლივ. თვალებში დაუბნელდა ქალს. დახეთქილ კედლებს შეასკდა. კარს ეძებდა, რომ გაქცეულიყო, მაგრამ შიშისგან დაბნეული გასასვლელს ვერ აგნებდა. ტიროდა ადა. ისე ტიროდა, როგორც მაშინ, პატარა რომ იყო, უსუსური და მარტო. ყველაფერს ერთად ტიროდა ადა. ორად მოიკეცა ქალი. ჩაჯდა. წვრილ მაჯებში ჩარგო თავი. ცახცახებდა დროში არეული ქალი. სიცივემ გამოაფხიზლა ადა. დიდხანს ვერ გაბედა თავის წამოწევა. ზურგსუკან ღია კარი და ხრიოკი ველი ჩანდა.

ადამ გააცნობიერა, რომ ენანებოდა ქოხიდან გასვლა. შეშინებული წამოხტა ფეხზე. ხელის ცეცებით გაჰყვა კედლებს. და-

ხეთქილ ნაპრალებს ფრთხილად უსვამდა თითებს. არ უნდოდა აღიარება, რომ ეფერებოდა კედლებს, რომელიც სიძველისა და მოუვლელობისგან დანგრევის პირას იყო.

ბილიკი გამაღიზიანებლად მწვანე ჩანდა ხრიოკ მინდორზე.

აუტანლად ტკიოდა მკერდი ადას, მაგრამ იგრძნო, რომ მის ნაწილად იქცა „ისიც“. ერთიანი გახდა. კაბის უბე ოდნავ ჩაიწია ადამ. ქალური ეშმაკობით „ჩახედა“ ცალი თვალით „ნაწილს“. საკუთარი სხეულის სუნი ეცა. დიო ამბობდა, რომ ასეთი სუნი მხოლოდ ადას ჰქონდა დედამიწაზე. ყველაზე ქალური სუნი. გაეღიმა ადას.

ბილიკი ნელ-ნელა ვიწროვდებოდა.

თევზების ქოხი

ძალიან ნაცნობი და მძაფრი სუნი იდგა ქოხის კართან. დაიტანჯა ადა სიმყრალისა და იმის განცდით, რომ თავადაც იყო ამ სუნში ოდესღაც ჩაკარგული. დიდხანს ფიქრისაც შეეშინდა. კარს მიაწვა. სიმძიმემ უფრო დათრგუნა ქალი. ხელი შეუშვა მორყეულ სახელურს. გული ისე უცემდა, როგორც მაშინ, იმ მოგონებაში, ძალიან ღრმად რომ ჩაჩურთა ოდესღაც ადამ. ყველაზე „მყრალი“ განცდა იყო მესამე ქოხში. გაუაზრებლად მიხურა კარი ქალმა და ცივ ღამეში გაუჩინარდა.

***

გაუგებარი ქაოსი იდგა ირგვლივ. ვერ მიხვდა ადა, რას ყვიროდნენ სოფლელები... რა სურდათ.... ოფლის სუნით გაიჟღინთა სივრცე. სუნთქვაშეკრული ადა გზას ძლივს მიიკვლევდა აუტანელ სიმყრალესა და შეშლილ სახეებს შორის. ვიღაცის იდაყვი მკერში მოხვდა ქალს... ტკივილისაგან მოკუნტვა უნ-

დოდა ადას... სივრცე არ ეყო. სისხლი სდიოდა თითქოს სხეულიდან. ათასეული სოფლელივით წყლისფერი სისხლი, რომელსაც არც მოტკბო გემო ჰქონდა და არც ბლანტი იყო... ქალმა იგრძნო ბრბოს წინაშე თავისი უძლურება... შეშლილმა თვალებმა დააფრთხო ადა.... ბრბო ჯიუტად ითრევდა სიღრმეში. თითქოს მას უყვიროდა ათასობით სახეწაშლილი ადამიანი...

დიოს პულოვერი დალანდა ქალმა.... უნდოდა, მისკენ გაეკვლია გზა... ფიქრობდა, თუ დიომდე მიაღწევდა, ყველა ტკივილი და სიგიჟე დარჩებოდა უკან.... ქონიანი, თითებკოტიტა კაცი გადაუდგა წინ. მსუქანი ტუჩები კიდევ უფრო საზიზღარ იერს აძლევდა კაცს, რომელიც თავთავის წვრილ ღეროს კვნეტდა ვეება კბილებით. ადას მოეჩვენა, რომ კბილებიც ბანჯგვლიანი ჰქონდა კაცს და დაცვარული.... ფრთხილად და ინერტულად გადააქნია თავი ქონიანმა... ყვიროდა ადა. დიოს ეძახდა. კაცს, როგორც ყოველთვის, არ ესმოდა მისი. წითელი პულოვერი ძლივსღა დალანდა ქალმა.... უკვე შორს იყო დიო, სხვა

ტალღამ წაიღო კაცი, რომელიც მასავით გაოგნებული და დამფრთხალი ჩანდა.

კბილებგანჯგვლიანმა ყურში ჩასჩურჩულა ქალს, რომ ადა მხოლოდ მისი იყო! მხოლოდ მისი! ხმამაღალი და ისტერიული სიცილი აუტყდა ადას.... კაცმა სუნიან მკერდზე ისეთი ძალით მიიკრა ქალი, რომ ხრჭიალი დაიწყო სხეულმა; კარგა ხანს იბრძოდა ადა. მუჯლუგუნებს უქნევდა კაცს. ხმამაღლა, დედაკაცივით კიოდა... ბრბოში მარტო იყო ადა... აღარც წითელი პულოვერი ჩანდა... მამაკაცმა პირიდან გადმოაფურთხა თავთავის ღერო და ტუჩებზე დააკვდა ქალს. სიმყრალის გემომ შეშალა ქალი... მოეჩვენა, გაფუჭებული, ქაცვით დაფარული უმი თევზით ჰქონდა სავსე პირი... სუნთქვაშეკრულმა ძლივს მოიგლიჯა დორბლიანი ტუჩები; ისტერიულად უქნევდა სახეში ხელებს კაცს. აფურთხებდა. უკან უბრუნებდა თავის სიმყრალეს განჯგვლიანს.... პირველი, რასაც მიხვდა ქალი, ის იყო, რომ ირგვლივ მხოლოდ მისი ხმაური იდგა... ბრბო ისევე უცებ დაყწარდა, როგორც გაგიჟდა... წრე შემოარტყეს ადასა და განჯგვლიანს... თვალმოუშორებლად აკვირდებოდნენ ქალსა და კაცს.

დადუმდა ადა... ბრბოს სიჩუმემ უფრო შეაშინა, ვიდრე ხმაურმა.... მიხვდა, რომ რაღაც სასტიკი ხდებოდა ირგვლივ.... ქონიანმა ენით აილოკა ტუჩის ქვემოთ ქალის ნაფურთხი. უცნაური კმაყოფილებით აევსო სახე. უკან-უკან დაიხია ადამ... გაქცევას ცდილობდა, მაგრამ ბრბომ, ამღვრევული თვალებით, ისევ წრეში შეაგდო ქალი... შარვლის ღილები უზომო სიამოვნებით შეიხსნა კაცმა... (წვრილი ხაზებით ჰქონდა თვალები სავსე). ხმამღლა ამოიხუვლა ბრბომ.... თითქმის გონება დაკარგა ადამ.... თევზის გემო, ოფლის სუნი, ბრბოს აღტაცებული შეძახილები, უცნაური ტკივილი და კაცის ჩქარი სუნთქვა ილანდებოდა ცნობიერებაში ალაგ-ალაგ... თვალი რომ გაახილა, ცარიელ ქოხში იწვა. თეთრად შებათქაშებული კედლების გარდა არავინ და არაფერი იყო ირგვლივ.... თევზის სუნი ასდიოდა ადას შიშველ სხეულს... ქალმა გაიფიქრა, რომ თევზის

სუნი აქვს სიკვდილს. გარბოდა დიდხანს და შეუჩერებლად... მისი ყვირილი შემაძრწუნებელ ექოდ ეფინებოდა სივრცეს... ადამიანებად ქცეულნი და ინდივიდებად დაშლილი ბრბოს ნაწილები შიშით შეიკუჭნენ ჭუჭყიან ქოხებში...

დიო სახლის დაბალ საფეხურზე იჯდა და ადაზე ოცნებობდა.

***

თევზების ქოხი ლანდად ჩანდა სიბნელეში. უკან მოხედვის შეეშინდა ადას. სწრაფი ნაბიჯებით მიდიოდა წინ. ძალიან შორს სინათლე წვრილ ზოლად ანათებდა. გარბოდა ადა. გრძნობდა, „იქ“ სითბო იყო, მაგრამ სახელი ვერ მოუძებნა ემოციას ქალმა. ვერ მიაგნო. დიო მოაგონდა რატომღაც ადას. თავისი „ირიბღიმილიანი“ და ზედმეტად ბავშვური დიო.

ჩაის ქოხში

ზურგით იჯდა უცნობი ქოხში. სილუეტი ეცნო ადას. ვერ მოიგონა. ცნობისმოყვარეობამ უფრო შეაღებინა კარი. სასტუმროს ნომერს ჰგავდა რაღაცით სახლი. იგრძნო ქალმა, მარტოობა და ხეტიალი უყვარდა უცნობს. ამ განცდას კლავდა ქოხში. ადამ გაიფიქრა, რომ რაღაცას გაურბოდა კაცი.

მობრუნდა უცნობი. თითით შეისწორა სათვალე. გამჭოლი მზერით დააკვირდა შემოსულს. დაბნეული ჩანდა. სუნთქვა შეუგუბდა კაცის დანახვაზე ადას. იცნო! მიუპატიჟებლად ჩაეშვა მოწყვეტით განიერ სავარძელში ქალი.

***

ხაზებს ითვლიდა თვალებთან დედა. გაღიზიანებით გააყოლა თვალი ადას, რომელმაც ჯიუტად დაარღვია მისი მარტოობა ისევ.

ღელავდა დედა. ელოდა.

მთელი სხეულით იგრძნო დედის მოლოდინი ადამ. იფიქრა, ჭკუიდან იშლებოდა (ეჩვენებოდა რაღაც), მაგრამ თრთოდა დედა და უფრო რწმუნდებოდა სიგიჟის სიმართლეში გოგო.

უამრავ ადამიანს ასწავლიდა დედა ფრანგულს – უამრავ ლამაზ, ჭკვიან და კარგ ადამიანს. არც ერთთან უნახავს ასეთი დაბნეული და შეშინებული იგი ადას (გრძნობდა გოგო, საკუთარი ფიქრების რომ უფრო ეშინოდა დედას).

ადა ვერ ხვდებოდა, რა ხდებოდა. რას ელოდა ამ სიტუაციისგან დედა. რატომ ითვლიდა თვალებთან ხაზებს დამფრთხალი. რა არ მოსწონდა საკუთარ თავში მას (დედა „ხაზებით“ უფრო ლამაზი ეჩვენებოდა ადას).

ბიჭი, დედა რომ ელოდა, ადას ტოლი იყო თითქმის. ჩვეულებრივი (ადასთვის გაუგებრად ჩვეულებრივი) ბიჭი! მორცხვი და თავჩახრილი საკუთარ თითებს ჩასჩერებოდა მუდამ. თითქოს „იქ“ იყო პასუხი კითხვებზე, რომელიც არც ისმებოდა (და არც არასდროს დაისმებოდა, ალბათ). უკვირდა ადას. უფრო ლამაზი იყო მამა. უფრო ძლიერი. უფრო ხმაურიანი. ბიჭს ელოდა მაინც დედა. იმ ბიჭს, რომელთანაც არასდროს გადავიდოდა „ზღვარს“ იქით (სად გადიოდა „ზღვარი“, ვერ აცნობიერებდა ადა). „ზღვარშიმოქცეული“ სძულდა გოგოს. შორიდან აკვირდებოდა ორივეს. დედა ცდილობდა, თავად შეხვედროდა ყოველთვის სტუმარს. დროის იმ ათვლიდან აღიზიანებდა ადას ყავის მომწკლარტო სუნი, მთელ სახლს რომ ეხვეოდა ბიჭის მოსვლისას. თითები უცახცახებდა შეუმჩნევლად დედას. ყოველთვის ეღვრებოდა მაგიდასთან მიტანამდე „ტალახით“ სავსე ფინჯანი (პროტესტის ნიშნად ეძახდა ადა ყავას „ტალახს“; მთლიანად გამოხატავდა საკუთარ სიძულვილსა და სიტუაციისადმი დამოკიდებულებას ამით). ჯიუტად ცდილობდა დედა, არ შეხებოდა ბიჭის თითებს მაგიდაზე ფინჯნის დადგმისას. ეს უფრო აგიჟებდა ადას. გრძნობდა, როგორ ეჭვიანობდა დედა მასზე. მიზეზს ეძებდა გოგო (კატეგორიულად ლამაზი და კატეგორიულად თავდაჯერებული) ოთახში შესულიყო. უფრო ღრმად იკარგებოდა საკუთარ თავში ბიჭი. უფრო „თავგანწირვით“ „ძვრებოდა“ გაცრეცილ წიგნში; ირონიული ღიმილით უსმენდა მის „ცუდ“ ფრანგულს გოგო.

მძიმედ და ჩუმად ხურავდა კარს ბიჭის წასვლისას დედა. ფრთხილად აწყობდა ფინჯნებს ნიჟარაში. ისევ უცახცახებდა თითები. რეცხავდა დიდხანს და გულმოდგინედ. ადას ეჩვენებოდა, ეფერებოდა ბიჭის ფინჯანს ქალი. ბრაზობდა გოგო. მამის თანდასწრებით იწყებდა ბიჭის დაცინვას; დასცინოდა ბოროტად. უგულოდ. იწვევდა დედას, რომელსაც ცრემლები ახრჩობდა. გოგო გრძნობდა, როგორ უნდოდა დედას ყვირილი, ადასთვის სილის გაწვნა! თვითკმაყოფილი უფრო დაუნდობლად აგრძელებდა ბიჭის გაქილიკებას და ჩუმად აპარებდა დედის მოცახცახე მხრებისკენ მზერას.

ირონიულად იღიმებოდა მამა. პასუხს არ სცემდა გოგოს. უჩვეულოდ იქცეოდა. არ აჩერებდა ადას. სადღაც შორს, ძალიან შორს იყურებოდა და წლების წინ ცოლისგან ნასწავლ რამდენიმე ფრანგულ სიტყვას ბუტბუტებდა ჩუმად.

***

ცხელი ჩაი მოსვა წლებში ჩაკარგულმა ადამ. საკუთარ თითებს ჩასჩერებოდა კაცი. ისევ „იქ“ ეძებდა პასუხებს კითხვებზე, რომელსაც თავადაც გაურბოდა (ალბათ)! სულაც არ იყო შეცვლილი კაცი – მაგრამ უფრო „ჩაკეტილი“ მოეჩვენა ქალს.

გაეღიმა. ყავა არსად ჩანდა სახლში. მიხვდა ადა, რა ზიზღით სვამდა ყოველთვის ფრანგულსა თუ დედაზე შეყვარებული თავაზიანი ბიჭი წლების წინ „ტალახს“.

ფეხზე წამოდგა ქალი. უცნაურ კმაყოფილებას გრძნობდა (თურმე როგორ უნდოდა მთელი სიცოცხლე, ენახა „ის ბიჭი“); კაცმა ვერ იცნო ადა. თავაზიანად დაემშვიდობა უცნობს.

ჩუმად და დიდხანს აკვირდებოდა ფანჯრიდან ქალი, რა გულმოდგინედ რეცხავდა ფინჯანს კაცი. მიხვდა ადა! მიხვდა, რომ ბიჭისთვის ფრანგულის მასწავლებელი საკუთარი რაობისა და ღირსების შეცნობის გზა იყო მხოლოდ; დედისთვის კი წლები, რომელიც ოდესღაც „გამოტოვა“.

დედა მოენატრა ადას – „ბევრი“ თბილი ღიმილით, საოცარი ფრანგულითა და უამრავი ხაზით თვალებთან.

მომავლის ქოხში

შორიდანვე დააფრთხო უფორმო ქოხმა ადა. უსიამოდ გააჟრჟოლა. შიშით შეაღო კარი. რამდენიმე წამით გაშეშდა ქალი. იატაკზე, კუთხეში, ორად მოკუნტული დიო იწვა ქოხში. კაცის თეთრი პერანგიც, ასე რომ უყვარდა ადას, სისხლში ცურავდა! თვალებში აზრი აღარ ჰქონდა დიოს. სადღაც შორს იყო უკვე. ხმისჩახლეჩამდე ეძახდა ადა. თავის ხმას ვეღარ ცნობდა ქალი. შეშინეული იყურებოდა ირგვლივ. სიჩუმემ კიდევ უფრო მეტად დაზაფრა. ჩაიკეცა დიოს გვერდით. კოცნიდა დიდხანს და შეუჩერებლად მომაკვდავს (უნდოდა მთელი სიცოცხლის კოცნა რომ მოესწრო). ქალისგან დაცემული ცრემლები კაცის ღაწვებზე მოგორავდა. დიოს სისხლისგან ამოსვრილ ხელებში ჩარგო ქალმა თავი. დადუმდა. დაიცალა ემოციისგან. გვერდით მიუწვა კაცს. ხელი ჯერ კიდევ თბილ კისერზე მოხვია. ყურს უკან აკოცა ფრთხილად.

დიოს სხეულის სიცივემ გამოაფხიზლა ქალი. გარბოდა. გარბოდა უკანმოუხედავად; გარბოდა მანამ, სანამ გადაღლილი მოწყვეტით არ დაეცა. შორს ქოხი დალანდა ქალმა. ძალიან თბილი და ძველი ქოხი!

***

წითელი პულოვერი ეცვა დიოს – ყელთან მომდგარი. უფრო მაღალი უჩანდა კისერი კაცს. თვალი აარიდა ადამ. თავს ვეღარ ერეოდა, გრძნობდა. რაღაცას ემოციურად ყვებოდა კაცი. რას, არც ესმოდა ადას. ყელთან დაბერილ ცისფერ ძარღვებში იკარგებოდა ქალის ყველა აზრი. კედელს მიეყრდნო. შეეშინდა! დიოს დაკარგვის საშინლად შეეშინდა.

ისეთი იყო დიო, დიდხანს რომ ვერ ცოცხლობენ ვერასდროს.

საკუთარმა მარადიულმა მარტოობამ შეაძრწუნა ქალი.

უხმოდ ადგა.

ვერაფრით მიხვდა დიო, რამ გააჯავრა ადა. რატომ გაიხურა იმ დღეს უსიტყვოდ კარი!

ტრანსცენდენტური ფოთოლი ბავშვობიდან

ჭადრის ფოთლები აშრიალდა კარის შეღებისას ქოხში. გაეღიმა ადას. უცნაური სიამოვნება იგრძნო ფეხქვეშ გამხმარი ფოთლების ჭრიალისას. დაიხარა. იმ ფოთოლს დაუწყო ძებნა, ზაოსთან ერთად რომ იპოვა წლების წინ სოფლის ორღობეში.

***

მტვრიანი იყო შუკა და დაცვარული. შემოდგომის ცივი სუნი იდგა ირგვლივ. ზაო ბევრს ლაპარაკობდა და (შეძლებისდაგვარად) ჭკვიანურად. ძალიან პატარები იყვნენ მაშინ (ალბათ, თორმეტი წლის). ის „აღქმა“ მოენატრა ადას, არასდროს რომ აღარ დაბრუნდებოდა მასთან და ბავშვობასთან ერთად გაქრა. ოცნებას სწავლობდნენ მაშინ ადა და ზაო. ოცნებობდნენ ბევრსა და უაზროდ. ადამ გაიაზრა, რომ არაფერი ასრულდა არც მის და არც ზაოს ცხოვრებაში იმ სურვილებიდან (ალბათ). ჩვეულებრივი იყო საღამო, მაგრამ რაღაცით დამუხტული. დაბნეული ჩანდა ორივე ოდნავ. გოგო ჩუმი იყო და გულში იღიმებოდა. ბიჭი – ხმაურიანი და ბევრღიმილიანი. ყალბიც იყო და გულწრფელიც ის საღამო. ფოთოლი – უსაშველოდ წვრილი და ჩახლართული ყავისფერი წვრილი ხაზებით – ზაომ იპოვა. ხის ტოტზე იყო გაჩხერილი. ძლივს მისწვდა ბიჭი. კმაყოფილი ჩანდა და თავდაჯერებული ზაო. რომანტიკოსი იყო ბიჭი. შეამჩნია, რომ ადას ხელისგულის ხაზებს იმეორებდა ჭადრის ფოთოლი.

წლების მანძილზე ინახავდა ფოთოლს ადა. ღრმად ჰქონდა დამალული წიგნების კარადაში. არ უნდოდა, ვინმეს ეპოვა იგი და რაღაცით შეხებოდა იმ საღამოს, რომელსაც სხვაგვარად აღიქვამდა ყოველთვის. დროთა განამვლობაში მიავიწყდა ქალს ზაოც და ფოთოლიც. წლების შემდეგ, ქალაქის ორომტრიალში შემთხვევით(?) გადაყრილმა ბიჭმა და გოგომ ყალბი სიცივითა და თავაზიანობით მოიკითხეს ერთმანეთი (იმ წამს სოფელი მოენატრა ორივეს, მაგრამ ხმამაღლა არაფერი აღიარეს). ცალ-ცალკე ორივე გააღიზიანა „შემთხვევითობამაც“, საკუთარმა სიყალბემაც და ისევ სწრაფად მიივიწყეს საიდანღაც ამოტივტივებული „ცივი საღამო“ (ყოველდღიურობაში ჩაკარგულებისთვის წარსული მხოლოდ ზედმეტი ტვირთი იყო).

***

დაუსრულებლად ეძებდა ქოხში ფოთოლს ადა. ყველა ერთმანეთს ჰგავდა თითქოს. საკუთარ ხელისგულს ადარებდა ქალი ფოთლებს. ეძებდა დიდხანს. ძალიან დიდხანს. იპოვა მაინც. მილიონობით მიმოფანტულ სიყვითლეში იყო იგი ჩაკარგული. ფოთოლი ზუსტად იმეორებდა ადას ხელისგულს და უამრავი წვრილი ყავისფერი ხაზით იყო დაფარული. გულში ჩაიკრა იგი ადამ. ღრმად ყნოსავდა მის მტვერს (სოფლის სუნმა გააბრუა ქალი). ფოთლის დაკლაკნილი ხაზები რაღაცით ჰგავდა ადასა და ზაოს ცხოვრებას. ეშმაკურად ჩაიცინა ქალმა. ფოთოლი ისევ იატაკზე დააგდო და უკან გამობრუნდა. იგრძნო ადამ, რომ ისევ დაბრუნდებოდა ოდესმე სოფელში და ისევ იპოვიდა ტრანსცენდენტურ ფოთოლს ბავშვობიდან (თუნდაც მოხუც) ზაოსთან ერთად.

გზა მეშვიდემდე

ბილიკი მეშვიდე ქოხამდე გაუსაძლისად ცარიელი იყო და გადამღლელი. ადამ იფიქრა, რომ წრე სრულდებოდა. სისხლის ლაქებს თვალს არიდებდა ქალი. კიდევ უფრო შესძულდა ვერცხლისფერი კაბა. ენატრებოდა დიო, რომელიც სადღაც დადიოდა ახლა და ისევ ადაზე ოცნებობდა (ალბათ). ლანდად ხედავდა კაცს ქალი. თითქოს ქრებოდა მისი სახე ადას წარმოსახვაში. ჯიუტად აკოწიწებდა მეხსიერებაში დიოს ნაკვთებს. მაინც „იკარგებოდა“ სადღაც კაცი. მხოლოდ ფრაგმენტებად ილანდებოდა ქალის ცნობიერებაში მისი ღიმილი. მოძრაობა. შავი პულოვერი. ვერცხლის ჯაჭვი, რომელიც ასე აგიჟებდა ადას. აღარ უნდოდა ქალაქში დაბრუნება ქალს, სადაც მეხუთე

ქოხი უნდა ენახა. მტვრისგან დალაქავებულ სახეს თითებით იწმენდდა ადა. მიხვდა, აღარასდროს იტირებდა. ყველა ემოცია ამოწურა ქალში დიომ. მარტოობა და სიჩუმე აღარ თრგუნავდა ადას. შიშველ ფეხისგულებზე ბალახი ფრთხილად ელამუნებოდა ქალს. შებინდებისას გამოჩნდა ქოხი, სადაც აბსურდი ელოდა ადას.

აბსურდის ქოხში

მრგვალსა და წებოვან ქოხში ადას სიზმრები იყო გამომწყვდეული. ფანჯრიდან უყურებდა ქალი შორეულ კოშმარებს. თითები კედელზე მიეკრა ადას. წვალობდა. ფრთხილობდა, სხეულით არ შეხებოდა ქოხს. ხორცი ეგლიჯებოდა ხელისგულებიდან. დაფრთხა. უცნობი დალანდა ოთახში! კაცი შორეული ბავშვობიდან. შავი სამოსი ეცვა ძველებურად უცხოს. ისევ ვერ ხედავდა მის სახეს ქალი. უამრავი ჭრელი ბურთულა დასრიალებდა კაცის ირგვლივ (კარგად იცნობდა მათ ადა). ცოცხალი უჯრედი იყო თითოეული მათგანი. ყველაფერს აშეშებდნენ, რასაც ეხებოდნენ. გამშრალი უყურებდა ადა თავის ქვადქცეულ ბავშვობას. აკივლდა ქალი (ისტერიულად აკივლდა) შიშისა და ტკივილისგან. ფანჯრისკენ მობრუნდა კაცი. მიუახლოვდა ადას. მინა აშორებდა ქალს მხოლოდ მისგან. ქუდი მაღლა აიწია უცხომ. დიოს ჰგავდა რაღაცით კაცი, მაგრამ დამაფრთხობლად ლურჯი თვალები ჰქონდა. მოულოდნელობისგან დამუნჯდა ადა. მთელი ძალით ააგლიჯა ხელისგულები კედლიდან. ტკივილის აღსაქმელად დრო აღარ რჩებოდა – უკან მოსდევდა კაცი – უამრავი ჭრელი ბურთით. გრძნობდა ქალი, ისიც გაშეშდებოდა მალე. შორს ქოხი გამოჩნდა ღია კარით. მიხვდა ადა, იქ უნდა შეესწრო გადასარჩენად და უკანასკნელი ძალები მოიკრიბა.

მიოს ქოხში

მთელი ძალით მოიჯახუნა ზურგსუკან კარი ადამ. თვალეზის გახელის ეშინოდა აქოშინებულს. ჰაერის თბილი ტალღა იგრძნო სახეზე ქალმა. დაწყნარდა. მიხვდა, რაღაც ძალიან ჩუმი და კარგი ემოცია იყო ქოხში.

***

მიო ყველაზე სხვაგვარი აღქმა იყო ადას ცხოვრებაში. მამის ხმა ჰქონდა მას. გაუსაძლისი სურვილი კლავდა ქალს, ჩახუტებოდა კაცს. ეშინოდა. ვერ მიხვდებოდა მიო (ვერ უნდა მიმხვდარიყო) ქალის ქმედების არსს. იტანჯებოდა ადა. არც მამა იყო მისთვის მიო და არც მამაკაცი. მაგრამ უყვარდა! უყვარდა არაქალური (და არაშვილური) აღქმით. ვერ პოულობდა გზას ქალი. ზღვარზე მისული მიოს ეძებდა მუდამ. კაცს, მარტოსულსა და არეულს ათასობით ადამიანში, აბნევდა ადა. მამასავით ღრმა იყო მიოც – მოთმინებითა და უხმოდ იტანდა ადასა და ქალის გარუჯულ ცხოვრებას იგი.

***

არც ერთ ქოხში არ უგრძვნია ასეთი სიმშვიდე ადას. იქ მიო იყო. კითხვები არ დაუსვამს კაცს. დააფრთხო ადას ჩამქრალმა, გაცრეცილმა სახემ მიო. გულში ჩაიკრა ქალი. ადამ აღმოაჩინა, რომ ემოციებისგან არ იყო დაცლილი მაინც. დიდხანს ტიროდა და უხმოდ ქალი. ქოხში მისი ცხოვრების არაქალური (ადამიანური) სიმშვიდე იყო!

მეცხრე ქოხში

შიშით შეაღო მეცხრე ქოხის კარი ადამ. გაოგნდა. ისევ ცარიელ, ჩამონგრეულ ქოხში აღმოჩნდა ადა. გაეღიმა. გააცნობიერა ქალმა, რომ აქედან აღარასდროს წავიდოდა. უსაზღვრო თავისუფლება იგრძნო ადამ. ტალახით სავსე ჯამი შეიტანა ცარიელ ქოხში. დახეთქილ კედლებს ავსებდა ქალი. არ ემორჩილებოდა ტალახი. დიდხანს და ჯიუტად წვალობდა ადა. ნელ-ნელა მაინც ივსებოდა ბზარები. შეუჩერებლად მუშაობდა ქალი. ტალახით სხვადასხვა ფიგურებს ხატავდა კედლებზე. აქ იყო ყველა – დიოც! მამაც! კაციც (სიზმრიდან)! მიოც! დედაც! ფრანგულზე გაგიჟებული ბიჭიც! უცნობი ქალიც! ჭადრის ფოთოლიც! ფეხსაცმელებიც (რომელიც სადღაც დაკარგა გზააბნეულმა ველზე)!

ბავშვობის უსიამო გრძნობა აღარ აწუხებდა სიცარიელეში ადას. საკუთარი სხეულის სუნს ისუნთქავდა ღრმად. დიო აგონდებოდა ისევ.

ფანჯრიდან გზა დიდი და მწვანე ჩანდა. ხრიოკი ველი ქრებოდა სადღაც!

2009.12/2010.04

ოქროს თევზები

მ.ა.-ს

ცახცახით აიღო სუფთა ფურცელი რინემ. ქაღალდის სიცარიელემ შეაძრწუნა ქალი. არ იცოდა, რა ეთქვა დასასრულს ჰეროუსთვის. ძნელად იწერებოდა რაღაც (აბსურდი თითქოს). ერთმანეთში ირეოდა უამრავი გლუვი ემოცია. გაუსაძლის ქაოსს გრძნობდა შიგნით. ქუჩა გაახსენდა – ბინძური და ხმაურიანი. ბეჭზე აკოცა გაყინული ტუჩებით ქალმა ჰეროუს. უცნაურმა სითბომ დაუარა კაცს. შეუცნობლის უხერხულ განცდას გრძნობდა თითქოს. ციოდა. ციოდა სისხლხორცეულად. ქურთუკის ჩალისფერ საყელოში ემალებოდა სიცივეს (თუ საკუთარ თავს) კაცი. თავჩაქინდრულ ჰეროუსთან წყდებოდა რინეს მოგონებების ძაფი. მაგიდას ჩამოაყრდნო ქალმა თავი. დიდხანს იჯდა და უხმოდ. უჯრაში შეინახა ფურცელი ისევ. უამრავ ქაღალდს შორის ჰეროუს ბავშვობის საჩუქარი დალანდა ქალმა. მხრები აუცახცახდა რინეს. ტიროდა ისე, როგორც მაშინ, წლების წინ, ბავშვობაში, როცა ჰეროუ – ქარვისფერი და უჩვეულოდ ჩუმი – საავადმყოფოს ბინძურ პალატაში იწვა. თვალებში ისეთი ნისლი ჰქონდა ჰეროუს, შიშისგან კედელს აეკრა რინე. მთელი სხეულით იგრძნო სიკვდილის რძისფერი გემო გოგომ.

იმ დღიდან სძულდა ნისლიც რინეს. თვალდახუჭული გმანავდა ნისლიან ამინდში ქოხის ფანჯრებს იგი. მარტოდმარტო იჯდა ოთახის კუთხეში საათობით გოგო. ეშინოდა, სივრცეში გაშლილი მომაკვდავი ჰეროუს თვალები არ დაელანდა ისევ.

დღეების მანძილზე გაუნძრევლად და უსიტყვოდ იჯდა ჰეროუს სასთუმალთან მოკუმული ტუჩებით გოგო. მუხლებზე ეწყო ჯიუტად შეკრული მუშტები მუდამ. დაჟინებით უყურებდა ბიჭს რძისფერ თვალებში, ასე რომ ცვლიდა ჰეროუს. პალატაში მარტოდდარჩენილი დამფრთხალი რინე დიდხანს და ჩქარ-ჩქარა კოცნიდა ბიჭს (ეს მისი პირველი კოცნა იყო). ჰეროუ ისე წავიდა მისი ცხოვრებიდან, ეგონა, რომ მომაკვდავი სიზმრად ხედავდა რინეს კოცნას (ქალი იღიმებოდა ამაზე მხოლოდ – არაფერს ამბობდა).

რინეს ახსოვდა ის წამი, რძისფერი რომ დაიწმინდა ჰეროუს თვალებში. არასდროს უგრძვნია იმდენი ჰაერი გოგოს სხეულში. ლაპარაკობდა ბევრს. შეუჩერებლად. იგონებდა უცნაურ ზღაპრებს (არადა, ეგონა, ლაპარაკი აღარ ახსოვდა დუმილში დაკარგულს). ჰეროუ, გაფითრებული და მისუსტებული, ღიმილს ახერხებდა გოგოს უჩვეულო ამბებზე მხოლოდ.

პირველად და უკანასკნელად მაშინ იქურდა რინემ – ძუის უზარმაზარი გორგალი მოჰპარა პაპას.

იმ დღიდან ერთად აკეთებდნენ საავადმყოფოს უფერულ პალატაში ძუისგან თევზებს რინე და ჰეროუ. პატარა თითებით წნავდნენ ერთნაირ ფიგურებს. ოქროსფრად ღებავდნენ და სურვილებს უთქვამდნენ. საღამოობით კალათაში აწყობდა რინე თევზებს. შუბლზე კოცნიდა წასვლისას ჰეროუს. ოკეანის სანაპიროსთან მიდიოდა გოგო. მუხლებამდე შედიოდა წყალში. ადიდებულ ტალღებში ყრიდა თევზებს და თვალდახუჭული ხმის იოგების დაჭიმვამდე ყვიროდა თავისსა და ჰეროუს ოცნებებს. თვალისდახამხამებაში ქრებოდნენ ოქროს თევზები სადღაც. ოკეანის სიღმეში იკარგებოდნენ. ნაპირზე გამორიყულებს გულმოდგინედ აბრუნებდა ისევ უკან გოგო. კმაყოფილი იფერთხავდა ხელისგულებს რინე. უკანმოუხედავად გარბოდა უფერული პალატისკენ, სადაც ლოდინისგან დაღლილი და განაწყენებული ჰეროუ ოქროს თევზებს წნავდა და ფერავდა უსასრულოდ.

უკანასკნელი სავსე კალათა ერთად ჩაყარეს ოკენეში ბიჭმა

და გოგომ. ერთად ყვიროდნენ ოცნებებს (ყვიროდნენ ისე ხმამაღლა, თითქოს თავადაც არ სჯეროდათ საკუთარი სურვილების რეალობის). ოკეანის შხეფებისგან ერთიანად სველი იყო ორივე. გვიან შეამჩნია რინემ, რომ მხოლოდ მისი ხმა ისმოდა სანაპიროზე. უხმოდ უყურებდა და თვალმოუშორებლად ტალღებისგან გაწუწულ სახეაწითლებულ გოგოს ჰეროუ. მოულოდნელობისგან გაშეშდა რინე. ტალღების ხმაურმა შეაწუხა იგი. დაიძაბა. დიდხანს და უხმოდ იდგნენ ჩახუტებულები. ფიქრობდნენ, რომ სიცივისგან აჟრჟოლებდათ ასე უცნაურად მხოლოდ. უკანასკნელი ოქროს თევზი აკანკალებულ ხელისგულში ჩაუდო ჰეროუმ გოგოს. გაუბედავად აუწია თავი. აკოცა. რინემ არ იცოდა რატომ, მაგრამ ტირილი უნდოდა. ეგონა, გული ამოუვარდებოდა. თავჩაქინდრული იდგა. უსიტყვოდ გაუდგნენ ხელჩაკიდებულნი ოკეანის ბნელ სანაპიროს. ორივემ გაიფიქრა, რომ ოქროს თევზებმა ოცნება აასრულეს.

***

თითების ცახცახით ამოიღო ოქროს თევზი უჯრიდან ქალმა. დიდხანს ატრიალა ხელში. მხრებზე თავშალი მოიხვია რინემ. ოკეანის სანაპიროს გაუყვა ქალი – დაკარგული გლუვ მოგონებებში. მთელი ძალით მოისროლა ოკეანის სიღრმეში რინემ ჰეროუს სახსოვარი, რომელიც სძულდა. მოწყვეტით ჩაჯდა სანაპიროსთან ქალი. ხელებში თავჩარგული გაუნძრევლად იჯდა. მხრებზე ფრთხილმა შეხებამ გამოაფხიზლა რინე. ცარიელი და უაზრო მზერით ამოიხედა ქალმა. გაოგნდა. მის წინ ოკეანის შხეფებისგან დაცვარული მამაკაცი იდგა უსაშველოდ თბილი და სავსე ღიმილით. ხელისგულზე რინეს ოქროს თევზი ედო უცნობს!

24 ივლისი; 2010

აგა

მოშავო ფერი დაჰკრავდა ბოთლს. არავის უყვარდა ფერის გამო ოჯახში იგი; კუთხეში იყო მიგდებული. სიძულვილი სიშავის მიმართ ფერადმა ქალმა – ამაჰეიმ ჩაუნერგა ყველას. სახლიც დიდი იყო და ფერადი – ჭრელი უფრო, წითელში შეკრული. მხოლოდ პატარა ბიჭს (რომელიც ოჯახის სიმრავლეში იყო ჩაკარგული) ჰქონდა უცნაური განცდა სიჭრელის მიმართ. თვალებს უჭრელებდა უამრავი ფერის სახლი და უამრავი ფერის ხალხი. ამაჰეის იმედი ჰქონდა, რომ ნაბოლარა გაჰყვებოდა ტრადიციასა და ფერთა გამას (რომელსაც ქალი შტრაუსის ფერებს ეძახდა) შეიყვარებდა. ბიჭი, სახელად აგა, ვერაფრით ხვდებოდა, რატომ იყო ჭრელი შტრაუსი, რომელსაც ყოველთვის ერთ ფერში – ნარინჯისფერში ხედავდა თავად. ამაჰეის ერთადერთი ფერი არ უყვარდა ჭრელთა შორის – სწორედ ნარინჯისფერი, რომელიც აგას უსაყვარლესი განცდა იყო. ქალი თვლიდა, რომ ბიჭი დედის სიძულვილის გამო ეხვეოდა ნარინჯისფერში.

აგა (მარტოსული და საძულველ ფერებში ჩაკარგული) მხოლოდ მზეში ხედავდა შვებას – ნარინჯისფერ, უზარმაზარ ნათებაში, რომელიც ბევრ სხივს უგზავნიდა ყოველდღე. საათობით იდგა ბიჭი და თვალმოუშორებლად უყურებდა მზეს, რომელიც მის თვალებში სხივებს ღვრიდა. სიბნელეც კარგი იყო, მაგრამ იქ მზისფერი (და თავად მზე) არ იყო არსად. აგა დიდხანს ფიქრობდა, როგორ შეერწყა ღამე და მზე ერთმანეთთან.

ამაჰეის თავადაც ეშინოდა იმ განცდის, რაც შიგნით ჰქონდა ბიჭის მიმართ – უაზროდ სძულდა შვილი, რომელსაც მზე და ღამე უყვარდა. გამოსავალიც მოძებნა – დიდი, ჭრელი ზეწარი გაჭიმა სახლის თავზე, რომ ბიჭისთვის წაერთმია ნარინჯისფერი და შავი; დაწყნარდა ამაჰეი, დღე მზის ნარინჯისფერი განცდა აღარ აწუხებდა, ღამე – სიშავე.

აგამ – სევდიანმა და მარტოსულმა – მაინც მოძებნა გამოსავალი – ზეწრიდან ცისფერ ყვავილს ამოუჭრა ფრთხილად გული და ჩუმად ტკბებოდა მზითა და ღამით. ერთ ჩვეულებისამებრ ხელოვნურად ჭრელ დღეს ბოთლი იპოვა აგამ – შავი და ყველასთვის საძულველი. ჩუმად დაატარებდა ჯიბით.

შტრაუსის ვალსი ნელა ირწეოდა ჭრელ სამყაროში. ხან გიჟურ ვნებას მოაქროლებდა სახლში, ხან მდორესა და მტკივნეულს. მიწაზე დამხობილ ბიჭს სწორედ მაშინ მოაფიქრდა მზისა და ღამის შერწყმის გზა, როცა გიჟური აზარტით მოვარდა ვალსის ჰანგები. ბოთლის ყელი ცისფერი ყვავილის ამოჭრილ გულში გაყო და დაელოდა, როდის ჩაცურდებოდა მასში შტრაუსივით მუქი ნარინჯისფერი სხივი. თავი მაგრად დაუცო ბოთლს და გულში ჩაიხუტა. დღე ისევ შავი იყო ბოთლი – შავი და სხვებისთვის არაფრისმთქმელი, მაგრამ მზის ჩასვლისთანავე მასში მომწყვდეული სხივი, რომელსაც ბიჭმა ნეია დაარქვა, უცნაურ ცეკვას იწყებდა სიშავეში და დილამდე, მზის ამოსვლამდე დაუსრულებლად ცმუკავდა.

აგა ბევრი რამით იყო ბედნიერი – მზეც ჰქონდა, ღამეც და ორივე მასთან იყო მარადიულად.

ამაჰეიმ მალე იგრძნო, აგა რომ შეიცვალა. მიხვდა, რომ მზე იყო ბიჭის ბედნიერების მიზეზი. დიდხანს ათვალიერებდა ქალი ჭრელ ზეწარს; მიაგნო მაინც უგულოდ დარჩენილ ცისფერ ყვავილს და დაკემსა.

აგამ გაიაზრა, რომ იმ სამყაროშიც წაყვებოდა მზერა, რომლითაც დედამ გახედა იმ დღეს. უსიტყვოდ იდგნენ ერთმანეთის პირისპირ ბიჭი, ამაჰეი და ბოთლი, რომელიც ჯიბეში იყო ჩამალული.

ამაჰეის სძულდა ბიჭის სიწყნარე. კიდევ დიდხანს ათვალიერებდა ჭრელ ზეწარს. ყველა ყვავილს ჰქონდა წითელი გული, მხოლოდ ცისფერი იყო დაკემსილი და უგულოდ დარჩენილი.

აგა, ნისლში ჩაძირული, ისევ ცეკვავდა შტრაუსის ვალსს ნეიასთან ერთად. საოცრად ამშვიდებდა სიბნელიდან წამოსული ნარინჯისფერი განცდა.

ამაჰეიმ თვალთვალი დაიწყო. წამით არ ტოვებდა ბიჭს. ქალმა გაოცებისგან წამოიყვირა, როცა მის ჭრელ სამყაროში დაინახა, როგორ ცეკვავდა აგა შავ ბოთლთან და ნეიასთან ერთად უკუნ სიბნელეში.

დატუქსვა არც უფიქრია ქალს. ხელიდან გამოგლიჯა ბოთლი აგას და ბიჭის თვალწინ ნამსხვრევებად აქცია იგი. ნეია დიდხანს იკლაკნებოდა მიწაზე. ბიჭი უყურებდა, როგორ იტანჯებოდა სხივი; თავადაც იმავეს განიცდიდა, რასაც ნამსხვრევებში დანაკუწებული ნეია. ნაწყვეტ-ნაწყვეტ აითრია სხეული სხივმა, ზეცისკენ აიჭრა და ჭრელ ზეწარს შეეჯახა. საშინე-

ლი ტკივილი იგრძნო აგამ გულის არეში და ნეიასთან ერთად დაენარცხა მიწას, რომელიც სულაც არ იყო შავი.

ამაჰეი უსიტყვოდ, უხმოდ უყურებდა, როგორ ღაფავდნენ სულს აგა და ნეია. აღარ იცოდა ქალმა, რა უნდა ექნა; აღმოაჩინა, რომ აგა იყო ყველაზე დიდი სიჭრელე მისი; უცნაური ხავილი ამოუვიდა ყელიდან ქალს; ავადმყოფური სიჯიუტით გლეჯდა დასისხლიანებული ხელისგულებით ჭრელ ცას, რომელიც თვითონ შექმნა, ჭრელ ყვავილებს, ქვებით ამსხვრევდა ჭრელ სახლს. სიჭრელე მარადიული იყო და უსასრულო, არ ილეოდა.

აგა და ნეია შავ ნამსხვრევებში ესვენნენ; მზე, ნარინჯისფერი და უზარმაზარი, მშვიდად ანათებდა სამყაროს. ცა ცისფერი იყო, მაგრამ აღარსად ჩანდა თავად ცისფერი ყვავილი დაკემსილი გულით!

2008/08

ატმის ყვავილები

ჯოხი რამდენიმე ადგილზე იყო გაღუნული; რაღაცით მოიხიბლა ჰეი – ქალი, მიწის თავბრუდამხვევი სურნელით. კედელზე დაკიდა; ფიქრი დაიწყო სიცოცხლეზე, რომელიც ასე არ უყვარდა და რომელსაც გაურბოდა.

ტანჯვა გაუსაძლისიც იყო და მწველიც. კაცი, რომელსაც ჰეი დაცინვით ჯუნაჯუს ეძახდა (არადა ერთობ გრაციოზული სახელი ერქვა – ჯერდი), ფრთხილად უვლიდა წრეებს მიწით სავსე ქალს, რომელიც იყო (მაგრამ არც იყო) მისი.

არც ჯოხის დაკიდება გაუპროტესტებია ჯუნაჯუს (ან რა აზრი ჰქონდა პროტესტს?); მოიწონა კიდეც ხმამაღლა (გულში კიდევ ერთხელ მოუნდა, ნამსხვრევებად ექცია ჯოხიც, როგორც ჰეის ყველა ოცნება).

ჰეი ჩვეულებისამებრ იღიმებოდა; ჯუნაჯუ მის ღიმილში საკუთარ აღსასრულს ხედავდა ყოველთვის და თვალს არიდებდა ქალს.

ჰეი გრძნობდა, რომ არ იყო სიკვდილი რთული და მტკივნეული. თავადაც მიწას არც მიწად ქცევა გაუჭირდებოდა, გრძნობდა, მაგრამ ჯოხმა – დაბრეცილმა და არაფრისმთქმელმა – ახალი გრძნობა აღძრა მასში – პროტესტის გრძნობა – სიცოცხლის სურვილი.

ჯუნაჯუმ საფრთხე კი იგრძნო, მაგრამ საიდან მოდიოდა და როგორ, ვერ აცნობიერებდა. დროში დაეხეტებოდა თავგზააბნეული. ჰეის დაკარგვის საბაბს კი მიაგნო, მაგრამ მიზეზს – ვერა. დროში ჩაკარგული საბაბის შიში ყველაზე ნაკლებ ჰქონდა

კაცს. მხოლოდ ერთმა აღმოჩენამ გააოგნა – იქ, იმ დროში – ჰეიის ცის სუნი ასდიოდა – მხოლოდ ცის და მისი ღიმილი სულ არ ჰგავდა დროის სხვა მონაკვეთში ქალის ღიმილს.

ჯუნაჯუ შეიშმუშნა. მხოლოდ რამდენიმე წუთით დააფრთხო აღმოჩენამ. ზურგი შეაქცია უაზროდ და უსაგნოდ დაკიდებულ მტვრიან ტოტს და მიიძინა.

ჰეი დუმდა.

არც მოვლენებს ხსნიდა და არც განცდებს. იგრძნო, როგორ ტკიოდა წლები – ჯუნაჯუს წლები. მიწის სისავსემ დაღალა ქალი. გარეთ გავიდა და პირველად აიხედა წლების მერე ცისკენ, რომელიც ისევ ისეთი იყო – თბილი, მომღიმარი და უფრო სავსე უამრავი გრძნობით; იმ გრძნობით, ასე რომ ენატრებოდა დაქანცულ ჰეის.

ჯუნაჯუს, კედლისკენ გადაბრუნებულს, მშვიდად ეძინა ისევ. არც კი ფიქრობდა ქალზე, რომელიც ფიქრის გარეშეც მისი იყო!

ჰეიმ იგრძნო, როგორ დაიცალა სხეული მიწისგან და როგორ დამთავრდა ფიქრი მიწად ქცევაზე. ძლიერი ნაკადით შეჭრილმა ჰაერმა აავსო ქალი. ღრმად ჩაისუნთქა ჰეიმ, რომელსაც აღარც ახსოვდა, ოდესღაც რომ დაღლილი იყო. იგრძნო, როგორ გამოეცალა მიწა ფეხქვეშ და როგორ წავიდა ცისკენ. ჰაერის ტალღა გრილი იყო და საამო; სხეულსა და სახეზე ეტმასნებოდა ქალს. ცა მიწაზე ტკბილიც იყო და მშვენიერიც.

ჯუნაჯუ, ზედმეტად გამოძინებული რომანტიკოსი, დიდხანს ეძებდა ჰეის. ქალი არსად ჩანდა. ცის თავბრუდამხვევი სუნი იყო ირგვლივ მხოლოდ.

კაცი ჯერ შეკრთა (სუნი იცნო), იგრძნო, როგორ უყვარდა ჰეი, რომელიც არასდროს ყოფილა მისი.

მიხვდა ჯუნაჯუ, რომ მიწისგან და მისგან დაიცალა ჰეი.

კედელზე უფესვოდ აფეთქებული ტოტი ეკიდა – დატვირთული უამრავი ატმის ყვავილით!

2008/08

შინაარსი

მიწის ოკეანე **5**

ჭრელი და თეთრი ხეები
(ბიჭს, რომელიც უნდა დაბადებულიყო და არ დაიბადა) **44**

რეგა **68**

ჰერა **87**

ფარვანა **106**

დაოს ბიმონელები **119**

ცხრა ქოხში **138**

ოქროს თევზები **160**

აგა **164**

ატმის ყვავილები **168**

საგამომცემლო ჯგუფი:

მხატვარი	ირმა კუხიანიძე
ფოტოილუსტრაციები	ია ჩარკვიანი
	ლევან ლექვინაძე
რედაქტორი	გიორგი ლობჟანიძე
კორექტორი	რუსუდან გოგიბერიძე
დიზაინერი	ალექსი კახნიაშვილი

RISE

გამომცემლობა „რაიზი“ 2010
თბილისი, ორბელიანის ჩიხი 5
E-mail: info@rise.ge